ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
9 მარტი **შაბათი** 2013
№056 (13 972) ფასი 80 თეთრი

# გავაცილოთ კაპიტანი, მოვუგოთ ესპანეთს!

ირაკლი აბუსერიძე დღეს ნაკრებში უკანასკნელად ითამაშებს

13



თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

# ინტრიგა გორში

ზესტაფონს ევროპაში უნდა, დილა დინამოს მისდევს

ფოტო: fcdila.ge



საქართველოს ჩემპიონატი. XXIII ტურის წინათქმა 2-3

ლელოს სტუმრები

## ანგელინა ტელეგინა და ოთარ ჯაფარიძე

11



ყველაფერს გავაკეთებთ საიმისოდ, რომ ოლიმპიადის საგზური მოვიპოვოთ!

# გერმანია რურის ომში გვიწვევს!

შალკე-დორტმუნდი გელზენკირხენში

5




# ფერგი: რუნი რჩება!

ითამაშებს უეინი ჩელსისთან?

8



ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი. XXIII ტურის წინათქმა

# რეგლამენტის უზენაესობის მოლოდინი



ვალდას ივანაუსკასი (მარცხნივ) და კახა კაჭარავა

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

საქართველოს სუპერთასიც ჩავატარეთ, თასის მერფედვინალური მატჩებიც, თუმცა „ოფიციალურად" საფეხბურთო წელიწადი დღეს იწყება! უფრო ზუსტად, დღევანდელი მატჩებით საქართველოს XXIV ჩემპიონატი უნდა განახლდეს და გადამწყვეტი, მეორე ეტაპი დაიწყოს.

...კარგა ხანია, ჩვენს ჩემპიონატში ზამთრის პაუზა ასეთი ხანგრძლივი არ ყოფილა: პირველი ეტაპის დასკვნითი ტურის მატჩები 23 დეკემბერს ჩატარდა და აი, ფაქტობრივად, ორთვენახევრიანი შესვენების შემდეგ გადამწყვეტი შეხვედრების დროც დადგა. აქვე, შეგახსენებთ, რომ **საქართველოს 2012-13 წლების XXIV ეროვნული ჩემპიონატის რეგლამენტის თანხმად, მეორე ეტაპზე გუნდებს გადაჰყვებათ პირველი ეტაპის შედეგები (თამაში, მოგება, ფრე, წაგება, გატანილი და მიღებული ბურთები, ქულა).** ამის „შეხსენება" კი აუცილებლობად მივიჩნიეთ: გეხსომებათ, ალბათ, რა გაუგებრობები (კიდევ რბილად ნათქვამია) მოჰყვა შარშან პირველიდან მეორე ეტაპზე გადაყოლილ თუ არგადაყოლილ ქულებს. ახლა კი, ჩემპიონატის მონაწილე 12-ივე გუნდმა, უფრო ზუსტად, ამ გუნდების ხელმძღვანელებმა თუ მწვრთნელ-ფეხბურთელებმა ყველაფერი კარგად იციან და აპრილის ბოლოსა თუ მაისის დასაწყისში (ანუ, ფინიშის მოახლოებისას) ველარავინ დაიწყებს იმის მტკიცებას, რომ გინდა თუ არა, მე მეკუთვნის ჩემპიონობა. ისიც გამოვრიცხოთ, რომ საქართველოს 2012-13 წლების სეზონის ჩემპიონის ვინაობა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს თუ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის კაბინეტებში (ანდაც, „საგანგებო" ალმასკომზე) გაირკვეს...

და კვლავ რეგლამენტი: **უმაღლეს ლიგაში XI-XII ადგილებზე გასული გუნდები 2013-14 წლების XXV ჩემპიონატში გადაყვანილი იქნებიან პირველ ლიგაში.** ანუ, ქვედა ექვსეულსაც სერიოზული ინტრიგა აქვს, რომ აღარაფერი ვთქვათ ზედა ექვსეულზე: II და III ადგილზე გასული გუნდები ევროპის ლიგის საგზურს მიიღებენ, ჩემპიონი კი, მოგეხსენებათ, ჩემპიონთა ლიგაზე იასპარეზებს. დაბოლოს, კვლავაც რეგლამენტს მოვიშველიებთ და შეგახსენებთ თანაბარი ქულების შემთხვევაში ადგილების გარკვევის პრიორიტეტულ პრინციპებს:

**1. ჩემპიონატში უშუალოდ ურთიერთშეხვედრების შედეგები (ქულათა რაოდენობა და შემდეგ ბურთების უკეთესი სხვაობა. ბურთების ერთნაირი სხვაობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება გუნდს, რომელსაც ერთმანეთთან შეხვედრებში სტუმრად მეტი გოლი აქვს გატანილი);**

**2. ჩემპიონატში მოგებათა მეტი რაოდენობა;**

**3. ჩემპიონატში გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი სხვაობა;**

**4. ჩემპიონატში გატანილი გოლების მეტი რაოდენობა;**

**5. ჩემპიონატში სტუმრად გატანილი გოლების მეტი რაოდენობა;**

**6. ჩემპიონატის განმავლობაში გუნდის მიერ მიღებული წითელ-ყვითელი ბარათების რაოდენობა (წითელი -3 ქულა, ყვითელი -1 ქულა. თანაბარი ქულების შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ნაკლებ წითელ ბარათს).**

**7. თუ გუნდებს ეს მაჩვენებელიც თანაბარი აღმოაჩნდებათ, ადგილების გამოსავლენად მოეწყობა კენჭისყრა.**

## ამბიცია ყველას მოეძალა

რადგან დღეს მეორე ეტაპი უნდა განახლდეს, ამიტომ ვცანით საჭიროდ რეგლამენტის კიდევ ერთხელ შეხსენება; თორემ მომდევნო ტურების წინათქმებს ბევრად უფრო მეტ ადგილს დავუთმობთ. თანაც, არავის ეგონოს, რომ ქვედა ექვსეული „დაიჩაგრება". უმაღლეს ლიგაში დარჩენისათვისაც არანაკლებ საინტერესო და დაძაბული მატჩები გველოდება. აღარაფერს ვამბობთ ზედა ექვსეულზე: ექვსიდან, სულ მცირე, ხუთ გუნდს ხომ სეზონის ბოლომდე „არანორმალური მოტივაცია" ექნება! „დინამო" და „დილა" რომ „საჩემპიონო რბოლაში" არიან ჩართული, ეს ყველა სეზონის დასაწყისიდანვე ვიცით; „ტორპედო" რომ ევროტურნირების საგზურს უმიზნებს, ესეც არახალი ამბავია, ისე როგორც ამბიციამოძალებული „ჩიხურას" ასპარეზობა იწვევს დიდ ინტერესს. ქვეყნის ჯერ კიდევ მოქმედი ჩემპიონი „ზესტაფონიც" არ დაგვავიწყდეს, საქართველოს თასზე, ბევრისთვის მოულოდნელად, მერვედფინალში რომ დაასრულა ასპარეზობა. არადა, „ზესტაფონი" ბოლო ექვსი წლის განმავლობაში მუდმივად მონაწილეობდა ევროტურნირებზე და ამ სეზონში ამის მისაღწევად ერთადერთი შანსიღა რჩება: ჩემპიონატში, სულ მცირე, მესამე ადგილის დაკავება. თუმცა, არის კიდევ ერთი ვარიანტი: მოვლენების სასურველი სცენარით განვითარების შემთხვევაში, „ზესტაფონს", შესაძლოა, IV ადგილიც „ეყოს" ევროპის ლიგის საგზურის მოსაპოვებლად (ამისათვის საჭიროა, თასის ფინალში ჩემპიონატის პირველი სამეულის ორმა გუნდმა გაალწიოს). თუმცა, ნუ დაგვავიწყდება, რომ **კახა კაჭარავას** გუნდი „საევროპე" მესამე თუ მეოთხე ადგილს, შესაბამისად, 8 და 6 ქულით ჩამორჩება. სწორედ „ზესტაფონის" მონაწილეობით ჩასატარებელი მატჩი არის კიდეც მეორე ეტაპის საწყისი ტურის ცენტრალური დაპირისპირება: ჩემპიონი სტუმრად თასის მფლობელს, გორის „დილას" შეხვდება! შეგახსენებთ: სწორედ „ზესტაფონმა" და „დილამ" გაითამაშეს 22 თებერვალს საქართველოს სუპერთასი, პენალტების სერიაში იმერული კლუბის გამარჯვებით რომ დამთავრდა; ამის მერე დიდი დრო არ გასულა, მაგრამ მეტოქეები სხვადასხვა განწყობით ხვდებიან ჩემპიონატის განახლებას: „ზესტაფონზე" უკვე ვთქვით, „დილამ" კი საქართველოს თასზე ორივე მატჩში, ფაქტობრივად, „გაისეირნა" და „სამტრედია" საერთო ჯამში 9:0 დაამარცხა! არ დაგვავიწყდეს ის ფაქტიც, რომ დღეს **ვალდას ივანაუსკასის** სადებიუტო მატჩია საქართველოს ჩემპიონატში: გორის „დილას" მთავარმა მწვრთნელმა საქართველოს სუპერთასსა და თასზე უკვე დამოძლვრა თავისი ახალი გუნდი, ახლა კი ჩემპიონატსაც გაუგებს „გემოს"...

...„დილასა" და „ზესტაფონის" ურთიერთდაპირისპირებათა ისტორიას თუ გადახედავთ, აღმოაჩენთ, თუ რამხელა უპირატესობა აქვთ იმერლებს; ეგ კი არა, „დილამ" ამ ოთხი შეხვედრის მოგება მხოლოდ მიმდინარე და წინა სეზონში შეძლო!

**გია ტუხაშვილი**

### ზედა ექვსეული

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | დინამო (თბ) | 22 | 16 | 4 | 2 | 63 | 19 | 52 |
| 2 | დილა | 22 | 16 | 1 | 5 | 36 | 15 | 49 |
| 3 | ტორპედო | 22 | 14 | 3 | 5 | 41 | 18 | 45 |
| 4 | ჩიხურა | 22 | 13 | 4 | 5 | 35 | 21 | 43 |
| 5 | ზესტაფონი | 22 | 11 | 4 | 7 | 30 | 20 | 37 |
| 6 | ზუგდიდი | 22 | 10 | 5 | 7 | 27 | 26 | 35 |

### ქვედა ექვსეული

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მეტალურგი | 22 | 9 | 4 | 9 | 21 | 26 | 31 |
| 2 | მერანი | 22 | 7 | 2 | 13 | 23 | 36 | 23 |
| 3 | ვიტ ჯორჯია | 22 | 5 | 7 | 10 | 15 | 29 | 22 |
| 4 | სიონი | 22 | 4 | 6 | 12 | 14 | 38 | 18 |
| 5 | დინამო (ბთ) | 22 | 3 | 4 | 15 | 22 | 47 | 13 |
| 6 | კოლხეთი | 22 | 0 | 4 | 18 | 11 | 43 | 4 |

09.03. თბილისი. დინამო არენა. 15:00

**დინამო (თბ)–ზუგდიდი**

ურთიერთშეხვედრები:
19 მატჩი, 12 მოგება, 5 ფრე, 2 წაგება. ბურ. 38-13

პირველი ეტაპი: 1:1 2:0

09.03. გორი. თ.ბურჯანაძე. 15:00

**დილა–ზესტაფონი**

ურთიერთშეხვედრები:
16 მატჩი, 4 მოგება, 0 ფრე, 12 წაგება. ბურ. 13-32

პირველი ეტაპი: 1:0 1:0

09.03. ქუთაისი. ცენტრალური. 18:00

**ტორპედო–ჩიხურა**

ურთიერთშეხვედრები:
4 მატჩი, 2 მოგება, 2 ფრე, 0 წაგება. ბურ. 5-1

პირველი ეტაპი: 3:1 0:0

09.03. მცხეთა. მცხეთა-პარკი. 15:00

**ვიტ ჯორჯია–სიონი**

ურთიერთშეხვედრები:
49 მატჩი, 24 მოგება, 15 ფრე, 10 წაგება. ბურ. 63-38

პირველი ეტაპი: 1:1 0:0

09.03. რუსთავი. ფოლადი. 15:00

**მეტალურგი–კოლხეთი**

ურთიერთშეხვედრები:
10 მატჩი, 5 მოგება, 2 ფრე, 3 წაგება, ბურ. 12-12

პირველი ეტაპი: 2:1 3:2

09.03. ზესტაფონი. ცენტრალური. 15:00

**მერანი–დინამო (ბთ)**

ურთიერთშეხვედრები:
2 მატჩი, 1 მოგება, 0 ფრე, 1 წაგება. ბურ. 3-5

პირველი ეტაპი: 0:4 3:1



საქართველოს სუპერთასზე „ზესტაფონმა" „დილას" პენალტების სერიაში მოუგო

გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტურის ცენტრალური მატჩის წინ

# როინ კვასხვაძე: თასიდან გავარდნამ სუპერთასი დაგვავიწყა



**როინ კვასხვაძეს თებერვალშიც ვესაუბრეთ, მას შემდეგ, რაც "ზესტაფონის" მეკარემ ალბანეთში საქართველოს ეროვნული ნაკრების კარი საიმედოდ დაიცვა და ჩვენი გუნდის გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანა. ამჯერად კი მასთან ინტერვიუს აბსოლუტურად განსხვავებული მიზეზი აქვს – "ზესტაფონი" საქართველოს თასის მერვედფინალში ლანჩხუთის "გურიასთან" დამარცხდა და ჩემპიონატის მეორე ეტაპს ამ წარუმატებლობით ხვდება.**

**- რით ახსნი "გურიასთან" განცდილ მარცხს?**

- ფაქტია, რომ ამ მატჩში თამაში არ წაგვივიდა. როგორც ჩანს, შეხვედრის მნიშვნელობა სათანადოდ არ შევაფასეთ და არც მეტოქეს მოვეკიდეთ სრული პასუხისმგებლობით. მოკლედ, საკუთარი შეცდომების გამო მწარედ დავისაჯეთ.

**- სამი გაშვებული გოლიდან რომელიმეში საკუთარ თავს ხომ არ ადანაშაულებ?**

- უხეში შეცდომა ნამდვილად არ დამიშვია. სხვა საქმეა, შემეძლო თუ არა გუნდის გადარჩენა. სამწუხაროდ, ამჯერად ეს ვერ მოვახერხე.

**- საქართველოს სუპერთასის მოპოვებით მიღებული დადებითი ემოციები ალბათ, მთლიანად გაგიქრათ.**

- დიახ, თასიდან გამოვარდნამ ეს წარმატება საერთოდ დაგვავიწყა. არადა, დიდი იმედი გვქონდა, რომ სუპერთასის მოგებით შემდგომ გამარჯვებებს დაედებოდა დასაბამი. იმედი მაქვს, ეს ჩავარდნა დროებითია და ჩემპიონატში ღირსეულ შედეგს ვაჩვენებთ.

**- უმაღლესი ლიგის მეორე ეტაპის სტარტისთვის გუნდი შეძლებს საბრძოლო განწყობის დაბრუნებას?**

- აუცილებლად შეძლებს. შემიძლია ვთქვა, რომ "დილასთან" ბრძოლისთვის სრულ მზადყოფნაში ვართ. მესმის, რომ საკმაოდ რთულ სიტუაციაში ვართ, მაგრამ მე და ჩემი თანაგუნდელები კონკურენტებთან ჩამორჩენის აღმოფხვრისა და ევროსაგზურის მოპოვებისთვის თავს არ დავზოგავთ.

**- "დილასთან" ამ ტურშიც ისეთივე შინაარსის თამაშს ელოდები, როგორიც სუპერთასზე გაიმართა?**

- ძნელი სათქმელია. შესაძლოა, კვლავ ჩაკეტილი თამაში იყოს და არც იმას გამოვრიცხავ, ბევრი გოლი გავიდეს. ფაქტი ის არის, რომ "დილა" ძლიერი მეტოქეა და ორივე გუნდს წარმატების თანაბარი შანსი აქვს. იმასაც აღვნიშნავდი, რომ რამდენიმე დღის წინ გორელებს გოგიტა გოგუა და გიგა ბეჭვაია დაუბრუნდნენ, რაც უდავოდ გაძლიერებაა.

**- საფრანგეთთან მოახლოებულ სანაკრებო მატჩს როგორი განწყობით ხვდები?**

- მაქვს იმის მოლოდინი, რომ მეტოქის სიძლიერის მიუხედავად, საქართველოს ნაკრები პარიზში ღირსეულად ითამაშებს და ღირსეულ შედეგს მიაღწევს. რა თქმა უნდა, თამაში ძალიან მინდა, მაგრამ იმისდა მიუხედავად, მოედანზე ვიქნები, სათადარიგოთა სკამზე თუ განაცხადს მიღმა, ჩვენს გუნდს აქაც და შემდგომშიც წარმატებებს ვუსურვებ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ინტერვიუ

# დავით კვირკველია: ოთხი ათასზე ნაკლებს არ ველით

## ზესტაფონი ორმაგად გამგელებული ჩამოვა



**სუპერთასზე „დილა" და „ზესტაფონი" შეხვდნენ და დღეს ჩემპიონატის მეორე ეტაპის პირველ ტურშიც ეს გუნდები გადაეყრებიან ერთმანეთს.
ამ მატჩის წინ მცირე ინტერვიუ ჩამოვართვით „დილას" კაპიტან დავით კვირკველიას. ზედა ექვსეულში ყველა ქულას ოქროს ფასი აქვს და ძალიან მნიშვნელოვანია, თუ როგორ დაიწყებს ესა თუ ის გუნდი ჩემპიონატის მეორე ეტაპს. მაშ ასე, რას ფიქრობს „ზესტაფონთან" მატჩის წინ გორელთა გუნდის თავი...**

- იმისთვის ვემზადებით, რომ ზედა ექვსეული მოგებით დავიწყოთ, სუპერთასზე „ზესტაფონთან" დავმარცხდით და ახლა საკუთარი გულშემატკივრების წინაშე რეაბილიტაცია გვსურს.

**- სუპერთასის მერე საქართველოს თასის გათამაშების მერვედფინალი დაძლიეთ, „ზესატფონი" კი პირველლიგელ ლანჩხუთის „გურიასთან" დამარცხდა. როგორ ფიქრობ, ფსიქოლოგიურად ვინ არის უკეთეს სიტუაციაში?**

- „ზესტაფონი" პირველლიგელთან კი დამარცხდა, თუმცა „გურიას" შემადგენლობას რომ გადავხედე, აღმოჩნდა, რომ ლანჩხუთელებს ურიგო გუნდი ნაღდად არ ჰყოლიათ. როგორც უნდა იყოს, „ზესტაფონი" გორში ორმაგად გამგელებული ჩამოვა. ზესტაფონელთა მწვრთნელი კახა კაჭარავაც ალბათ იმას მოსთხოვს ფეხბურთელებს, რომ თასზე ხელმოცარვის შემდეგ თავიანთი შესაძლებლობები ჩვენთან დაამტკიცონ.

**- ასეთ პრინციპულ შეხვედრაში ძალიან მნიშვნელოვანი არის ხოლმე გულშემატკივრის ფაქტორი...**

- გულშემატკივრების მხარდაჭერა არა მხოლოდ ამ შეხვედრაში, არამედ ყველა მატჩში საჭიროა. ამ სეზონში „დილას" საშინაო მატჩებზე ოთხი ათასი ქომაგიც კი მოსულა და „ზესტაფონთან" ნაკლებს არ ველოდებით.

**- როგორ ფიქრობ, რა თამაშს დაგიპირსპირებთ „ზესტაფონი"?**

- ვფიქრობ, „ზესტაფონი" მყისიერ იერიშზე არ გადმოვა, უკნიდან ითამაშებს, კონტრშეტევებზე, სუპერთასზეც ასე მოიქცა.

**- „დილა" რას შესთავაზებს სტადიონზე მისულ გულშემატკივარს?**

- როგორც ყველა საშინაო შეხვედრაში, შემტევ ფეხბურთს ვითამაშებთ, თუმცა ყველაფერი მაინც მწვრთნელის გადასაწვეტია, შესაძლოა, ვალდას ივანაუსკასმა რაღაც-რაღაცები შეცვალოს.

**- „ზესტაფონთან" ფრეს თუ ითამაშებთ, კმაყოფილი ვერ დარჩებით?**

- ვერანაირად, რადგან ჩვენი მიზანი ჩემპიონობაა. რა თქმა უნდა, ეს ადვილი არ იქნება, ზედა ექვსეულში ხომ საუკეთესო გუნდებმა მოიყარეს თავი.

**დავით თავართქილაძე**

# 1 კვირის 1000 წვრილმანი

დავით თავართქილაძე

# არ ინანებთ

22 მარტამდე ჯერ კიდევ დიდი დროა, დიდი ალბათ იმიტომ, რომ თემურ ქეცბაიას ჯერ არ დაუსახელებია საფრანგეთთან მატჩისთვის გამოძახებულთა სია. როცა რჩეულების სია დაიდება, თამაშიც ახლოს ჩანს. საფრანგეთი კიდევ გრანდია და ასეთთან შეხლა სულ სხვანაირად აფორიაქებას სულსა და გულს.

როცა ქეცბაის გაწვრთნილ საქართველოს ნაკრებზე ჩამოვარდება სიტყვა, უკვე ძნელი გასარკვევია, რა უფრო სჭირდება ჩვენს ეროვნულ გუნდს - ფსიქოანალიტიკოსი თუ ჯადოქარი. ალბათ ორივე საჭიროა, გაორებული მახვილი უკეთესად გაუსწორდება ყველაფერს.

გადაღეჭებული კითხვაა - რატომ არაფერი არ ეშველა საქართველოს ნაკრებს? ისევე როგორც ყველას, ალბათ მეც მაქვს უფლება, საკუთარი ვერსია მქონდეს. მე მაინც მგონია, რომ ცოტა მეტი ტვინი რომ დაგვეტანებინა საქმისთვის, ქართული ფეხბურთი უფრო წინ იქნებოდა. არ მახსოვს ვინ თქვა, თუმცა მოხდენილად კი გამოუვიდა: ადამიანის სიბრიყვე ჭკუის ნაკლებობის კი არა, სიმამაცის ნაკლებობის ბრალიაო.

ჩვენც მასე დაგვემართა, გაბედულად არ ვიძახდით ცუდზე ცუდიაო, ცუდს გაბედულად არ ვებრძოდით, არ ვიყავით კარგი დისიდენტები.

ქეცბაიას სია სავარაუდოდ მომავალ კვირაში გამომზეურდება. მნიშვნელოვანი ცვლილებები ალბათ არ იქნება, საფრანგეთს ვეთამაშებით და ექსპერიმენტების დრო არ არის.

ადამიანის ტვინის წვრილი ხვეულები საფრანგეთში საქართველოს ნაკრების მოგებას არ ვარაუდობენ, თუმცა ასეთ მეტოქესთან ჩვენი გუნდი კარგი სანახავი იქნება, ასეთ მოწინააღმდეგესთან თამაში უკვე ზეიმია.

■ ■ ■

ზურაბ ხიზანიშვილზე დაიწერა, მომავალი სეზონიდან ვინძლო „ტრაბზონსფორში" ითამაშოსო. მაისის მერე ზურა თავისუფალი აგენტი ხდება და ასეთი გამოცდილი მცველი ბევრს დასჭირდება. ხიზანიშვილს „გლაზგო რეინჯერსში" და ინგლისურ პრემიერლიგაში აქვს ნათამაშები, ასეთებს კი ემირატებშიც და ყატარშიც შეუძლიათ წასვლა, როცა 30 წელს გადააბიჯებენ.

ხიზანიშვილი სტაბილურად თამაშობს „ქაისერისფორში", რობერტ პროსინეჩკი კი თურმე მას ფერნანდო იეროს ადარებს.

ხიზანამ თავისი უკვე ითამაშა. თუ საფრანგეთთანაც დაუძახებს ქეცბაია, ალბათ ერთხელაც გამოადგება გუნდს.

იყო დრო, ხიზანიშვილსა და კახა კალაძეს ერთმანეთს რომ ადარებდნენ ჩვენთან. აქეთ ალღო და ტექნიკა, იქით ათლეტურობა და შეუპოვრობა - კამათში გამარჯვება არ იყო ადვილი. მერე ისე მოხდა, რომ საკამათო არაფერი დარჩა...

ხიზანა მაინც უფრო „ფუტბოლნია" - მოკამათეთა ერთი ფლანგი ახლაც ამით ამართლებს საკუთარ პოზიციას.

■ ■ ■

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა ამხანაგურ შეხვედრაში გერმანელ თანატოლებთან სტუმრად 1:4 წააგო. ეს ის ასაკია, როცა საქართველო გერმანიასთან ძალიან უმწეო არ უნდა იყოს, მაგრამ ფეხბურთში გერმანელებთან მარცხი ჩვენთვის დიდად დასაძრახი ამბავიც არ უნდა გამოდგეს.

ამ ასაკში ქართველებსა და გერმანელებს თბილისშიც უთამაშიათ, შესარჩევის ჯგუფში. 1990 წელს დაბადებულები თამაშობდნენ, იმ თაობაში ჩვენგან ყველაზე გამორჩეული მაშინ ლევან ყენია იყო, გერმანელებს კი ყველაზე მეტად ტონი კროოსის ეიმედებოდათ. კროოსი ახლა ნაციონალმანშაფტის და მიუნხენის „ბეიერნის" ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელია...

საქართველოს ამ 17-წლამდელებშიც ჰყავს ნიჭიერები. გიორგი დევდარიანის გუნდი საერთაშორისო ტურნირებზე რომ მიდის, ლუკა ზარანდიას საუკეთესო ფეხბურთელად ან საუკეთესო თავდამსხმელად ასახელებენ. თუ ფეხბურთის ფედრაციის ვებგვერდს ვენდობით, ლუკამ გერმანელებსაც ლამაზი, ინდივიდუალური ოსტატობით გაჯერებული გოლი უსახსოვრა.

ღმერთმანი, ნიჭიერი ბიჭია.

■ ■ ■

დღეს ეროვნული ჩემპიონატი განახლდება. მონოდებები ჟურნალისტის საქმე არ არის, თორემ გულით კი მინდა ქომაგს ქართული სტადიონებისკენ მოვუწოდო.

საქართველოს ჩემპიონატში ბევრი კარგი თამაშია, თასის მერვედფინალებშიც ბევრი საინტერესო მოხდა. ფეხბურთი საქართველოს ჩემპიონატშიც სანახაობა გახლავთ, ტრივიალურად რომ ვთქვათ, შოუ, რომელიც უნდა გაგრძელდეს.

დღეს ქომაგს ასარჩევად აქვს საქმე, შესვენების შემდეგ პირველი ტურია და შედეგი ძნელად გამოსაცნობია.

არ ინანებთ...



ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერები


დავით თარგამაძე (მარცხნივ)

## ფრე უკრაინაში, გამარჯვება პოლონეთში

უკრაინული პრემიერლიგის მე-20 ტური გუშინ დონეცკში, ადგილობრივი "მეტალურგისა" და მარიუპოლის "ილიჩევეცის" მატჩით დაიწყო. შეხვედრა ფრედ, 0:0 დასრულდა. **დავით თარგამაძე** "ილიჩევეცის" ძირითად შემადგენლობაში იყო და 84-ე წუთზე შეცვალეს, ხოლო მისმა თანაგუნდელმა თორნიკე ოქრიაშვილმა ამ მატჩში მონაწილეობა დისკვალიფიკაციის გამო ვერ მიიღო.

პოლონეთის ექსტრაკლასაში **ვლადიმერ დვალიშვილის** "ლეგია" "პოდბესკიზიეს" ეწვია და 2:1 გაიმარჯვა, რითაც ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერობა შეინარჩუნა. ვარშაველთა ქართველი თავდამსხმელი თამაშში 71-ე წუთზე ჩაერთო. ამ დროისთვის ანგარიში 1:1 იყო.

საფრანგეთის ლიგა 2-ში "ლე მანი" "სედანს" ესტუმრა და 1:2 დამარცხდა. სტუმართა კიპერ **გიორგი მაკარიძეს** კვლავ არ უთამაშია – იგი სათადარიგოთა სკამზე იჯდა.

განახლდა რუსეთის პრემიერლიგა, თუმცა გუშინ ქართველებს არ უთამაშიათ. "ვოლგას" მცველმა **გია გრიგალავამ** კრასნოდარის "ყუბანთან" საშინაო შეხვედრა (0:2) ტრავმის გამო გამოტოვა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

დაბრუნება

## კობი: პირველად 90 წუთი და მატჩის რეკორდი



რამდენიმე დღის წინ **ლევან კობიაშვილმა** ნახევარწლიანი დისკვალიფიკაციის მოხდის შემდეგ ბერლინის "ჰერტას" შემადგენლობაში შეუცვლელად პირველი ოფიციალური მატჩი ჩაატარა. ამ ფაქტმა დედაქალაქური კლუბის ოფიციალური ვებგვერდის ყურადღებაც მიიპყრო და ვეტერან ქართველს კომენტარი სთხოვა.

*"მჯეროდა, რომ ადრე თუ გვიან, ასეთი შანსი მომეცემოდა და მიმაჩნია, რომ დაკისრებულ მოვალეობებს თავი ნორმალურად გავართვი. რა თქმა უნდა, ამხელა პაუზის შემდეგ მატჩის შეუცვლელად ჩატარება ჩემთვის იოლი არ ყოფილა"*, - თქვა კობიაშვილმა.

გერმანელმა სტატისტიკოსებმა დათვალეს, რომ დრეზდენის "დინამოსთან" შეხვედრაში ლევანი ბურთს 86-ჯერ შეეხო, 43 ზუსტი პასი გააკეთა და ორთაბრძოლათა 77 პროცენტი მოიგო – ეს ორივე გუნდის შემადგენლობაში საუკეთესო მაჩვენებელია.

პირველ ბუნდესლიგაში დაბრუნების შანსებს კობი ოპტიმისტურად უყურებს: *"მართალია, "დინამოსთან" დავმარცხდით, მაგრამ კონკურენტებს მაინც საკმაო უპირატესობით ვუსწრებთ და ყველა წინაპირობა გვაქვს იმისთვის, რომ ელიტაში დაბრუნება ვიზეიმოთ"*.

**ლევან ჯანეზაშვილი**

U17



## ფრე არნემში

გუშინ საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები არნემში "ვიტესის" ასაკობრივ გუნდს ამხანაგურად შეხვდა და ფრედ, 1:1 ეთამაშა. ქართველთაგან გოლი **გრიგოლ ჩაბრაძემ** გაიტანა.

საქართველოს ნაკრების სასტარტო შემადგენლობა ასეთი იყო: გოშაძე, გელაშვილი, მარგველაშვილი, ტაბიძე, თევზაძე, პატარკაციშვილი, შულაია, ხარაიშვილი, კერძევაძე, ზარანდია, რ. ქანტურია.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ფუტსალი

## აპრილში მიშელ პლატინი გვესტუმრება?

მნიშვნელოვანი სიახლე: შესაძლოა, ფუტსალში უეფას ოთხთა ფინალის დღეებში, თბილისს უეფას პრეზიდენტი **მიშელ პლატინი** ესტუმროს. ეს ამბავი "იბერია სტარის" პრეზიდენტმა **ვატო წერეთელმა** გაამხილა.

ასეთი რანგის ტურნირს საქართველო პირველად უმასპინძლებს და უეფას პრეზიდენტს სურს საკუთარი თვალით იხილოს, თუ როგორ მუშაობს საორგანიზაციო კომიტეტი ქვეყანაში, რომელიც 2015 წლის ევროპის სუპერთასსა და ასაკობრივი ნაკრებების ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირებსაც უმასპინძლებს.

მოკლედ, ფუტსალზე კლასიკური ფუტსალის ამბებიც გაირკვევა და შესაძლოა, უეფას პრეზიდენტი ქვეყნის ხელისუფალთაც შეხვდეს. ცხადია, მას აინტერესებს, რა სამზადისია სუპერთასის მატჩისთვის და საერთოდ, რა მდგომარეობაშია ქვეყანა ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, შეიცვალა თუ არა ხელისუფლების დამოკიდებულება ფეხბურთისა და სხვა დაგეგმილი მოსალოდნელი ტურნირების მიმართ და ა.შ. მერე კი უეფაში შეაფასებენ, გაცილებით მაღალი რანგის ტურნირების სამასპინძლოდ არის თუ არა მზად საქართველო.

ამას გარდა, 2012 წლის ზაფხულში, როდესაც უეფას 60 წლისთავთან დაკავშირებით, ორგანიზაციის პრეზიდენტმა **მიშელ პლატინიმ** ევროპის ჩემპიონატის რამდენიმე ქვეყანაში ჩატარების ინიციატივა წამოაყენა, უეფას გენერალურმა მდივანმა, **ჯანი ინფანტინომ** გაამხილა, რომ 2020 წლის ჩემპიონატი არა ერთ რომელიმე კონკრეტულ ქვეყანაში, არამედ ერთდროულად 12-ში გაიმართებოდა.

ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **ზვიად სიჭინავა** ამბობს, რომ უეფა ევრო 2020-ის ან ევრო 2024-ის მასპინძელ ქალაქებს შორის თბილისის კანდიდატურასაც განიხილავს. AP-სთან ინტერვიუში კი მან გაამხილა, რომ ევროპირველობის რომელიმე ჯგუფის სამასპინძლოდ, შესაძლოა, საქართველო აზერბაიჯანს, რუსეთს ან ბელარუსს შეუამხანაგდეს.

ამ კუთხით საგულისხმო ამბავი მოხდა, რაც ირიბად ჩვენც გვეხება: თურქები ევრო 2020-ის მასპინძლობაზე პრეტენზიას აქტიურად აცხადებდნენ. მათ მიშელ პლატინი მხარს ლიად უჭერდა. თუმცა, მას შემდეგ, რაც ინფანტინომ ახალი პროექტი საჯაროდ გაამხილა, უეფას პერზიდენტმა თურქეთს ნახევარფინალური და ფინალური მატჩების მასპინძლობა შესთავაზა.

ჩვენს მეზობლებს ტურნირზე ექსკლუზივის მოპოვების იმედი ჰქონდათ, მხოლოდ ერთ-ერთი მასპინძლის სტატუსით კი ვერ მოიხიბლნენ. გარდა ამისა, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი არ ემხრობა იმ კანდიდატურას, რომელსაც ერთი წლის განმავლობაში, ორი დიდი მასშტაბის ღონისძიების მასპინძლობა სურს. მოკლედ, ევრო 2020-ის ასეთი ფორმატით მიღებაზე თურქებმა უარი განაცხადეს და სტამბულში ოლიმპიური თამაშების მასპინძლობისთვის ბრძოლაზე გადაერთვნენ.

ჩვენთვის ცნობილი კულუარული ინორმაციით, თურქული მხარის უარი ზრდის იმის შანსს, რომ თბილისმა ევრო 2020-ის ერთ შეხვედრას მაინც უმასპინძლოს – ეტყობა, უეფაში იმედი აქვთ, რომ უმაღლეს დონეზე ერთი შეხვედრის გამასპინძლებას მაინც შევძლებთ და სუპერთასის მატჩი ამიტომაც დაგვითმეს.

ევრო 2020-ის მატჩის საქართველოში ჩატარებას უეფაში გავლენიანი ქართველები ლობირებენ, მათ შორის, არნემის "ვიტესის" მეპატრონე **მერაბ ჟორდანიაც**. დაინტერესება გასაგებია – ერთი ასეთი მატჩიც კი ქვეყნის იმიჯსა და ფინანსურ მდგომარეობას ძალიან წაადგება.

ასეა თუ ისე, საკითხის დადებითად გადაწყვეტისთვის აუცილებელია სახელმწიფოს, ფეხბურთის ფედერაციის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს კოორდინირებული მუშაობა. იმედია, ქართველები ამ მიზნისთვის მაინც გაერთიანდებით.

**მერაბ მამულაშვილი**



## იბერია გაზპრომთან დამარცხდა

საქართველოს ჩემპიონი ფუტსალში "იბერია" სტარი" მოსკოვში უეფას თასის ოთხთა ფინალისთვის მზადებას აგრძელებს.

**სერჟიო ბენატის** გუნდმა პირველი საკონტროლო შეხვედრა რუსეთის კომუნისტური პარტიის გუნდთან (კპრფ) 1:1 დაასრულა. გუშინ კი ჩვენი ჩემპიონი მეორე სპარინგ-მატჩში ბევრად ძლიერ მეტოქეს, რუსეთის სუპერლიგის მეორეადგილოსან ტიუმენის "გაზპრომიუგრას" დაუპირისპირდა. ამ გუნდის მთავარი მწვრთნელის ასისტენტი **ბესო ზოიძე** გახლავთ, მეკარე კი **ზვიად კუპატაძეა**.

სხვათა შორის, ხსენებული გუნდები ერთმანეთს 2012 წლსი აგვისტოს ლვოვის საერთაშორისო ტურნირის ფინალშიც შეხვდნენ. მაშინ "იბერიამ" 3:2 მოიგო და მთავარ პრიზს დაეუფლა.

გუშინ პირველი ტაიმის შემდეგ ანგარიში 1:1 გახლდათ, ჩვენების გოლი რაფას ანგარიშზეა. რუსებმა მეორე ტაიმში გადამწყვეტი ბურთი გაიტანეს და 2:1 გაიმარჯვეს.

"იბერია სტარის" მენეჯერის, **გიორგი დარჯანიას** თქმით, გუნდი ბოლო საკონტროლო მატჩს რუსეთის პრემიერლიგის ერთ-ერთ აუტსაიდერ "მიტიშჩისთან" 10 მარტს ჩაატარებს, შეკრებას კი 11 მარტს დაასრულებს.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერი

## ჩაგელიშვილი დღეს იწყებს

**დავით ჩაგელიშვილი** ყაზახეთის პრემიერლიგის ჩიმკენტის "ორდაბასიში" ჩაირიცხა. 25 წლის თავდამსხმელი 2012 წელს ყაზახურ "ოკჟეტპესში" გამოდიოდა და 6 გოლით გუნდის საუკეთესო ბომბარდირი გახდა.

თუმცა, გუნდი პრემიერლიგიდან გავარდა, ქართველმა თავდამსხმელმა გუნდი დატოვა და საქართველოში დაბრუნდა. დათო სეზონისთვის ბოლნისის "სიონში" ემზადებოდა, მაგრამ მერე ისევ ყაზახეთში მიიწვიეს და "ორდაბასის" მიწვევაზე უარი არ უთქვამს.

კოკშეტაუს "ოკჟეტპესმა" დასრულებულ ჩემპიონატში მე-7 ადგილი დაიკავა, წლეულს კი უფრო ამბიციური მიზნები აქვს.

*"ბოლნისში ვარჯიშის დროს "ორდაბასის" წარმომადგენლები დამიკავშირდნენ და საკმაოდ კარგი პირობები შემომთავაზეს. გუნდს თურქულ შეკრებაზე იანვრის მიწურულს შევუერთდი, რამდენიმე ამხანაგურ თამაშში გამსინჯეს და ერთწლიანი კონტრაქტი გამიფორმეს. სხვათა შორის, 30 იანვარს "ორდაბასი" ამხანაგურად კახა ცხადაძის ბაქოს "ინტერს" შეხვდა, რომელიც ძალიან მომეწონა, კარგ ფეხბურთს თამაშობს. მართალია, მე-5 წუთზე ბაჩანა ცხადაძე გააგდეს, მაგრამ დარჩენილ დროში კარგად ითამაშეს და 0:2 წავაგეთ. "ორდაბასი" "ოკჟეტპესზე" ბევრად ძლიერი, მდიდარი და ამბიციური გუნდია. ახალ სეზონში ევროპის ლიგის საგზურისთვის ვიბრძოლებთ. სეზონს კი ხვალ, 9 მარტს "ირტიშთან" შეხვედრით დავიწყებთ"* - გვითხრა ჩაგელიშვილმა.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანია. ბუნდესლიგა. XXV ტურის წინ

# 82-ე დერბითა დერბი

## შალკეს მე-400 საშინაო მატჩის მოგება მაინცდამაინც დორტმუნდთან უნდა

**აუგსბურგი-ნიურნბერგი 1:2**

**გოლები:** 0:1 კიოტაკე (21), 1:1 რ. შეფერი (36-საჯ. კარში), 1:2 ესვაინი (54).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 24 | 20 | 3 | 1 | 64-8 | 63 |
| 2. დორტმუნდი | 24 | 13 | 7 | 4 | 54-28 | 46 |
| 3. ლევერკუზენი | 24 | 13 | 6 | 5 | 45-31 | 45 |
| 4. აინტრახტი | 24 | 11 | 5 | 8 | 38-35 | 38 |
| 5. ფრაიბურგი | 24 | 9 | 9 | 6 | 30-23 | 36 |
| 6. შალკე | 24 | 10 | 6 | 8 | 41-39 | 36 |
| 7. ჰამბურგი | 24 | 10 | 5 | 9 | 29-33 | 35 |
| 8. მაინცი | 24 | 9 | 7 | 8 | 32-29 | 34 |
| 9. გლადბახი | 24 | 8 | 10 | 6 | 33-34 | 34 |
| 10. ჰანოვერი | 24 | 10 | 3 | 11 | 47-45 | 33 |
| 11. ნიურნბერგი | 25 | 7 | 10 | 8 | 26-32 | 31 |
| 12. შტუტგარტი | 24 | 8 | 5 | 11 | 26-42 | 29 |
| 13. ფორტუნა | 24 | 7 | 7 | 10 | 29-32 | 28 |
| 14. ვერდერი | 24 | 8 | 4 | 12 | 39-48 | 28 |
| 15. ვოლფსბურგი | 24 | 7 | 6 | 11 | 24-37 | 27 |
| 16. აუგსბურგი | 25 | 4 | 9 | 12 | 22-38 | 21 |
| 17. ჰოფენჰაიმი | 24 | 4 | 4 | 16 | 27-49 | 16 |
| 18. ფიურტი | 24 | 2 | 8 | 14 | 14-37 | 14 |

**ბომბარდირები:** 16 – ლევანდოვსკი (დორტმუნდი), კისლინგი (ლევერკუზენი); 15 – მანჯუკიჩი (ბაიერნი); 12 – ა. მაიერი (აინტრახტი), სალაი (მაინცი); 11 – იბიშევიჩი (შტუტგარტი), თ. მიულერი (ბაიერნი), პეტერსენი (ვერდერი), როისი (დორტმუნდი).

**ბუნდესლიგის მიმდინარე სეზონის დასრულებამდე ზუსტად ათი ტურია დარჩენილი და ბოლოდან მეათე ტურში რურის დიდი დერბია, რომელიც მიუნხენის „ბაიერნის“ ჰეგემონიის ფონზე ნამდვილად გაგვახალისებს. „შალკესა“ და დორტმუნდის „ბორუსიას“ დაპირისპირება ტურის ყველა სხვა შეხვედრას ჩრდილავს, თუმცა რამდენიმე თამაშს ინტრიგა არ აკლია. მაგალითად, „ფიურტისა“ და „ჰოფენჰაიმის“ დუელი გადარჩენისთვის ბრძოლაა. ხვალ ევროპალიგის საგზურებისთვის ერთმანეთს „ჰანოვერი“ და „აინტრახტი“, ასევე „შტუტგარტი“ და „ჰამბურგი“ შეებრძოლებიან.**

### 9 მარტი

**ბაიერნი-ფორტუნა 18:30**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ

**ტრავმა:** ბადშტუბერი - ალმერი, ბრუნო სუარესი, ხუანანი, რაიზინგერი, ვორონინი

ბოლო 6 მატჩი

+6=0-0 +2=1-3

ურთიერთშეხვედრები

სულ 45 თამაში: +26=9-10, (103:57)

**შალკე-დორტმუნდი 18:30**

**დისკვალიფიკაცია:** ჯონსი (შალკე)

**ტრავმა:** უნერშტალი, პაპადოპულოსი, აფელაი, მარიკა - ოვომოიელა, ს. ბენდერი

ბოლო 6 მატჩი

+2=2-2 +4=1-1

ურთიერთშეხვედრები

სულ 81 თამაში: +28=24-29, (116:125)

**ფრაიბურგი-ვოლფსბურგი 18:30**

**დისკვალიფიკაცია:** მადლუნგი (ვოლფსბურგი)

**ტრავმა:** კალვენტე, ცუკი, ფრაისი - ნალდო, პილარი

ბოლო 6 მატჩი

+2=3-1 +1=2-3

ურთიერთშეხვედრები

სულ 19 თამაში: +9=6-4, (28:21)

**მაინცი-ლევერკუზენი 18:30**

**დისკვალიფიკაცია:** ზაბავნიკი - ვოლშაიდი

**ტრავმა:** ბუნგერტი, ჟუნიორ დიასი, რუკავიცა, სოტო - თოფრაქი, ბელარაბი

ბოლო 6 მატჩი

+1=4-1 +2=3-1

ურთიერთშეხვედრები

სულ 13 თამაში: +5=3-5, (20:20)

**ფიურტი-ჰოფენჰაიმი 18:30**

**ტრავმა:** ნდოიე, ჰეფელე, პრიბი, შტიბერი, ფალი - კრისი, გრიფო, რუდი, სალიჰოვიჩი, ვუკჩევიჩი

ბოლო 6 მატჩი

+1=2-3 +1=0-5

ურთიერთშეხვედრები

სულ 1 თამაში: +0=1-0, (3:3)

**გლადბახი-ვერდერი 21:30**

**დისკვალიფიკაცია:** მარქსი - პრიოდლი, სოკრატისი

**ტრავმა:** ვოლფი, ბარგფრედე, პ. სტევანოვიჩი, აკპალა, ფიულკრუგი (ყველა ვერდერი)

ბოლო 6 მატჩი

+2=2-2 +2=0-4

ურთიერთშეხვედრები

სულ 87 თამაში: +30=20-37, (138:141)

### 10 მარტი

**ჰანოვერი-აინტრახტი 18:30**

**დისკვალიფიკაცია:** როდე (აინტრახტი)

**ტრავმა:** ჩერუნდოლო, ეგიმანი, ფელიპე, ანდრეასენი, ფრანკა, ჰუშტი, შტინდლი, მ. დიუფი (ყველა ჰანოვერი)

ბოლო 6 მატჩი

+3=1-2 +2=2-2

ურთიერთშეხვედრები

სულ 43 თამაში: +16=14-13, (65:65)

**შტუტგარტი-ჰამბურგი 20:30**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ

**ტრავმა:** აუდელი, ბა, მაქსიმი, კაკაუ, თორუნი - ლამი, მანსიენი, ილიჩევიჩი

ბოლო 6 მატჩი

+1=1-4 +3=1-2

ურთიერთშეხვედრები

სულ 95 თამაში: +34=20-41, (149:144)

### დერბთა დერბი

„შალკეს“ ბუნდესლიგაში საკუთარ მოედანზე ზუსტად 399 გამარჯვება აქვს მოპოვებული და მე-400 თამაშის მოგებას სწორედ მოსისხლე მტერ „დორტმუნდთან“ აპირებს. გელზენკირხენელებს დორტმუნდელებთან დუელის დროს მოტივაცია ისედაც არ აკლიათ ხოლმე, მაგრამ რიგით მე-400 საშინაო მატჩის მაინცდამაინც „ბორუსიასთან“ მოგება ყველა შალკელისთვის უდიდესი გამოწვევაა.

„შალკეს“ მენეჯერი **ჰორსტ ჰელდტი** დღეს გახსნილ თამაშს ელის და სჯერა, რომ რურის დიდი დერბი მოლოდინს ასი პროცენტით გაამართლებს. იქნება თუ არა მატჩი სანახაობრივი, ამას დღეს ვნახავთ, მანამდე კი გადაჭრით მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ აგრესიულ თამაშს უნდა ველოდოთ, „შალკეს“ კი სწორედ ასეთი მატჩებისთვის ზედგამოჭრილი ფეხბურთელი, აგრესიული საყრდენი ნახევარმცველი **ჯერმეინ ჯონსი** აკლია. ამ უკანასკნელმა წინა ტურში, „ვოლფსბურგთან“ (4:1 „შალკეს“ სასარგებლოდ) მეხუთე გაფრთხილება მიიღო და დისკვალიფიცირებულია.

„დორტმუნდში“ კაპიტან **სებასტიან კელისა** და **სვენ ბენდერის** თამაშია საეჭვო. სხვა მხრივ, ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში გასული დორტმუნდელები (3:0 „შახტართან“) რევანშზე ფიქრობენ - გაგახსენებთ, რომ პირველ წრეში „შალკემ“ გერმანიის მოქმედი ჩემპიონი მისსავე მოედანზე 2:1 დაამარცხა.

*„იმედი მაქვს, რომ გელზენკირხენში მოვიგებთ და ამით პირველ წრეში განცდილი მარცხისთვის შურს ვიძიებთ,* - აცხადებს დორტმუნდელთა სპორტული დირექტორი **მიხაელ ცორკი** და იქვე დასძენს, - *ძალიან არ მინდა, რომ ერთ სეზონში „შალკემ“ ორჯერ მოგვიგოს.“*

სპორტული თვალსაზრისით დერბის უმთავრესი ინტრიგა ისაა, რომ „შალკეს“ ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვება უნდა, დორტმუნდელების მიზანი კი ამიერიდან მეორე ადგილის შენარჩუნებაა.

**სავარაუდო შემადგენლობები**

**შალკე (4-2-3-1):** ჰილდებრანდი - უჩიდა, ჰიოვედესი, მატიპი, კოლასინაცი - ჰიოგერი, ნოიშტედტერი - ფარფანი, დრაქსლერი, მიშელ ბასტოსი - ჰუნტელაარი.

**დორტმუნდი (4-2-3-1):** ვაიდენფელერი - პიშჩეკი, სუბოტიჩი, ჰუმელსი, შმელცერი - გიუნდოგანი, ნ. შაჰინი - ბლაშჩიკოვსკი, გიოტცე, როისი - ლევანდოვსკი.

**არბიტრი:** პეტერ გაგელმანი (ბრემენი)

### კროოსი: ჩემპიონობა რაც შეიძლება სწრაფად უნდა გავინაღდოთ!

მიუნხენის „ბაიერნი“ დიუსელდორფის „ფორტუნას“ მასპინძლობს და წესით, რეკორდმაისტერს მორიგი სამი ქულის მოპოვება არ უნდა გაუჭირდეს. დიუსელდორფელების საკულტო როკჯგუფ „დი თოთენ ჰოზენის“ სოლისტი კამპინო მღერის, „ბაიერნში“ არასდროს გადავიდოდიო (სიმღერასაც სწორედ ასე ეწოდება) და შეიძლება, „ფორტუნას“ მიუნხენში ჩაუსვლელობასა და 0:3-იან წაგებაზე ხელი მოეწერა, მაგრამ ეს გუნდი ვალდებულია, „ალიანს არენაზე“ ითამაშოს და იბრძოლოს როგორც შეუძლია.

*„იძულებულები ვართ, რომ არწაგების იმედი გვქონდეს. მიუნხენში თუნდაც მხოლოდ ერთი ქულის აღება ჩვენთვის ზღაპრული შედეგი იქნება,“* - აცხადებს „ფორტუნას“ მენეჯერი **ვოლფ ვერნერი**. მართალია, დიუსელდორფელები სატურნირო ცხრილში სამშვიდობოს არიან და მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითების საფრთხე არ ემუქრებათ, მაგრამ „აუგსბურგმა“ მეორე წრეში სერიოზული პროგრესი განიცადა და თუ „ფორტუნამაც“ არ დაიწყო ქულების დაგროვება, შესაძლოა, მალე აღმოჩნდეს რთულ მდგომარეობაში.

ფაქტია, რომ „ფორტუნას“ მიუნხენში არათუ ქულის აღება, ერთი გოლის გატანაც კი ძალიან გაუჭირდება, რადგან „ბაიერნმა“ მეორე წრეში დღემდე მხოლოდ ერთი გოლი გაუშვა და ისიც „ვერდერთან“ 6:1-ზე მოგებულ შეხვედრაში. *„მინდა, რომ რაც შეიძლება სწრაფად გავინაღდოთ გერმანიის ჩემპიონობა,“* - ამბობს ბავარიელთა გამთამაშებელი **ტონი კროოსი** და თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ რეკორდმაისტერი „დორტმუნდს“ 17 ქულით უსწრებს, კროოსს ეს წადილი წესით მალე უნდა აუხდეს.

### გადარჩენის ფინალი ფიურტში

„ფიურტისა“ და „ჰოფენჰაიმის“ სახით ერთმანეთს ბოლოადგილოსანი და ბოლოსწინა პოზიციაზე მყოფი გუნდები ხვდებიან, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს შეხვედრა ორივე გუნდისთვის ერთ-ერთი უკანასკნელი შანსია. ეს განსაკუთრებით „ფიურტზე“ ითქმის, რადგან 25-ე ტურის წინ ფიურტელები სამშვიდობო ზონას 13 ქულით ჩამორჩებიან, სარელეგაციო მე-16 ადგილს კი - 7 ქულით.

*„ეს მატჩი ჩვენთვის ფინალია, რომელიც აუცილებლად უნდა მოვიგოთ,“* - განაცხადა „ფიურტის“ მეკარე **ჰესლმა**. აქვე ისიც ვთქვათ, რომ „ფიურტი“ ის გუნდია, რომელსაც ამ სეზონში საკუთარ მოედანზე ერთხელაც არ მოუგია. ჰოფენჰაიმელთა ამოცანა კი პირველ რიგში არწაგება იქნება. „სოფლელებმა“ წინა ტურში „ბაიერნთან“ მხოლოდ 0:1 წააგეს, რაც მათთვის წარმატებად უნდა მივიჩნიოთ, ახლა კი „ფიურტთან“ მინიმუმ ფრეს ისურვებენ. ერთი სიტყვით, ფაქტია, რომ ამ დუელში წაგებული მეორე ბუნდესლიგისკენ აიღებს გეზს.




რურის დიდი დერბი პირველ წრეში „შალკემ“ აფელაის და ჰიოგერის გოლებით მოიგო

### ფრაიბურგი ევროპას უმიზნებს

„ფრაიბურგისა“ და „ვოლფსბურგის“ ჯახი ისეთი გუნდების დაპირისპირებაა, რომელთაგანაც ამ სეზონში რადიკალურად სხვა ფეხბურთს და სხვანაირ შედეგებს ველოდით. „ფრაიბურგი“ ყველასათვის მოულოდნელად, ევროზონაშია და ევროპალიგაში მოხვედრის რეალური შანსი აქვს, გაცილებით ძვირადღირებული ფეხბურთელებით დაკომპლექტებული „ვოლფსბურგი“ კი მე-15 ადგილზე იმყოფება და ევროპალიგის საგზურისთვის მხოლოდ გერმანიის თასიდან თუ იბრძოლებს. ყველაზე საინტერესო ისაა, რომ „ფრაის“ „ბაიერნის“ შემდეგ საუკეთესო დაცვა ჰყავთ - ბრაისგაუელთა კარის აღება ამ სეზონში მხოლოდ 23-ჯერ მოხერხდა! აქვე ისიც ვთქვათ, რომ **კრისტიან შტრაიხის** შეგირდებმა ბოლო 12 ოფიციალური მატჩიდან მხოლოდ ერთი წააგეს (1:2 ჰოფენჰაიმთან).

მიუხედავად მე-15 ადგილზე ყოფნისა, „ვოლფებს“ მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითების საფრთხე თითქოს არ ემუქრებოდათ, მაგრამ ბოლო დროს ქულები უხვად არიგეს, აუგსბურგელები კი მათ სათოფეზე მიუახლოვდნენ, რაც „მგლებისთვის“ საშიში ტენდენციაა. *„მარტივ სიტუაციაში ნამდვილად არ ვართ,“* - აღიარებს „ვოლფსბურგის“ მწვრთნელი **დიტერ ჰეკინგი**, რომელიც დღეს ტრავმირებულ **ნალდოს** ვერ გამოიყენებს.

### საშინაო კომპლექსი საგარეო კომპლექსის წინააღმდეგ

„მაინცმა“ ზედიზედ ოთხი საშინაო მატჩი ვერ მოიგო და „ლევერკუზენის“ სახით ისეთ გუნდს მასპინძლობს, რომელსაც გასვლით მატჩებში აქვს 4-თამაშიანი მოუგებელი სერია. მაინცელთა თავკაცმა **თომას ტუხელმა** წინა ტურში **ადამ სალაისა** (12 გოლი) და **ნიკოლაი მიულერის** (4 გოლი) სახით წამყვანი ფეხბურთელები სკამზე დასვა. სამაგიეროდ, ტუხელმა **ივან კლასნიჩი** ათამაშა, რომელმაც თომასს მადლობა გოლით გადაუხადა. შესაბამისად, საინტერესოა, ისევ სალაის დააბრუნებს, თუ კვლავ კლასნიჩს ენდობა. ამასთან, ტუხელს მარცხენა მცველი **ზაბავნიკი** დისკვალიფიცირებული ჰყავს, **ჟუნიორ დიასი** და **სოტო** ტრავმირებულები არიან, **კირხჰოფის** თამაში კი კითხვის ნიშნის ქვეშაა. „ლევერკუზენის“ თავკაცთა ტანდემი **(ლევანდოვსკი/ჰიიპია)** ცენტრალურ მცველ **ვოლშაიდს** ვერ გამოიყენებს - ეს უკანასკნელი დისკვალიფიცირებულია.

### ზოგი ჭირი მარგებელია?

შაბათის საღამოს მატჩი „გლადბახისა“ და „ვერდერის“ დაპირისპირებაა. მიონხენგლადბახელები ევროზონას მიუახლოვდნენ და შესაძლოა, დღეს **ხუან არანგოც** დაუბრუნდეთ - ვენესუელელი ტრავმირებული იყო. **ლუსიენ ფავრის** გუნდმა წინა ტურში სენსაციური „აინტრახტის“ დამარცხება შეძლო, „ვერდერმა“ კი მორიგი სირცხვილი ჭამა - **თომას შააფის** ბიჭები საკუთარ „ვეზერშტადიონზე“ „აუგსბურგთან“ 0:1 დამარცხდნენ. „გლადბახთან“ დუელში შააფს დაცვის ცენტრში სერიოზული საკადრო პრობლემები აქვს - ძირითადი უკანახაზელები, **სოკრატისი** და **პრიოდლი** დისკვალიფიცირებულები არიან. შესაბამისად, შააფი იძულებულია, მათ ნაცვლად ძირითადში **პავლოვიჩი** და **ლუკიმია** ათამაშოს. თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ ძირითადი მცველებით „ვერდერს“ 48 (!), ანუ, ყველაზე მეტი გოლი აქვს გაშვებული, იოლი წარმოსადგენია, ლოგიკურად რა უნდა დაემართოთ სათადარიგო მცველებს. თუმცა, შესაძლოა, ლუკიმიამ და პავლოვიჩმა დაკისრებულ ამოცანას თავი სულაც პრიოდლზე და სოკრატისზე უკეთ გაართვან...

### ჰანოვერის მე-1000 ქულა?

კვირის პირველი მატჩი „ჰანოვერისა“ და „აინტრახტის“ დაპირისპირებაა, რაც ევროსაგზურებისთვის ბრძოლას ნიშნავს. „წითლებს“ ევროპალიგის ზონაში დაბრუნება სურთ, ფრანკფურტელები კი, მართალია, ჯერაც ჩემპიონთა ლიგის ზონაში არიან, მაგრამ მდევრებს 2-ქულიან დისტანციაზე მიახლოების საშუალება მისცეს. დღეისათვის „აინტრახტის“ პრობლემა ისაა, რომ **არმინ ფეჰ** გუნდი გოლების გატანას ველარ ახერხებს - „აინტრახტს“ 414-წუთიანი უგოლო სერია აქვს. **მირკო სლომკას** გუნდმა კი ზედიზედ 5 საშინაო მატჩი მოიგო და თუ „ჰანოვერი“ „აინტრახტსაც“ დაამარცხებს, ბუნდესლიგის ისტორიაში მე-16 გუნდი გახდება, რომელიც 1000-ქულიან ბარიერს გადალახავს.

### ლაბადიას განსაკუთრებული მატჩი

„შტუტგარტი“ ერთადერთი გერმანული კლუბია, რომელიც ევროპალიგას შემორჩა და როგორც ჩანს, შვაბებიც გავარდებიან, რადგან ხუთშაბათს რომის „ლაციოსთან“ საკუთარ „მერსედეს ბენც არენაზე“ 0:2 დამარცხდნენ. შვაბები კვირას საღამოს „ჰამბურგს“ ხვდებიან და ეს მატჩი „შტუტგარტის“ თავკაც **ბრუნო ლაბადიასთვის** განსაკუთრებულია - დღეს უკვე 47 წლის ბრუნოს თავის დროზე „ჰამბურგის“ რიგებში 50 მატჩი აქვს ჩატარებული (16 გოლი). 2009-დან 2010 წლამდე კი ბრუნო „ჰამბურგის“ მთავარი მწვრთნელიც გახლდათ.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

უცხოური ფეხბურთი

საფრანგეთი. ლიგა 1. XXVIII ტურის წინ

# ოლიმპიკი VS ოლიმპიკი

| რენი-სტ. ეტიენი | 2:2 |
|---|---|

**გოლები:** 1:0 დანზე (44), 1:1 მოლო (45), 2:1 ფერე (51), 2:2 ობამეიანი (68).

| 9 მარტი | |
|---|---|
| პსჟ-ნანსი | 20:00 |
| აიაჩო-ლორიანი | 23:00 |
| ტრუა-რეიმსი | 23:00 |
| ევიანი-სოშო | 23:00 |
| ბრესტი-ტულუზი | 23:00 |
| ვალანსიენი-ლილი | 23:00 |

| 10 მარტი | |
|---|---|
| ნიცა-მონპელიე | 17:00 |
| ბორდო-ბასტია | 20:00 |
| ლიონი-მარსელი | 00:00 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პსჟ | 27 | 16 | 6 | 5 | 49-17 | 54 |
| 2. ლიონი | 27 | 15 | 7 | 5 | 47-26 | 52 |
| 3. მარსელი | 27 | 15 | 4 | 8 | 34-32 | 49 |
| 4. სტ. ეტიენი | 28 | 13 | 9 | 6 | 46-21 | 48 |
| 5. ნიცა | 27 | 12 | 9 | 6 | 39-32 | 45 |
| 6. მონპელიე | 27 | 13 | 5 | 9 | 43-32 | 44 |
| 7. ლილი | 27 | 11 | 10 | 6 | 37-27 | 43 |
| 8. რენი | 28 | 12 | 6 | 10 | 41-38 | 42 |
| 9. ლორიანი | 27 | 10 | 10 | 7 | 43-43 | 40 |
| 10. ბორდო | 27 | 9 | 11 | 7 | 27-24 | 38 |
| 11. ვალანსიენი | 27 | 9 | 8 | 10 | 35-37 | 35 |
| 12. ტულუზი | 27 | 8 | 10 | 9 | 32-32 | 34 |
| 13. ბასტია | 27 | 8 | 6 | 13 | 30-51 | 30 |
| 14. აიაჩო | 27 | 7 | 10 | 10 | 29-37 | 29 |
| 15. ბრესტი | 27 | 8 | 5 | 14 | 28-37 | 29 |
| 16. რეიმსი | 27 | 6 | 9 | 12 | 23-31 | 27 |
| 17. სოშო | 27 | 7 | 6 | 14 | 28-40 | 27 |
| 18. ევიანი | 27 | 5 | 9 | 13 | 25-39 | 24 |
| 19. ნანსი | 27 | 4 | 9 | 14 | 24-45 | 21 |
| 20. ტრუა | 27 | 3 | 11 | 13 | 29-48 | 20 |

**შენიშვნა:** „აიაჩოს" – 2 ქულა

**ბომბარდირები:** 22 – იბრაჰიმოვიჩი (პარი სენ ჟერმენი); 15 – ობამეიანი (სენტ ეტიენი); 12 – ცვიტანიჩი (ნიცა), გომისი (ლიონი); 11 – ალიადიერი (ლორიანი); 10 – ალესანდრინი (რენი), ბენ ბასატი (ბრესტი/ტულუზი), პაიე (ლილი).

კვირას ერთმანეთის წინაშე ორი „ოლიმპიკი" 86-ედ წარსდგება. უკვე ჩატარებულ 85 დაპირისპირებაში უპირატესობას „ლიონი" ფლობს: 28 მოგება 25-ის წინააღმდეგ (32 შეხვედრა ფრედ დასრულდა, ბურთების სხვაობა: 136-140). „სტად ჟერლანზე" ჩატარებული 42 მატჩიდან „ლიონმა" 18 მოიგო, ამდენივე ფრედ დასრულდა, „მარსელმა" კი მხოლოდ 6-ჯერ იმარჯვა – უკანასკნელად 2007 წელს, როდესაც **ჟუნინიო პერნამბუკანოს** ადრეულ გოლს, **მამადუ ნიანგმა** დუბლით უპასუხა.

**რემი გარდის** გუნდი სატურნირო ცხრილში მეორე ადგილზეა და ლიდერ პსჟ-ს მხოლოდ 2 ქულით ჩამორჩება. სამი ქულით და ერთი პოზიციით უკან არის „მარსელი", რომელიც ჩემპიონობაზეც ფიქრობს, მაგრამ გუნდის რეალური მიზანი მესამე ადგილის შენარჩუნებაა, რადგან ბოლო პერიოდის ჩავარდნის გამო, პროვანსელები „სენტ ეტიენმა" და „ნიცამ" წნეხის ქვეშ მოაქციეს.

„ლიონს" ამ შეხვედრისთვის **მაქსიმ გონალონი** უბრუნდება, რომელმაც წინა ტურის მატჩი („ბრესტთან" 1:1) გამოტოვა. ვარჯიში განაახლა **იოან გურკუფმაც**, ვისაც ტრავმის გამო სამი კვირა გაუცდა, მაგრამ მისი ამ თამაშში მონაწილეობა საეჭვოა. საკადრო პრობლემები „მარსელსაც" არ აწუხებს – **ელი ბოპს ბენუა შეირუ** დაუბრუნდა, რომელმაც გურკუფის მსგავსად სამი კვირა გამოტოვა, თუმცა მისი შემადგენლობაში მოხვედრის შანსი საკმაოდ დიდია.

ამ გუნდების პირველი წრის შეხვედრაში „ლიონმა" „მარსელი" შეარცხვინა და „ველოდრომზე" 4:1 მოუგო (სამი გოლი **ბაფეტიმბი გომისმა** გაიტანა), ასე რომ „მარსელს" რევანში აქვს ასაღები, თუმცა ამის გაკეთება ძალიან რთული იქნება, რადგან რემი გარდის შეგირდები შინ ძალიან კარგად თამაშობენ, „მარსელი" კი სტუმრად მაინცდამაინც არ ბრწყინავს.

### პარი სენ-ჟერმენი ეცდება

პირველობის ლიდერი კონკურენტების ურთიერთშეხვედრით სარგებლობას ეცდება. „პარი სენ-ჟერმენი" ამ ტურში „ნანსის" ხვდება, რომელმაც ბოლო პერიოდში თითქოს გამოიღვიძა, მაგრამ „პარკ დე პრენსზე" უშანსოდ უნდა იყოს. საინტერესოა, რომ ურთიერთშეხვედრებში უპირატესობას „ნანსი" ფლობს: 18 მოგება 16-ის წინააღმდეგ. გარდა ამისა, პარიზში გამართული 25 შეხვედრიდან მასპინძლებმა მხოლოდ 8 მოიგეს, „ნანსიმ" კი დედაქალაქი სამი ქულით ხელდამშვენებულმა 10 შემთხვევაში დატოვა – ბოლოს შარშან, როდესაც **ჟან კალვეს** გოლის წყალობით 1:0 მოიგო. საერთოდ, შარშანდელ სეზონში „ნანსიმ" პსჟ-ს ორივე შეხვედრაში აჯობა (2:1 და 1:0), ხოლო პარიზში გამართული ბოლო 10 მატჩიდან მხოლოდ 2 წააგო. ასე რომ, როგორც ხედავთ, „ნანსი" აუტსაიდერი კი არის, მაგრამ პარიზელებისთვის ისტორიულად უხერხული მეტოქეა.

**კარლო ანჩელოტის კრისტოფ ჟალე** და **ჟერემი მენეზი** დააკლდება, თუმცა პარიზელებს იმხელა სათადარიგოთა სკამი აქვთ, რომ ამ ორი ფეხბურთელის გამოკლება არ უნდა დაეტყოთ. სტუმრებს ტრავმების გამო **ვენსან მურატორი** და **რომენ გრანჟი** არ ეყოლებათ. გარდა ამისა, დისკვალიფიცირებულია **ფლორიან ზიტი**, ახალგაზრდა (19 წლის) ფეხბურთელი, რომელმაც სულ ორი მატჩის ჩატარება მოასწრო – ერთში გოლი გაიტანა, მეორეში კი გააძევეს. უცნაურია ის, რომ ზიტი ამ ორიდან პირველ შეხვედრაში გააძევეს („სენტ ეტიენთან"), გოლი კი წინა ტურში („სოშოსთან") გაიტანა, რის შემდეგაც მას დისკვალიფიკაცია მისცეს.



ლიონი-მარსელი: პირველი წრის შეხვედრაში, გომისმა (მარჯვნივ) მანდანდა სამჯერ დაამწუხრა

### სამაგალითო დასჯა – ეისერიკი 11 მატჩს გამოტოვებს

დიდ ინტერესს იწვევს „ნიცას" და „მონპელიეს" დაპირისპირება. ორივე გუნდი ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის იბრძვის და ეს შეხვედრა, ე.წ. „6 ქულიანი" მატჩია. მასპინძლებს კვლავ არ ეყოლებათ **ჟერემი პიე** და **დარიო ცვიტანიჩი**, რაც ძალიან დიდი დანაკლისია. გარდა ამისა, 11-მატჩიანი დისკვალიფიკაცია მიიღო **ვალენტინ ეისერიკმა**, რომელმაც **ჟერემი კლემანს** ფეხი მოტეხა. ასევე ტრავმირებულია გუნდის მწვრთნელის, **კლოდ პუელის** შვილი **გრეგორი პუელი**. მოკლედ, ზღვისპირელებს სერიოზული საკადრო პრობლემები აქვთ.

პრაქტიკულად ანალოგიური სიტუაციაა „მონპელიეშიც". საფრანგეთის 2012 წლის ჩემპიონს ტრავმის გამო აკლია: **სულეიმან კამარა, გარი ბოკალი, ჯამელ საიჰი, რემი კაბელია** და **ქარიმ აიტ-ფანა. სირილ ჟონშამი** და **ანრი ბედიმო** კი დისკვალიფიცირებულნი არიან. სამაგიეროდ, გუნდს **იუნეს ბელჰანდა** უბრუნდება, რაც ასეთ სიტუაციაში მყოფი ორი გუნდის შეხვედრაში შესაძლოა გადამწყვეტი ფაქტორიც იყოს. ამ წყვილში ფავორიტის გამოყოფა რთულია, რადგან ორივე გუნდს სარეზერვო თუ არა, შერეული შემადგენლობით მოუწევს თამაში.

საინტერესოა, რას იზამს „ლილი", რომელმაც ზედიზედ 4 მატჩი მოიგო და ლიდერებს მიუახლოვდა. **რუდი გარსიას** შეგირდები „ვალანსიენს" ეთამაშებიან, რომელიც შინ ტრადიციულად კარგად თამაშობს (მხოლოდ ორი წაგება, „ლიონთან" და პსჟ-სთან). „ძაღლებს" **რიო მავუბა, იდრისა გეიე** და **რაიან მენდესი** არ ეყოლებათ. მასპინძლებს კი **ანტონი ლე ტალეკის, რემი გომისის** (ორივე ტრავმირებულია) და **რუდი მატერის** (დისკვალიფიკაცია) იმედი არ უნდა ჰქონდეთ.

**ტატო ბაციკაძე**

ლიბერტადორესის თასი. ჯგუფური ეტაპი

# ბოკა ხუნიორსი კრიზისშია

| I ჯგუფი. III ტური | |
|---|---|
| ბოკა–ნასიონალი | 0:1 |

**გოლი:** 0:1 სკოტი (20).
**გაძევება:** ლემბო (74).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ნასიონალი | 3 | 2 | 1 | 0 | 6-4 | 7 |
| 2. ტოლუკა | 3 | 1 | 1 | 1 | 5-5 | 4 |
| 3. ბოკა | 3 | 1 | 0 | 2 | 3-4 | 3 |
| 4. ბარსელონა | 3 | 0 | 2 | 1 | 4-5 | 2 |

| III ჯგუფი. III ტური | |
|---|---|
| სან პაულო–არსენალი | 1:1 |

**გოლები:** 1:0 ჟადსონი (45), 1:1 ბენედეტო (49-პენ).

| ატლ. მინეირო–სტრონგესტი | 2:1 |
|---|---|

**გოლები:** 1:0 ჟო (57), 2:0 რონალდინიო (73-პენ), 2:1 მელგარი (90).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ატლ. მინეირო | 3 | 3 | 0 | 0 | 9-4 | 9 |
| 2. სან პაულო | 3 | 1 | 1 | 1 | 4-4 | 4 |
| 3. სტრონგესტი | 3 | 1 | 0 | 2 | 4-5 | 3 |
| 4. არსენალი | 3 | 0 | 1 | 2 | 4-8 | 1 |

| VI ჯგუფი. III ტური | |
|---|---|
| სერო პორტენიო–სანტა ფე | 1:2 |

**გოლები:** 1:0 ფაბრო (45), 1:1 ო. პერესი (59-პენ), 1:2 ო. პერესი (77-პენ).
**გაძევება:** ვ. მარტინესი (76. სერო პორტენიო).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეალ გარს. | 3 | 2 | 1 | 0 | 3-1 | 7 |
| 2. სანტა ფე | 3 | 1 | 2 | 0 | 4-3 | 5 |
| 3. დეპ. ტოლიმა | 3 | 1 | 1 | 1 | 3-3 | 4 |
| 4. სერო პორტენიო | 3 | 0 | 0 | 3 | 2-5 | 0 |

**ბომბარდირები:** 3 – ბარეირო (ოლიმპია), ბერნარდი (ატლეტიკო მინეირო), ვილიალობოსი (დეპორტეს იკიკე), ჟო (ატლეტიკო მინეირო).



დაღონებული ხუან რომან რიკელმე და კარლოს ბიანკი

„ბოკა ხუნიორსმა" შინ ზედიზედ მეორე შეხვედრა წააგო, ამჯერად ლიბერტადორესის თასზე. **კარლოს ბიანკის** მოსვლის შემდეგ, „ბოკამ" ყველა ტურნირზე 7 მატჩი ჩაატარა, აქედან მხოლოდ ორი მოიგო, ერთი ფრედ დაასრულა და ოთხი წააგო.

არგენტინის ჩემპიონატში „უნიონთან" სენსაციური წაგების შემდეგ („უნიონმა" 26-მატჩიანი მოუგებელი სერია დაასრულა), ლიბერტადორესის თასის 6-გზის გამარჯვებულმა „ნასიონალს" უმასპინძლა და მოედანი კვლავ დამარცხებულმა დატოვა. შეხვედრის ერთადერთი გოლი 37 წლის **ანდრე სკოტიმ** გაიტანა, რომელსაც საგოლე პასი **ხუან ალბინმა** მიაწოდა.

მეორე ტაიმში სტუმრებს კიდევ ერთი გამოცდილი წევრი, **ალეხანდრო ლემბო** გაუძევეს, მაგრამ **რიკელმემ** და კომპანიამ ვერც მეტოქის კაცნაკლულობით ისარგებლეს. საბოლოოდ, 0:1 და „ბოკას" მდგომარეობა უკიდურესად დამძიმდა – ბიანკის გუნდი მესამე ადგილზეა და დარჩენილი სამი მატჩიდან ორი სტუმრად უწევს, თუმცა თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ „ბოკამ" ლიბერტადორესის თასზე ორივე საშინაო მატჩი წააგო (I ტურში „ტოლუკასთან"), ეს ფაქტი შესაძლოა კარგიც იყოს.

მოულოდნელად ვერ მოიგო „სან პაულომ". **ნეი ფრანკოს** შეგირდები სარანდის „არსენალთან" დიდ უპირატესობას ფლობდნენ და 45-ე წუთზე **ჟადსონის** მიერ გატანილი გოლის წყალობით დაწინაურდნენ კიდეც, თუმცა არგენტინელებმა მეორე ტაიმში მოუმატეს – 49-ე წუთზე **დარიო ბენედეტომ** პენალტი გამოიყენა და ანგარიში გაათანაბრა. ამის შემდეგ, ბურთს ძირითადად მასპინძლები ფლობდნენ, მაგრამ „არსენალი" საკმაოდ სახიფათო კონტრშეტევებს ახორციელებდა. მოგება ორივე გუნდს შეეძლო, მაგრამ მატჩი ფრედ დასრულდა.

ამავე ჯგუფში მესამე მატჩი მოიგო „ატლეტიკო მინეირომ". ბოლივიური „სტრონგესტის" წინააღმდეგ გოლები **ჟომ** და **რონალდინიომ** გაიტანეს. სხვათა შორის, ჟო და **ბერნარდი** ბომბარდირთა დავის ლიდერებში არიან, რონალდინიო კი სამი საგოლე პასით, ასისტენტებში ერთპიროვნულად ლიდერობს.

„სტრონგესტი" საკმაოდ კარგი გუნდის შთაბეჭდილებას ტოვებს და პროგნოზების მიუხედავად, ამ ჯგუფის აუტსაიდერი სულაც არ არის. ბოლივიელებს შინ ზედიზედ ორი მატჩი ელით („სან პაულოსთან" და „ატლეტიკო მინეიროსთან"). ლა პასის ფაქტორს თუ გავითვალისწინებთ, „სტრონგესტს" ორივე მატჩის მოგების საკმაოდ კარგი შანსი აქვს.

სათამაშო დღის ყველაზე უინტერესო მატჩი კი ასუნსიონში გაიმართა. პარაგვაის ერთ-ერთმა გრანდმა „სერო პორტენიომ" ზედიზედ მესამე მატჩი წააგო და მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსი პრაქტიკულად დაკარგა. მასპინძლები არგენტინული წარმოშობის პარაგვაელის **ხუან ფაბროს** გოლით იგებდნენ, მაგრამ მეორე ტაიმში, კოლუმბიელთა ერთადერთმა ლეგიონერმა, ასევე არგენტინელმა **ომარ პერესმა** ორი პენალტი გამოიყენა და „სანტა ფეს" პირველი გამარჯვება მოაპოვებინა.

**ტატო ბაციკაძე**

ამბები

### კვირის გოლი დელ პიეროსია

GOAL.COM-ის მკითხველთა გამოკითხვით გასული კვირის საუკეთესო გოლი პლანეტაზე 38 წლის **ალესანდრო დელ პიერომ** გაიტანა. „იუვენტუსის" ლეგენდა ახლა „სიდნეიში" თამაშობს, მან „პერტის" კარში სუპერგოლი გაიტანა შორი მანძილიდან, თუმცა „სიდნეი" მაინც დამარცხდა - 1:2.

დელ პიეროს გოლს მკითხველთა 58%-მა დაუჭირა მხარი. მე-2 ადგილზე **ომარ აბდულრაჰმანის** („ალ აინი") გოლი გავიდა - 22%, მესამე ადგილზე გავიდა **ეიდურ გუდიონსენის** გოლი („ბრიუგე") - 13%. 34 წლის ისლანდიელი ყველას „ჩელსის" და „ბარსელონაში" გატარებული დროით გვახსოვს.

### ტევესი დაიჭირეს



„მანჩესტერ სიტი" 29 წლის არგენტინელ ფორვარდს **კარლოს ტევესს** ფათერაკები მუდამ თან დაჰყვება - 7 მარტს ის დიდი ბრიტანეთის პოლიციამ მანქანის მართვისთვის დააკავა. არ არის გამორიცხული, რომ მას ციხეც დაემუქროს.

საქმე იმაშია, რომ იანვარში სასამართლომ ტევესს მართვის უფლება 6 თვით ჩამოართვა, მაგრამ პოლიციამ ის მაინც საჭესთან გამოიჭირა ჩეშირში, საკუთარ სახლთან ახლოს.

მოგვიანებით ტევესი შინ გაუშვეს, თუმცა მის წინააღმდეგ საქმე აღიძრა. მაქსიმალური სასჯელი ამ დანაშაულისთვის 6-თვიანი ციხე და 5 ათასი გირვანქა სტერლინგია. სხვათა შორის, ტევესი შინ იმიტომ გაუშვეს, რომ მაკლსფილდის პოლიციის განყოფილებაში თარჯიმანი ვერ იშოვეს, ის სამშაბათს არის დაბარებული.

იანვარში მას 6 თვით მართვის მოწმობა იმიტომ ჩამოართვეს, რომ იგნორირებას უწევდა პოლიციის გამოგზავნილ ჯარიმებს. მოგვიანებით ეს მან იმით ახსნა, რომ ვერ გაიგო, რას ნიშნავდა Cheshire Constabulary (ჩეშირის პოლიცია).

„მანჩესტერ სიტის" ვარსკვლავს მართვის მოწმობის გარეშე ჯირითობისთვის 6-თვიანი ციხე ელის.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

### ლაუდრუპმა ხელშეკრულება გაახანგრძლივა

**მიქაელ ლაუდრუპმა** "სუონსისთან" კონტრაქტი ერთი წლით, 2015 წლის ივნისამდე გაახანგრძლივა და მის მომავალთან დაკავშირებით მიმდინარე სპეკულაციებს ბოლო მოუღო. 48 წლის დანიელმა, რომლის გადაბირებითაც, ჟურნალისტების ცნობით, მადრიდის "რეალი" და ლონდონის "ჩელსი" იყვნენ დაინტერესებულნი, "სუონსის" ევროპის ლიგაზე გაძღოლის სურვილი გამოთქვა.

*"ჩვენ ამ სეზონში საფუძველი ჩავყარეთ და მუშაობის გაგრძელება მსურს. ვიცი, რომ ბოლო პერიოდში, ჩემს მომავალთან დაკავშირებით ბევრი ჭორი ვრცელდებოდა, მაგრამ ყოველთვის ვამბობდი, რომ აქ ბედნიერი ვიყავი და წასვლას არ ვაპირებდი,"* – განაცხადა ლაუდრუპმა.

შეგახსენებთ, რომ უელსურმა კლუბმა, ინგლისის ლიგის თასის ფინალში "ბრედფორდს" 5:0 მოუგო და მომდევნო სეზონში ევროპის ლიგაზე ასპარეზობის უფლება მოიპოვა.

**ტატო ბაციკაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესპანეთი. ლა ლიგა. XXVII ტურის წინ

# გრანდები და გალისიელები

## მერე რა, რომ ბარსა დეპორს 51 ქულით უსწრებს

LFP

### 8 მარტი

**ბეტისი–ოსასუნა 2:1**

**გოლები:** 1:0 მოლინა (19), 1:1 ფ. სილვა (74), 2:1 რ. კასტრო (79).

**გაძევება:** ფ. სილვა (90. ოსასუნა).

**შენიშვნა:** + მოგება, = ფრე, - წაგება () ბურთების სხვაობა

**შენიშვნა:** ურთიერთშეხვედრები ჩემპიონატისა და თასის მატჩები 1994 წლიდან

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 26 | 22 | 2 | 2 | 83-30 | 68 |
| 2. ატლეტიკო | 26 | 18 | 3 | 5 | 48-23 | 57 |
| 3. რეალი | 26 | 17 | 4 | 5 | 64-24 | 55 |
| 4. მალაგა | 26 | 12 | 7 | 7 | 37-24 | 43 |
| 5. ბეტისი | 27 | 13 | 4 | 10 | 39-39 | 43 |
| 6. ვალენსია | 26 | 12 | 6 | 8 | 38-39 | 42 |
| 7. სოსიედადი | 26 | 11 | 8 | 7 | 44-34 | 41 |
| 8. ხეტაფე | 26 | 11 | 5 | 10 | 37-44 | 38 |
| 9. ვალეკანო | 26 | 12 | 2 | 12 | 34-43 | 38 |
| 10. სევილია | 26 | 10 | 5 | 11 | 38-38 | 35 |
| 11. ლევანტე | 26 | 10 | 5 | 11 | 32-40 | 35 |
| 12. ვალიადოლიდი | 26 | 9 | 7 | 10 | 34-33 | 34 |
| 13. ესპანიოლი | 26 | 8 | 8 | 10 | 31-35 | 32 |
| 14. ბილბაო | 26 | 8 | 5 | 13 | 31-50 | 29 |
| 15. ოსასუნა | 27 | 7 | 7 | 13 | 23-30 | 28 |
| 16. გრანადა | 26 | 7 | 5 | 14 | 25-38 | 26 |
| 17. სარაგოსა | 26 | 7 | 4 | 15 | 25-38 | 25 |
| 18. სელტა | 26 | 6 | 5 | 15 | 25-36 | 23 |
| 19. მალიორკა | 26 | 5 | 6 | 15 | 26-49 | 21 |
| 20. დეპორტივო | 26 | 3 | 8 | 15 | 29-56 | 17 |

**ბომბარდირები:** 39 - ლიონელ მესი (ბარსელონა); 24 - კრიშტიანო რონალდო (რეალი); 21 - რადამელ ფალკაო (ატლეტიკო); 13 - რობერტო სოლდადო (ვალენსია), ალვარო ნეგრედო (სევილია), რუბენ კასტრო (ბეტისი).

### 9 მარტი

**ვალეკანო–ესპანიოლი 19:00**

**დისკვალიფიკაცია:** ამატი

**ტრავმა:** ლაბაკა, როდრი - ბაენა (?)

ბოლო 6 მატჩი

+1=2-3 +3=1-2

ურთიერთშეხვედრები

სულ 17 თამაში: +3=5-9, (16-33)

**ვალიადოლიდი–მალაგა 21:00**

**დისკვალიფიკაცია:** ტულალანი

**ტრავმა:** პერესი, ებერტი - ბაპტიშტა, პორტილიო (?), ელიზეუ

ბოლო 6 მატჩი

+1=3-2 +3=2-1

ურთიერთშეხვედრები

სულ 17 თამაში: +6=6-5, (17-17)

**ბარსელონა–დეპორტივო 23:00**

**დისკვალიფიკაცია:** ვალდესი, პიკე - მარჩენა

**ტრავმა:** ჩავი, ბარტრა - რიკი, ზე კაშტრო, კაკა

ბოლო 6 მატჩი

+4=1-1 +0=1-5

ურთიერთშეხვედრები

სულ 37 თამაში: +18=7-12, (66-51)

**მალიორკა–სევილია 01:00**

**დისკვალიფიკაცია:** მ. პერეირა

**ტრავმა:** ჟ. ვიქტორი, ლოპესი, არისმენდი, ჟერომელი, ლუნა, ალვარო - პეროტი, კამპანია, ტროხოვსკი

ბოლო 6 მატჩი

+1=1-4 +4=0-2

ურთიერთშეხვედრები

სულ 27 თამაში: +6=9-12, (31-49)

### 10 მარტი

**ბილბაო–ვალენსია 15:00**

**დისკვალიფიკაცია:** ანდერი - გუარდადო

**ტრავმა:** გალარეტა, პერესი, გურპეგი - პერეირა (?), რამი, კოშტა

ბოლო 6 მატჩი

+2=1-3 +3=3-0

ურთიერთშეხვედრები

სულ 39 თამაში: +10=9-20, (47-68)

**ლევანტე–ხეტაფე 20:00**

**დისკვალიფიკაცია:** ბარკერო - პედრო ლეონი, ბორხა

**ტრავმა:** მანე, როდრიგესი, ვალერა, ლაფიტა

ბოლო 6 მატჩი

+1=2-3 +4=0-2

ურთიერთშეხვედრები

სულ 21 თამაში: +7=8-6, (23-23)

**სელტა–რეალი 22:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ

**ტრავმა:** მალიო, ლაგო (?), ლიორკა - კასილიასი, დი მარია

ბოლო 6 მატჩი

+1=1-4 +5=0-1

ურთიერთშეხვედრები

სულ 29 თამაში: +10=3-16, (36-50)

**ატლეტიკო–სოსიედადი 00:00**

**დისკვალიფიკაცია:** მ. სუარესი

**ტრავმა:** ტიაგო - იფრანი, კასტრო, ილარამენტი (?), ელუსტონდო

ბოლო 6 მატჩი

+3=1-2 +3=3-0

ურთიერთშეხვედრები

სულ 29 თამაში: +10=7-12, (46-41)

### 11 მარტი

**სარაგოსა–გრანადა 23:30**

**დისკვალიფიკაცია:** ლოოვენსი

**ტრავმა:** ვილჩესი, ობრადოვიჩი, სუკულინი, აპონიო (?), რობერტო (?), ალამო (?) - არანდა, ფ. რიკო, ბენიტესი

ბოლო 6 მატჩი

+0=3-3 +2=0-4

ურთიერთშეხვედრები

სულ 5 თამაში: +3=0-2, (5-4)



ბარსას კრიზისმა ლეო მესიზეც იმოქმედა

**მიუხედავად იმისა, რომ ახლანდელი „დეპორტივო" ის „დეპორტივო" აღარ არის, ლაკორუნიულმა გუნდმა პირველ წრეში საოცარი სპექტაკლი შემოგვთავაზა - „ბარსელონას" კარში 4 გოლი გაიტანა! თუმცა „რიასორზე" შეკრებილი და დიდ ფეხბურთს დანატრებული 35 ათასი გალისიელის სამწუხაროდ, 5 საკუთარ კარში მიიღო და ფეერიულ მატჩში 4:5 წააგო. ლეო მესიმ მაშინ ჰეთთრიკი შეასრულა. მაშინ ყველა აღფრთოვანებული იყო მესის თამაშით. ახლა კი მესის მატჩისწინა კომენტარებში გაღიზიანება ეტყობა, რაც იმას კიდევ უფრო აშიშვლებს, რომ „ბარსელონაში" ყველაფერი კარგად არ არის: „ყველას ერთი სული აქვს, კიდევ წავაგოთ, რომ თქვან, „ბარსას" ეპოქა სრულდება", - ეს ლეოს კომენტარია.**

### განმეორდება პირველი წრის თრილერი?

შაბათს „კამპ ნოუზე" „დეპორტივო" ჩადის. პირველადგილოსანი გუნდი ბოლოადგილოსანს ილებს და მიუხედავად ამისა, ყველაზე მეტი ინტრიგა შეიძლება სწორედ ამ თამაშს ჰქონდეს. არადა, „ბარსას" და „დეპორს" შორის სხვაობა ქულებში 51-ია... 51!!!

„ბარსელონას" შეუძლია „მილანისა" და „რეალის" ჯავრი ლამის უიმედო აუტსაიდერზე იყაროს, მაგრამ იქნება კი ეს კრიზისიდან გამოსვლის ნიშანი? თუმცა დაპირისპირებას პენს „დეპორტივოს" წარსული სძენს, ამ ორ კლუბს შორის ძალიან ბევრი საოცარი მატჩი გამართულა.

**ჟორდი როურას** ეყოლება **პედრო**, რომელსაც ეს დღეები გრიპი უტევდა, თუმცა ფორვარდი გამოჯანმრთელდა და ითამაშებს. **ჩავი** გუნდთან ერთად კი ვარჯიშობს, მაგრამ მისთვის თამაში ჯერ ნაადრევია. სამშაბათს „ბარსას" „მილანთან" გადამწყვეტი მატჩი ელის და, რაც უნდა უარყოს როურამ, ცხადია, რომ დროებითი თავკაცი ამ შეხვედრაზე ფიქრობს და შესაძლოა, რამდენიმე მოწინავე ფეხბურთელიც დაასვენოს. მოგეხსენებათ, **ვიქტორ ვალდესს** „რეალთან" მატჩში მსაჯის გამოლანძღვისთვის 4-მატჩიანი დისკვალიფიკაცია აქვს. მის ნაცვლად, რა თქმა უნდა, **ხოსე პინტო** ჩადგება კარში, მაგრამ ახალია თუ ვინ იჯდება „ბარსას" სკამზე - ეს არის **ჟორდი მასიპი**. სარეზერვო გუნდის 24 წლის გოლკიპერს სახელდახელოდ გადაეცა „ბარსას" 32-ნომრიანი მაისურა.

აი რა თქვა როურამ მატჩის წინ: *„ჩვენი მიზანია, სამი ქულის მოპოვება „დეპორტივოსთან" მატჩში. ამით ჩვენ ნაბიჯ-ნაბიჯ მივუახლოვდებით ტიტულს. დღეს ჩვენ „მილანზე" არ ვიფიქრებთ, ჯერ ადრეა".*

„დეპორტივოს" დისკვალიფიცირებული **კარლოს მარჩენა** აკლია. ხოლო **ზე კაშტრო**, **კაკა** და **რიკი** ტრავმირებულები არიან.

* „ბარსამ" ბოლო 4 მატჩიდან 3 წააგო.
* ბოლო 13 მატჩია, კატალონიურ გუნდს კარი „მშრალად" არ შეუნახავს.
* წინა ტურში „დეპორტივომ" ფრე ითამაშა და 6-მატჩიანი წაგებათა სერია დაასრულა.
* „კამპ ნოუზე" „დეპორტივომ" ბოლოს 2003 წელს მოიგო - 2:0.

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ბარსელონა:** პინტო - მონტოია, პიკე, მასკერანო, ადრიანო - ტ. ალკანტარა, სონგი, ფაბრეგასი - ა. სანჩესი, მესი, ვილია.

**დეპორტივო:** არანსუბია - სილვიო, აიტამი, ინსუა, აიოსე - პ. ასუნსაო, აგილარი - გამა, ვალერონი, პიცი - ოლივეირა.

### რონალდო გაციებულა

„რეალმა" სეზონის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დუელი მოიგო („მანჩესტერ იუნაიტედთან") და ახლა გალისიას სტუმრობს - ვიგოში „სელტას" წინააღმდეგ. **ჟოზე მოურინიომ** ინგლისური გამარჯვების შემდეგ, ფეხბურთელებს დასვენების და ქალაქგარეთ გასვლის საშუალება მისცა. „სელტასთან" თამაშიც მნიშვნელოვანია, რადგან „რეალი" „ატლეტიკოს" სულ 2 ქულით ჩამორჩება. ჟოზეს არ ეყოლება **ანხელ დი მარია** და **იკერ კასილიასი**. **კრიშტიანო რონალდო** და **სერხიო რამოსი** გაციებული არიან. მათ ბოლოს არ უთამაშიათ, თუმცა „მარკას" აზრით, „სელტასთან" ითამაშებენ.

**სავარაუდო შემადგენლობები**

**სელტა:** ვარასი - ხონი, კაბრალი, ტუნიესი, ბელვისი - ოუბინია, ა. ლოპესი - ა. ფერნანდესი, კრონ-დელი, ორელიანა - ასპასი.

**რეალი:** დ. ლოპესი - არბელოა, პეპე, ს. რამოსი, მარსელო - ესიენი, მოდრიჩი - კალეხონი, კაკა, რონალდო - ბენზემა.

ამბები

### დი მარია რეალს 2 კვირა ვერ დაეხმარება

მადრიდის „რეალის" მთავარ მწვრთნელს, **ჟოზე მოურინიოს** ორი კვირის განმავლობაში არგენტინელი **ანხელ დი მარიას** იმედი არ უნდა ჰქონდეს. შეგახსენებთ, რომ 25 წლის არგენტინელმა შემტევმა ნახევარმცველმა კუნთი „მანჩესტერ იუნაიტედთან" ჩემპიონთა ლიგის საპასუხო მერვედფინალურ მატჩში დაიშავა. მაშინ მან მატჩის ჩამთავრება ვერ შეძლო.

თავიდან „რეალის" ექიმებს გაცილებით სერიოზული ტრავმის შიში ჰქონდათ, თუმცა გაირკვა, რომ დი მარიას გამოსაჯანმრთელებლად 2 კვირაც ეყოფა. ასე რომ, დი მარია ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში თამაშს შეძლებს.

ლა ლიგაში ანხელ დი მარიას „სელტასთან" და „მალიორკასთან" დაპირისპირებების გამოტოვება მოუწევს. ანხელი 26 მარტს ლა პასში, ბოლივიის ნაკრებთან მატჩისთვის ჩადგება მწყობრში, 22 მარტის მატჩს ვენესუელელებთან შეხვედრას ის ისედაც ტოვებდა დისკვალიფიკაციის გამო.

### სამეფო თასის ფინალი ბერნაბეუზე გაიმართება

გინდ დაიჯერეთ და, გინდ არა - ესპანეთის თასის ფინალი მადრიდის „რეალსა" და „ატლეტიკოს" შორის „სანტიაგო ბერნაბეუზე" გაიმართება. მხარეებმა თავად მოილაპარაკეს და ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციას ხელი არ შეუშლია - „ატლეტიკო" დათანხმდა თასის ფინალი „რეალს" მისსავე მოედანზე ეთამაშოს.

გაირკვა თამაშის გამართვის დროც: 17 მაისს, ადგილობრივი დროით 21:30 საათზე. თითოეულ გუნდს გულშემატკივრებისთვის 30-30 ათასი ბილეთი გადაეცემა. შეგახსენებთ, რომ „რეალმა" თასის ნახევარფინალში „ბარსელონა" გამოთიშა, ხოლო „ატლეტიკომ" „სევილიას" აჯობა.

**ემილიო ბუტრაგენიომ** განაცხადა, რომ მთავარი და გადამწყვეტი აღმოჩნდა „სანტიაგო ბერნაბეუს" ტევადობა: *„ორი კლუბი ყველა დეტალზე შეთანხმდა, რითაც ძალიან კმაყოფილი ვარ. ჩვენს სტადიონზე თამაში იმიტომ იმართება, რომ უფრო მეტ მაყურებელს იტევს. იმედია, ფინალი ფეხბურთის ზეიმად იქცევა"*, - განაცხადა წარსულში ცნობილმა ფეხბურთელმა, ახლა კი „რეალის" ფუნქციონერმა.

სხვათა შორის, **ჟოზე მოურინიომ** და **დიეგო სიმეონემ** წინასწარ განაცხადეს, რომ კლუბების გადაწყვეტილებას დაელოდებიან, რომ მათთვის ნებისმიერ სტადიონზეა მისაღები თამაში.

### მოუ რეალში რჩება, მაგრამ პრესკონფერენციებს ვეღარ გააცდენს

მადრიდის „რეალის" ხელმძღვანელობა ესპანურ პრესას უმტკიცებს, რომ **ჟოზე მოურინიო** მომავალ სეზონშიც მადრიდის „რეალს" გაწვრთნის. წყაროს ინფორმაციით, ამის შესახებ **ფლორენტინო პერესმა** და სხვა ხელმძღვანელებმა საბოლოო გადაწყვეტილება გუნდის ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში გასვლის შემდეგ მიიღეს. ამბობენ, თავად მოურინიომაც დარჩენა გადაწყვიტაო. შეგახსენებთ, რომ ჟოზეს „რეალთან" კონტრაქტი 2016 წლის ზაფხულში ეწურება, მაგრამ ადრე გავრცელებული ხმებით, პორტუგალიელი სეზონის ბოლოს მიდიოდა.

ამასობაში ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ შეიმუშავა და მალე სავალდებულოს გახდის პროტოკოლს, რომელიც უეფას და პრემიერლიგის პროტოკოლის ანალოგიურია - ამიერიდან, მწვრთნელებს პრესკონფერენციების იგნორირების უფლება არ ექნებათ. ეს რა თქმა უნდა, პირველ რიგში ჟოზე მოურინიოს ეხება.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

ინგლისი. პრემიერლიგა. XXIX ტურის წინ

# ნამდვილი გამოცდა გამძლეობაზე

## 9 მარტი

**ნორვიჩი–საუთჰემპტონი 19:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ჯონ რადი, ენდრიუ სერმანი, ალექსანდერ ტეტი – დენიელ ფოქსი, ადამ ლალანა

ბოლო 6 მატჩი
+1=3-2 +1=2-3
ურთიერთშეხვედრები
სულ 48 თამაში: +16=14-18 (63-70)

**ქუინზ პარკი–სანდერლ. 19:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ენდრიუ ჯონსონი, ტალ ბენ ჰაიმი, ბობი ზამორა, ჟულიო სეზარი – დენი როუზი, ვეს ბრაუნი, ლი კატერმოული

ბოლო 6 მატჩი
+1=3-2 +1=2-3
ურთიერთშეხვედრები
სულ 21 თამაში: +5=6-10 (24-30)

**რედინგი–ასტონ ვილა 19:00**

**დისკვალიფიკაცია:** პაველ პოგრებნიაკი - ფაბიან დელფი
**ტრავმა:** ადამ ფედერიჩი, ჯიმი კებე, ალექს მაკარტი, ჯეისონ რობერტსი – რონ ვლაარი, რიჩარდ დანი, დარენ ბენტი, მარკ ოლბრაიტონი, სტილიან პეტროვი, გარი გარდნერი

ბოლო 6 მატჩი
+2=1-3 +1=2-3
ურთიერთშეხვედრები
სულ 6 თამაში: +1=0-5 (7-12)

**ვესტ ბრომვიჩი–სუონსი 19:00**

**ტრავმა:** შეინ ლონგი, ჯორჯ ტორნი, ზოლტან გერა – ნილ ტეილორი, ჩიკო ფლორესი, დარნელ შიტუ

ბოლო 6 მატჩი
+2=1-3 +3=1-2
ურთიერთშეხვედრები
სულ 9 თამაში: +2=1-6 (13-18)

## 16 აპრილი

არსენალი-ევერტონი
ფულჰემი-ჩელსი გადაიდო
მანჩესტერ სიტი-უიგანი გადაიდო
ვესტ ჰემი-იუნაიტედი გადაიდო

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუნაიტედი | 28 | 23 | 2 | 3 | 68-31 | 71 |
| 2. სიტი | 28 | 17 | 8 | 3 | 51-24 | 59 |
| 3. ტოტენჰემი | 28 | 16 | 6 | 6 | 49-33 | 54 |
| 3. ჩელსი | 28 | 15 | 7 | 6 | 56-30 | 52 |
| 5. არსენალი | 28 | 13 | 8 | 7 | 53:32 | 47 |
| 6. ევერტონი | 28 | 11 | 12 | 5 | 44-35 | 45 |
| 7. ლივერპული | 28 | 11 | 9 | 8 | 53-34 | 42 |
| 8. სუონსი | 28 | 10 | 10 | 8 | 39-34 | 40 |
| 9. ვესტ ბრომვიჩი | 28 | 12 | 4 | 12 | 38-37 | 40 |
| 10. ფულჰემი | 28 | 8 | 9 | 11 | 39-44 | 33 |
| 11. სტოკ სიტი | 28 | 7 | 12 | 9 | 26-33 | 33 |
| 12. ვესტ ჰემი | 28 | 9 | 6 | 13 | 32-41 | 33 |
| 13. ნორვიჩი | 28 | 7 | 11 | 10 | 27-45 | 32 |
| 14. სანდერლენდი | 28 | 7 | 9 | 12 | 31-38 | 30 |
| 15. ნიუკასლი | 28 | 8 | 6 | 14 | 38-49 | 30 |
| 16. საუთჰემპტონი | 28 | 6 | 9 | 13 | 39-51 | 27 |
| 17. უიგანი | 28 | 6 | 6 | 16 | 33-55 | 24 |
| 18. ასტონ ვილა | 28 | 5 | 9 | 14 | 26-53 | 24 |
| 19. რედინგი | 28 | 5 | 8 | 15 | 34-54 | 23 |
| 20. ქუინზ პარკი | 28 | 3 | 11 | 14 | 21-44 | 20 |

**ბომბარდირები:** 21 - **ლუის სუარესი** (ლივერპული), 19 - **რობინ ვან პერსი** (მანჩესტერ იუნაიტედი), 15 - **მიგელ მიჩუ** (სუონსი), **დემბა ბა** (ნიუკასლი/ჩელსი), **გარეთ ბეილი** (ტოტენჰემი)

**პრემიერლიგის XXIX ტური ასოციაციის თასის 1/4-ფინალური ეტაპის გამო სერიოზულად „დაზარალდა", რადგან ამ ტურნირს ჩემპიონატის უძლიერესი 4-დან 3 გუნდი შემორჩა. ამას დაუმატეთ მეოთხე უმაღლესლიგელი „ევერტონიც". თუმცა უქმეებზე მაინც გაიმართება ლიდერთა ჯგუფის (ლივერპული-ევერტონი), საშუალო ამბიციების მქონეთა (ვესტ ბრომვიჩი-სუონსი) და აუტსაიდერთა (რედინგი-ასტონ ვილა) შეხვედრები.**



XXIV ტურში პრემიერლიგის ცენტრალურ ტურში ერთმანეთს ბრენდან როჯერსისა და ანდრე ვილაშ ბოაშის გუნდები დაუპირისპირდებიან

### აუტსაიდერთა იმედები

„ქუინზ პარკი" ისევ სასწაულის იმედად არის. ჩემპიონატის ამ ეტაპზე ბოლო ადგილზე მყარად მომჯდარი გუნდებიდან გავარდნას ჯერ არავინ გადარჩენია - ამას გვეუბნება სტატისტიკა, მაგრამ ფეხბურთი მხოლოდ ციფრები და გათვლები არ არის. „რეინჯერებმა" წინა ტურში ერთ-ერთ კონკურენტს სძლიეს გასვლაზე, ახლა მათ კიდევ ერთი ნაბიჯის გადადგმა სჭირდებათ „სანდერლენდთან", გუნდთან, ვისაც ბოლო ხუთ თამაშში სულ რაღაც 2 ქულა აქვს.

„რედინგისა" და „ასტონ ვილას" ბოლოდროინდელ წარუმატებელ სერიებში ის სხვაობაა, რომ სტუმარი გრანდებთან („არსენალი" და „მანჩესტერ სიტი") დამარცხდა, მასპინძელმა კი ერთი თამაში უშუალო კონკურენტს („უიგანი") დაუთმო და ბრძოლა პრემიერლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად ძალიან გაირთულა. რა შეიძლება მოხდეს ამჯერად, წინასწარ ამის თქმა ძალიან რთულია.

„ნორვიჩმა" ჩემპიონატის დასრულებამდე კარგა ხნით ადრე გაინაღდა ადგილი ელიტურ ლიგაში და თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ **კრის ჰიუტონის** გუნდს მისი ღირსეულად ჩამთავრებალა აღელვებს. „საუთჰემპტონს" კი ამოცანა ჯერ კიდევ გადასაჭრელი აქვს და წესით ის უფრო მოტივირებული უნდა იყოს. დღევანდელი მატჩის წინ მეტოქეებს განსაკუთრებული საკადრო პრობლემები არ აწუხებთ.

### თასის მფლობელის წინააღმდეგ

„ვესტ ბრომვიჩისა" და „სუონსის" დაპირისპირება თვე-ნახევრის წინ ბევრად უფრო დიდ ყურადღებას მიიქცევდა, რადგან ეს გუნდები ევროპალიგის საგზურის პრეტენდენტებად მიიჩნეოდნენ. „გედებმა" ფანჯარა ევროპაში ლიგის თასის მოგებით გაჭრეს და ჩემპიონატში ისინი უკვე შეძენილი სახელის დასაცავად იბრძვიან. რაც შეეხება **სტივ კლარკის** გუნდს, მან ბოლო ხუთ შეხვედრაში სამჯერ წააგო, თანაც პრემიერლიგის წამყვან გუნდებთან და ამით პრაქტიკულად აღიარა, რომ კლასით მასზე აღმატებულ გუნდებთან ჭიდაობა არ შეუძლია.

## 10 მარტი

**ნიუკასლი–სტოკ სიტი 19:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ტიმ კრული, ფაბრისიო კოლოჩინი, პაპის სისე, რაიან ტეილორი, ჰარის ვუკჩიჩი, სტივ ჰარპერი – მაიკლ ოუენი, მეტიუ ეთერინგტონი
**დისკვალიფიკაცია:** - რობერტ ჰუთი

ბოლო 6 მატჩი
+3=0-3 +1=1-4
ურთიერთშეხვედრები
სულ 61 თამაში: +28=14-19 (101-73)

**ლივერპული–ტოტენჰემი 20:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ფაბიო ბორინი, მარტინ კელი, ჯონ ფლენაგანი - კლინტ დემპსი, იუნეს კაბული, ტომ ჰადლსტოუნი, აარონ ლენონი, ემანუელ ადებაიორი, რანიერ სანდრო

ბოლო 6 მატჩი
+3=2-1 +4=2-0
ურთიერთშეხვედრები
სულ 142 თამაში: +64=36-42 (219-165)

კვირას მოედანზე პირველად „ნიუკასლი"-"სტოკ სიტის" წყვილი გამოვა. **ტონი პულისის** გუნდს 2013 წელს საქმეები ძალიან ცუდად მისდის, 8 ტურში 6-ჯერ დამარცხდა, 1 ფრედ ითამაშა და 1 მოიგო. სტეფორდშირელებმა ეს 4 ქულა ჩემპიონატის აუტსაიდერებთან მოიპოვეს. სწორედ ამიტომ გვგონია, რომ მათ არც ტაინსაიდში ელით კარგი დღე, მით უფრო, რომ დაცვის ცენტრში გუნდს დისკვალიფიცირებული **რობერტ ჰუთი** აკლია.

### ტურის მთავარი სათქმელი

წელსაც, შარშანდელი სეზონის მსგავსად, როცა ვლაპარაკობთ „ლივერპულისა" და „ტოტენჰემის" წყვილზე, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ძალთა ბალანსში ძალიან ბევრი რამაა შეცვლილი. „დეზები" ჩემპიონატში მესამე ადგილისთვის იბრძვიან, მაშინ როცა „წითლები" მეტისმეტად არასტაბილურად ასპარეზობენ და ჩემპიონთა ლიგის კი არა, ევროპა ლიგის საგზურიც არ აქვთ განაღდებული. ლონდონელები „ინტერის" განადგურების შემდეგ დაღლილები არიან და თუ ტრიუმფის წყალობით ძალების მოზღვავებას გრძნობენ, ამას უშუალოდ მატჩი გვიჩვენებს. წინასწარ მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ მასპინძლებს წინა ორი ტურის გამეორება („სუონსი" 5:0, „უიგანი" 4:0) ნამდვილად არ გამოუვათ. **ანდრე ვილაშ ბოაშის** გუნდი მეტოქეს ამის უფლებას ნამდვილად არ მისცემს.

ასოციაციის თასი. 1/4-ფინალის წინ

# ყველა ფერგიუსონის გადაწყვეტილებას ელის

## 9 მარტი

| | |
|---|---|
| ევერტონი-უიგანი | 16:45 |
| სიტი-ბარნსლი | 21:30 |

## 10 მარტი

| | |
|---|---|
| მილუოლი-ბლექბერნი | 18:00 |
| იუნაიტედი-ჩელსი | 20:30 |

„მანჩესტერ სიტიმ" ასოციაციის თასის 1/4-ფინალს ისე მიაღწია, ერთი გოლიც კი არ მიუღია საკუთარ კარში („უოტფორდი" 3:0, „სტოკ სიტი" 1:0, „ლიდსი" 4:0) და ჩემპიონშიპის აუტსაიდერ „ბარნსლისთან" კიდევ ერთი მშრალი მატჩის ჩატარების შესანიშნავი შანსი აქვს. ინგლისის მოქმედ ჩემპიონს ტიტულის შენარჩუნების მიზერული შანსი აქვს, ერთადერთი, სადაც შეუძლიათ, „მანჩესტერ იუნაიტედს" ცხოვრება გაუმწარონ, სწორედ ასოციაციის თასია. „ქალაქელებს" დღევანდელ მეტოქესთან სტატისტიკაში სოლიდური უპირატესობა აქვთ. გუნდებს ისტორიაში ერთმანეთთან 30 მატჩი აქვთ გამართული, აქედან 15-ჯერ „სიტიმ" იმარჯვა, 10-ჯერ ფრედ დაასრულა და მხოლოდ 5-ში დამარცხდა. პრემიერლიგაში ისინი არასოდეს შეხვედრიან. მართალია, „მაწანწალებმა" 1997/98-ის სეზონი ელიტურ ლიგაში გაატარეს, მაგრამ ამ დროს „სიტის" ისტორიაში ყველაზე მძიმე პერიოდი ჰქონდა და პრემიერლიგისთვის არ ეცალა.

„სიტის" რამდენიმე ფეხბურთელი არ ეყოლება: **მიკა რიჩარდსი, მაიკონი, სერხიო აგუერო** და **ჯეკ როდუელი**. **ვენსან კომპანი** მზად არის სათამაშოდ, მაგრამ **რობერტო მანჩინი** მას ალბათ მაინც არ დააყენებს. რაც მთავარია, სათასო შეხვედრებში „სიტის" კარს, ტრადიციულად, **კოსტელ პანტილიმონი** დაიცავს.

ცხადია, მეოთხედფინალურ წყვილებში „მანჩესტერ იუნაიტედი"-"ჩელსის" წყვილს ყველაზე დიდი ინტრიგა ახლავს. მიმდინარე სეზონში როგორც შიდა ასპარეზზე, ისე ევროთასებზეც, „წითელი ეშმაკების" თამაშის ხარისხი მისი ხვალინდელი მეტოქისას ერთიორად აღემატებოდა. მანკუნიანელები ჩემპიონთა ლიგას დაემშვიდობნენ და დღესავით ნათელია, რომ ამიერიდან ისინი აქცენტს ასოციაციის თასზე გადაიტანენ, რადგან ჩემპიონატში თითქმის ყველაფერი გარკვეული აქვთ. **ალექს ფერგიუსონის** გუნდი ლიგის თასიდან სწორედ „ჩელსიმ" გამოთიშა (5:4 „სტემფორდ ბრიჯზე"). „ეშმაკებისთვის" რევანშის აღების შანსი ცალკე მოტივაცია იქნება. სტატისტიკას თუ ჩახედავთ, აღმოაჩენთ, რომ დედაქალაქელებმა „ოლდ ტრეფორდზე" ბოლო 3 მატჩი ზედიზედ წააგეს. ასე რომ, ფავორიტის დასახელება ჩვენს მკითხველსაც არ გაუჭირდება.

საკადრო პრობლემებიდან აღსანიშნავი არაფერია. „იუნაიტედს" ტრადიციული დანაკლისი აქვს: **ფილ ჯონსი, პოლ სქოულზი, დარენ ფლეტჩერი**. საინტერესოა, მოხვდება თუ არა **უეინ რუნი** ძირითად შემადგენლობაში.

**P.S.** გუშინ, ფერგიმ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ რუნი აუცილებლად იუნაიტედში დარჩება.



ჩელსისთან უეინ რუნის ძირითადში გამოჩენას გულშემატკივარი მოუთმენლად ელის

ამბები

### ბაკარი სანია არსენალიდან მიდის

GOAL.COM-ის ცნობით, ივნისში „არსენალი" მზად იქნება **ბაკარი სანიას** ტრანსფერით დაინტერესებული კლუბების შეთავაზებები მოისმინოს. 30 წლის მარჯვენა მცველი ლონდონურ კლუბში თავის მეექვსე სეზონს ულიმღამოდ ატარებს - ჩემპიონატის 16 თამაშში მის ანგარიშზე არცერთი გოლი და შედეგიანი გადაცემა არ არის. ციდან ვარსკვლავებს მისი უშუალო კონკურენტი **კარლ ჯენკინსონიც** ვერ წყვეტს, თუმცა 21 წლის ფეხბურთელს **არსენ ვენგერთან** მაინც აქვს ნორმალური ურთიერთობა. ფეხბურთელის კონტრაქტს ვადა 2014 წლის ივნისის ბოლოს გასდის და მხარეები თანამშრომლობის გაგრძელებაზე მოლაპარაკებებს არ აპირებენ. ფრანგული პრესა სანიათი დაინტერესებულ კლუბებს შორის პირველ ადგილზე „პარი სენ-ჟერმენს" ასახელებს. „არსენალი" ვეტერანს 8 მილიონ ევროდ აფასებს.

### სუარესს გოლები დიდ ფულად ექცა

**ლუის სუარესმა** 2012 წლის ზაფხულზე „ლივერპულთან" ახალი ხელშეკრულება 2018 წლის ზაფხულამდე გააფორმა, რომლის თანახმადაც მისი ხელფასი კვირაში 80 ათასი ფუნტით განისაზღვრა. ურუგვაელმა მიმდინარე სეზონში საკლუბო ტურნირებზე 28 გოლი გაიტანა და 10 საგოლე გადაცემა გააკეთა. კონტრაქტის მიხედვით შედეგიანი თამაშის შემთხვევაში მისი ხელფასი კვირაში 120 ათასამდე გაიზრდებოდა. დათქმული ზღვარი ურუგვაელმა უკვე გადალახა, რაც იმას ნიშნავს, რომ „ლივერპულს" ივლისიდან მისთვის სწორედ ამდენის გადახდა მოუწევს.



### ვეტერანის ახალი კონტრაქტი

„სუონსის" 30 წლის მარჯვენა მცველ **ანხელ რანხელს** თანაგუნდელთა შორის „გედების" რიგებში ყველაზე მეტი მატჩი აქვს ჩატარებული (250-მდე). „ლიბერთი სტედიუმზე" ის 2007 წლიდან თამაშობს. უელსურმა კლუბმა ვეტერანს ერთგულებისთვის მადლობა 2016 წლამდე გათვლილი ახალი კონტრაქტით გადაუხადა. შეგახსენებთ იმასაც, რომ „სუონსიმ" იანვრიდან მოყოლებული უკვე მეშვიდე ფეხბურთელთან (**მიხელ ვორმი, მიჩუ, ეშლი უილიამსი, უეინ რუტლეჯი, ლეონ ბრიტონი, ნილ ტეილორი**) გაახანგრძლივა თანამშრომლობა.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

იტალია. სერია A. XXVIII ტურის წინ

# რომა სასწორზე 6 ქუ[illegible]

## ლიდერის სიცილიური ბარიერი

### ჯენოა-მილანი 0:2

**გოლები:** 0:1 პაცინი (22), 0:2 ბალოტელი (60).

**ჯენოა** (3-5-1-1): ფრეი – გრანკვისტი (77. იანკოვიჩი), პორტანოვა, მორეტი – კასანი (59. იმობილე), ბოვო (69. ხორკერა), ტიოჟერი, ხ. ვარგასი, ანტონელი – ბერტოლაჩი - ბორიელო.

**მილანი** (4-3-3): აბიატი – დე შილიო, მექსე (46. იეპესი), საპატა, კონსტანტი – ფლამინი, მონტოლივო, მუნტარი – ელ შაარავი (68. აბატე), ნიანგი, პაცინი (25. ბალოტელი)

**გაფრთხილება:** პორტანოვა, ბოვო, ანტონელი – ბალოტელი, კონსტანტი, ფლამინი

**გაძევება:** კონსტანტი (66. მილანი).

**კუთხური:** 7-2; **ჯარიმა:** 14-13; **თამაშგარე:** 3-1; **კარში დარტყმა:** 9-6 (6-4) **ბურთის ფლობა:** 54%-46%

**მაყურებელი:** 18 000

### 9 მარტი

**უდინეზე-რომა 23.45**

**დისკვალიფიკაცია:** გუბერტი, ბრედლი (რომა)

**ტრავმა:** ბენეტია, პინცი, ლაძარი, პასკუალი – მარკინიოსი, პიანიჩი, დესტრო

ბოლო 6 მატჩი

+3=1-2 +3=1-2

ურთიერთშეხვედრები

სულ 41 თამაში: +18=9-14, (66-55)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუვენტუსი | 27 | 18 | 5 | 4 | 54-18 | 59 |
| 2. ნაპოლი | 27 | 15 | 8 | 4 | 47-22 | 53 |
| 3. მილანი | 28 | 15 | 6 | 7 | 49-31 | 51 |
| 4. ინტერი | 27 | 14 | 5 | 8 | 43-35 | 47 |
| 5. ლაციო | 27 | 14 | 5 | 8 | 36-31 | 47 |
| 6. ფიორენტინა | 27 | 13 | 6 | 8 | 48-33 | 45 |
| 7. რომა | 27 | 13 | 4 | 10 | 56-48 | 43 |
| 8. კატანია | 27 | 12 | 6 | 9 | 36-34 | 42 |
| 9. უდინეზე | 27 | 10 | 10 | 7 | 36-34 | 40 |
| 10. სამპდორია | 27 | 10 | 6 | 11 | 34-30 | 35 |
| 11. ბოლონია | 27 | 9 | 5 | 13 | 38-36 | 32 |
| 12. ტორინო | 27 | 7 | 12 | 8 | 32-32 | 32 |
| 13. პარმა | 27 | 8 | 8 | 11 | 32-36 | 32 |
| 14. კალიარი | 27 | 8 | 7 | 12 | 32-47 | 31 |
| 15. ატალანტა | 27 | 9 | 5 | 13 | 26-38 | 30 |
| 16. კიევო | 27 | 8 | 5 | 14 | 27-44 | 29 |
| 17. ჯენოა | 28 | 6 | 8 | 14 | 27-41 | 26 |
| 18. სიენა | 27 | 7 | 6 | 14 | 27-39 | 21 |
| 19. პალერმო | 27 | 3 | 12 | 12 | 22-39 | 21 |
| 20. პესკარა | 27 | 6 | 3 | 18 | 20-54 | 21 |

*შენიშვნა: სიენა - 6 ქულა, ატალანტა – 2, სამპდორია – 1, ტორინო – 1.*

**ბომბარდირები:** 18 - კავანი (ნაპოლი); 16 – ელ შაარავი (მილანი); 15 - დი ნატალე (უდინეზე); 12 – პაცინი (მილანი); 11 - ოსვალდო (რომა), ლამელა (რომა), იოვეტიჩი (ფიორენტინა), საუ (კალიარი); 10 - კლოზე (ლაციო), ჯილარდინო (ბოლონია), ტოტი (რომა).

### 10 მარტი

**ატალანტა-პესკარა 15.30**

**დისკვალიფიკაცია:** კარმონა (ატალანტა)

**ტრავმა:** ბელინი, კაპელი, სკალონი, მარილუნგო – სფორცინი, მოდესტო, კაპუანო, რიცო, კაპრარი, ძაური, ბალცანო

ბოლო 6 მატჩი

+2=1-3 +0=1-5

ურთიერთშეხვედრები

სულ 12 თამაში: +8=3-1, (20-4)

**კალიარი-სამპდორია 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** პიზანო – გასტალდელო, კრსტიჩიჩი

**ტრავმა:** კონტი – გასტალდელო, პოულსენი

ბოლო 6 მატჩი

+3=2-1 +4=2-0

ურთიერთშეხვედრები

სულ 37 თამაში: +13=13-11, (45-48)

**კიევო-ნაპოლი 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** კანავარო (ნაპოლი)

**ტრავმა:** სარდო - ბრიტოსი

ბოლო 6 მატჩი

+1=1-4 +2=4-0

ურთიერთშეხვედრები

სულ 13 თამაში: +4=1-8, (12-19)

**იუვენტუსი-კატანია 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** ვიდალი - ლეგროტალიე

**ტრავმა:** ანელკა, კასერესი, დე ჩელიე, ბენდტნერი, პეპე – კაპუანო, ბარიენტოსი, ბერგესიო

ბოლო 6 მატჩი

+3=2-1 +3=1-2

ურთიერთშეხვედრები

სულ 13 თამაში: +6=6-1, (22-12)

**პალერმო-სიენა 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** ვიტიელო, ტერცი (პალერმო)

**ტრავმა:** ბორიელო, ერნანდესი, მანტოვანი - ვერგასოლა

ბოლო 6 მატჩი

+0=5-1 +2=1-3

ურთიერთშეხვედრები

სულ 21 თამაში: +9=5-7, (29-27)

**პარმა-ტორინო 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** ჩერჩი, დიოპი, მეჯორინი (ტორინო)

**ტრავმა:** მარიგა, სანტაკროჩე, კოდა – ბაკიჩი, ჯონატასი, კასერესი

ბოლო 6 მატჩი

+0=1-5 +1=3-2

ურთიერთშეხვედრები

სულ 17 თამაში: +11=4-2, (31-14)

**ინტერი-ბოლონია 23.45**

**დისკვალიფიკაცია:** ჰანდანოვიჩი - კონე

**ტრავმა:** სამუელი, ობი, კასტელაცი, სილვესტრი, ნაგატომო, მუდინგაი, მილიტო - ნატალი

ბოლო 6 მატჩი

+2=2-2 +3=2-1

ურთიერთშეხვედრები

სულ 30 თამაში: +20=4-6, (59-35)

**ლაციო-ფიორენტინა 23.45**

**დისკვალიფიკაცია:** კანდრევა - აკვილანი

**ტრავმა:** კონკო, სტანკევიჩიუსი, კლოზე, ბროკი – როსი, კამპორეზე, აგაცი

ბოლო 6 მატჩი

+1=1-4 +3=0-3

ურთიერთშეხვედრები

სულ 36 თამაში: +20=7-9, (61-34)



პირველ წრეში „ფიორენტინამ" ადემ ლიაიჩისა და ლუკა ტონის ორი ლამაზი გოლის წყალობით 9-კაციანი „ლაციო" 2:0 დაამარცხა

**მართალია, ამ უქმეებზე ვერც მილანურ დერბის ვიხილავთ და ვერც სამხრეთ-ჩრდილოეთის დაპირისპირებას „ნაპოლი"-"იუვენტუსის" მონაწილეობით, მაგრამ ტური მაინც ბევრ საინტერესოს გვპირდება. ლიდერს კერკეტი „კატანია" ესტუმრება, ლიდერის მდევარი ვერონაში ჩადის, რომში კი ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის მებრძოლი გუნდები: „ლაციო" და „ფიორენტინა" შეასკდებიან ერთმანეთს. საინტერესო მატჩი შედგება დღესაც და ჯერ სწორედ უდინურ პაექრობაზე ვთქვათ ორიოდე სიტყვა...**

## უდინეზე-რომა

ბოლო პერიოდში, რომაელებს საკადრო პრობლემები მოეძალათ, რადგან პრაქტიკულად ერთდროულად დაშავდნენ **მარკინიოსი** და **მირალემ პიანიჩი**. ტრავმირებულია **მატია დესტრო**, **მაიკლ ბრედლის** კი დისკვალიფიკაცია აქვს. მოკლედ, „ჯალოროსი" ვერონაში დანაკლისით ჩადის, მაგრამ მიუხედავად ამისა, **აურელიო ანდრეაცოლის** განწყობა ოპტიმისტურია:

*„მოგებათა სერია უნდა გავაგრძელოთ, რადგან ჩემპიონთა ლიგის საგზურს სხვაგვარად ვერ მოვიპოვებთ. სეზონის პირველი წრე ჩაგვივარდა და დღეს, დაკარგულის ანაზღაურება გვიწევს. უნდა შევუტიოთ განურჩევლად იმისა, გასვლაზე გვიწევს თამაში თუ საკუთარ მოედანზე".*

„გაძეტა დელო სპორტის" ვერსიით, „რომა" 3-4-2-1 ტაქტიკით ითამაშებს, შეტევის წინა ხაზზე მყოფ **პაბლო ოსვალდოს** კი უკნიდან **ერიკ ლამელა** და **ფრანჩესკო ტოტი** დაეხმარებიან. „იმპერატორს" ერთი გოლი სჭირდება იმისთვის, რომ სერია A-ს ყველა დროის ბომბარდირთა დავაში მეორე ადგილზე ერთპიროვნულად გადავიდეს და **გუნარ ნორდალი** უკან მოიტოვოს.

## იუვენტუსი-კატანია

ტრავმირებული ფეხბურთელები არც „იუვენტუსს" აკლია, რომლებსაც დისკვალიფიცირებული **არტურო ვიდალი** დაემატა. **ანტონიო კონტე** „კატანიას" ნაცად 3-5-2 სქემას დაუპირისპირებს, შეტევაში კი **სებასტიან ჯოვინკოს** და **მირკო ვუჩინიოჩს** გაამწესებს. როტაცია გრძელდება და ამჯერად, **ალესანდრო მატრი** და **ფაბიო კვალიარელა** თადარიგში მოიაზრებიან. ამის ფონზე, სრულიად ზედმეტი მოჩანს ტრავმირებული **ნიკლას ბენდტნერი** და თვით **ნიკოლა ანელკაც** კი, რომელიც ჯერჯერობით ვერაფერში დაეხმარა ტურინულ გრანდს.

„კატანიამ" წინა ტურში შოკისმომგვრელი მარცხი იწვნია „ინტერისგან" და საკუთარი გულშემატკივრების წინ შეირცხვინა თავი. სიცილიელები იმუქრებიან, რომ სწორედ ტურინში მოახდენენ რეაბილიტაციას და „იუვეს" არაფერს დაუთმობენ. შეგირდებს მობილიზებისკენ მოუწოდებს კონტე, რომელიც „სელტიკთან" განმეორებით მატჩსაც კი სიფრთხილით ეკიდებოდა. „იუვენტუსი" ფავორიტია, მაგრამ ვნახოთ, ბრძოლა იქნება...

## კიევო-ნაპოლი

ნეაპოლში სჯერათ, რომ სკუდეტოს მოპოვება ჯერ კიდევ შესაძლებელია და ამ იმედის გასამტკიცებლად ვერონაში მოგება აუცილებელია. არადა, „კიევო" „ნაპოლისთვის" მეტად უხერხული მეტოქეა და ამის დასადასტურებლად ბოლო წლების სტატისტიკის მოყვანაც კმარა. ციფრებით ნამდვილად არ გადაგღლით და მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ 2011/2012 წლების სეზონში, საჩემპიონოდ შემართული „ნაპოლი" სწორედ ვერონაში წაიქცა და შემდეგ, ველარც წამოდგა. მოკლედ, სამხრეთელებს თავისი ანგარიშები აქვთ გასასწორებელი და საამისოდ ყველაფერს გააკეთებენ.

**ვალტერ მაცარი** ამჯერადაც **ედინსონ კავანისა** და **გორან პანდევის** ტანდემს დაეყრდნობა, **ლორენცო ინსინიე** კი თადარიგში დარჩება. ძირითად შემადგენლობაში მოიაზრება პორტუგალიელი მცველი **როლანდო** და ეს უდავოდ ამ მატჩის დამატებითი ინტრიგაა. საინტერესოა, როგორ შეეწყობა გუნდს პირენეელი. „ნაპოლის" მოგება სჭირდება, ფრე კი წაგების ტოლფასი იქნება.

## ლაციო-ფიორენტინა

ტურის ცენტრალური მატჩი ფლორენციაში გაიმართება, სადაც ერთმანეთის პირისპირ ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის მებრძოლი გუნდები წარდგებიან. როგორც ასეთ დროს ამბობენ, სასწორზე ექვსი ქულა დევს და შესაბამისად, გუნდების მოტივაცია გაორმაგებულია. „ლაციომ" შუა კვირაში ევროპის ლიგაზე ითამაშა, „შტუტგარტი" გასვლაზე დაამარცხა და სადღაც ალბათ გადაღლილია და სადღაც ფრთაშესხმული. მოკლედ, რომაელთა შვაბეთში სტუმრობა ფლორენციელთათვის ცალსახა პლუსად ვერ ჩაითვლება და საერთოდაც, ამ მატჩში ფავორიტის დასახელება ურთულესი საქმეა.

**ვლადიმირ პეტკოვიჩი** და **ვინჩენცო მონტელა** ნაცად სქემებს არ უღალატებენ – „ლაციო" **სერჯო ფლოკარით** და მის უკან განლაგებული ხუთეულით შეუტევს, „ფიორენტინას" კი ბალკანელ შემტევთა ტანდემი ეყოლება **სტევან იოვეტიჩისა** და **ადემ ლიაიჩის** სახით. დანარჩენი უშუალოდ მოედანზე გამოჩნდება...

**ლაშა წიკლაური**



ქართული სპორტი

# ოთარ ჯაფარიძე და ანგელინა ტელეგინა

# მიზანი — სოჭის ოლიმპიადა

ამას წინათ ზაგრებში მოციგურავეთა ევროპის ჩემპიონატზე სპორტულ ცეკვებში **ოთარ ჯაფარიძისა** და **ანგელინა ტელეგინას** ახალშექმნილმა დუეტმა საქართველოს სახელით მე-20 ადგილი დაიკავა. ახლა ოთარი და ანგელინა თბილისში იმყოფებიან და რედაქციაში მოვიწვიეთ.



**ოთარ ჯაფარიძე** დაიბადა 1987 წლის 23 დეკემბერს თბილისში. ფიგურულ ციგურაობაში ვარჯიში დაიწყო 7 წლისამ მშობლების ხელმძღვანელობით (დედა — **მარინე ცერცვაძე** ფიგურულ ციგურაობაში საბჭოთა კავშირის თასის ორგზის მფლობელია, ყოფილ საბჭოეთში პირველმა შეასრულა სამმაგი სალტო, მამა — **ირაკლი ჯაფარიძე** — ვაჟებში საქართველოს პირველი ჩემპიონი (1961), ახალგაზრდებში საბჭოთა კავშირის 1963 წლის ჩემპიონი), მერე ელენა ვოდორეზოვასთან ვარჯიშობდა მოსკოვში. 2003 წლიდან ფიგურულ ცეკვებში ელენა ახმილოვსკაიას ჯგუფში გადავიდა. მისი პირველი პარტნიორი იყო მარინა შეიცინა, რომელთანაც ახალგაზრდებში მსოფლიოს პირველობაზე (21-ე) იასპარეზა. 2004 წლიდან ალექსეი გორშკოვი ამეცადინებდა ახალ მეწყვილე ეკატერინა ზაიკინასთან ერთად (გრან პრიზე მე-4, მსოფლიოს პირველობაზე მე-17 ადგილი). 2007 წლიდან ამერიკაში განაგრძო ვარჯიში ევგენი პლატოვთან, ჯერ იზაბელა ტობიასთან, შემდეგ ელისონ რიდთან შეწყვილებულმა. 2008 წელს მსოფლიოს პირველობაზე მე-14 იყო, მსოფლიოს ჩემპიონატზე — მე-18, ვანკუვერის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე 22-ე, ავსტრიაში გრაცის საერთაშორისო ტურნირზე ვერცხლის მედალი მოიპოვა. 2011 წელს ელისონ რიდთან ერთად ევროპის ჩემპიონატზე მე-17 ადგილი დაიკავა. ამჟამად ახალი პარტნიორი ჰყავს — ანგელინა ტელეგინა. მასთან ერთად 2013 წლის ევროპის ჩემპიონატზე მე-20 იყო.

**ანგელინა ტელეგინა** — დაიბადა 1992 წლის 8 მარტს უკრაინაში. 1998 წლიდან მოსკოვში ცხოვრობს. იქვე დაიწყო ფიგურულ სრიალში მეცადინეობა სვეტლანა ლუბუშინასთან. 2008-2011 წლებში ალექსეი გორშკოვი ავარჯიშებდა ცეკვებში. ვალენტინ მოლოტოვთან ერთად რუსეთის ჩემპიონატში 2011 წელს მე-6 ადგილი დაიკავა. მერე პარტნიორებმა ერთმანეთს ვერ გაუგეს და წყვილიც დაიშალა.

**ოთარი:** 2011 წლის მაისში მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ მე და ელისონ რიდი ერთმანეთს დავშორდით. ჩემს მეწყვილეს მწვრთნელის შეცვლა უნდოდა, მე კი პლატოვთან დარჩენა მერჩივნა, რადგან მისი მუშაობის სტილი მომწონს. სხვა თუ არაფერი, პლატოვმა დამაყენა ფეხზე და ზურგი როგორ უნდა შემექცია. ვერ შევთანხმდით და დავშორდით ერთმანეთს. ჩემს ასაკში ახალი პარტნიორის ძებნა უპერსპექტივოდ მივიჩნიე და ჩემს მწვრთნელთან დავრჩი სამუშაოდ.

**ანგელინა:** ალბათ, ბედი იყო, მე და ვალენტინ მოლოტოვიც სწორედ 2011 წელს ჩავედით პლატოვთან. თუმცა ერთმანეთს ვერ შევეწყვეთ, სულ ვედავებოდით ერთმანეთს და არაფერი გამოგვდიოდა. პლატოვმაც ვერ შეძლო ჩვენი დუეტის შენარჩუნება. ვალენტინი რუსეთში დაბრუნდა, მე კი ამერიკაში დავრჩი.

**— და შენ და ოთარი ყინულზე შემთხვევით ერთმანეთს შეეჯახეთ...**

**ანგელინა** (ეცინება). თქვენ საიდან იცით?

**— ფილმებში მინახავს.**

**ანგელინა:** მართლაც ასე იყო. საციგურაოზე მორიგი ვარჯიშისას დავეჯახე. ოთარი ერთ შეგირდს უხსნიდა რაღაცას. ეს იყო 2011 წლის აგვისტოში. იმ დღიდან ვაკვირდებოდი, როგორ ავარჯიშებდა მოციგურავეებს, თავად როგორ ასრულებდა რთულ ელემენტებს. მაშინ გავიფიქრე, რა იქნება, ჩვენი დუეტი შედგეს-მეთქი. ჩემი იდეა მოგვიანებით ოთარს გავანდე.

**ოთარი:** უკვე ვმუშაობდი პლატოვთან და დიდი სპორტისთვის, ფაქტობრივად, თავი დანებებული მქონდა. თუმცა ანგელინასთვის უარიც არ მითქვამს — ასეთი გოგო როგორ გამენბილებინა. ერთი-ორჯერ ვცადეთ კიდეც ერთად სრიალი. მისი სტილი ჩემთვის უცხო არ აღმოჩნდა — ჩვენ ხომ ორივე სხვადასხვა დროს ალექსეი გორშკოვთან ვვარჯიშობდით. მერე საქმეში პლატოვიც ჩაერია. ქორეოგრაფებმა და სხვა მწვრთნელებმაც მირჩიეს, კარგი დუეტი იქნებითო. მეც დავუჯერე. შარშან მაისის ბოლოს პროგრამები შევადგინეთ და სერიოზული ვარჯიში დავიწყეთ.

**— არ გაგიჭირდათ?**

**ოთარი:** როცა ახალი წყვილი დგება, როგორი ტექნიკაც უნდა გქონდეს, ძნელია შეგუება. მიფიქრია კიდეც, ღირდა კი ყველაფრის თავიდან დაწყება?! მაგრამ, რადგანაც დავთანხმდი, ყველა სიძნელე უნდა გადამელახა.

**ანგელინა:** თითქმის წელიწადი ინდივიდუალურად რომ ვვარჯიშობდი, პარტნიორთან ურთიერთობას გადავეჩვიე. მეც გამიძნელდა, მაგრამ ოთარი ძალიან ყურადღებიანია, რაც საქმეს მიიოლებდა. ორივეს მშვიდი ხასიათი აღმოგვაჩნდა, მალე შევეგუეთ ერთმანეთს. წყვილებსა და ცეკვებში ხომ პარტნიორის შეგრძნებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

**— ახალ საქმეს რომ იწყებ, ცხადია, მიზანსაც ისახავ...**

**ოთარი:** რა თქმა უნდა. უპირველესი 2013 წლის ევროპის ჩემპიონატისთვის მომზადება იყო. ფიგურული ციგურაობის საერთაშორისო ფედერაციის გადაწყვეტილებით, 2013 წლიდან მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატებში მონაწილეობისთვის სათანადო სარეიტინგო ქულების მოგროვებაა საჭირო. ფაქტობრივად, დღე და ღამეს ვასწორებდით, რომ მიზნისთვის მიგვეღწია. პირველად ბრატისლავაში B კატეგორიის სარეიტინგო ტურნირზე გამოვედით ოქტომბერში. დებიუტი მე-9 ადგილით აღვნიშნეთ. თუმცა უფრო მნიშვნელოვანი ზაგრების სარეიტინგო შეჯიბრება იყო. იქ 19 მოცეკვავე წყვილს შორის მე-12 ადგილი დავიკავეთ და ევროპის ჩემპიონატში გამოსვლის უფლებაც მოვიპოვეთ.

**— ზაგრებში კონტინენტის პირველობაზე მოკლე პროგრამით უკეთ იასპარეზეთ, ვიდრე თავისუფალი პროგრამით. მიზეზი რა იყო?**

**ანგელინა:** შეჯიბრებისთვის მოსამზადებლად ცოტა დრო გვქონდა, ამიტომ უფრო მეტი ყურადღება მოკლე პროგრამის დახვეწაზე გადავიტანეთ, რადგან ფინალში გამოსვლის უფლებას მისი შედეგი იძლევა. ასეც მოხდა — 26 წყვილს შორის მე-18 ადგილზე გავედით. ფინალის შემდეგ კი მე-20 ადგილი დავიკავეთ.

**— მალე მსოფლიოს ჩემპიონატი გაიმართება კანადაში...**

**ოთარი:** როგორც გითხარით, ჩვენმა საერთაშორისო ფედერაციამ, ჩემპიონატებში მონაწილეობისთვის ქულები დააწესა. ევროპას შევწვდით, მსოფლიოსთვის კი ქულების დასაგროვებლად შეჯიბრებები არ გვყოფნის. ამიტომ ახლა 2014 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების სალიცენზიო ტურნირისთვის მზადებას დავიწყებთ. კანადის მსოფლიოს ჩემპიონატზე სოჭის ოლიმპიადის 19 საგზური გათამაშდება. რჩება 5 ვაკანტური ადგილი. მათი მფლობელები სექტემბერში გერმანული ობერსდორფის სალიცენზიო ტურნირზე გაირკვევა. ყველაფერს გავაკეთებთ საიმისოდ, რომ ოლიმპიადის საგზური მოვიპოვოთ. მით უმეტეს, რომ ამ დღეებში შევხვდით საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელობას, რომლებმაც ყოველმხრივი დახმარება აღგვითქვეს და ამ მხრივ პირველი ნაბიჯებიც გადაიდგა. განსაკუთრებული მადლიერებით გვინდა მოვიხსენიოთ ჩვენი ფიგურული ციგურაობის ფედერაცია, განსაკუთრებით მისი პრეზიდენტი მაკა გიორგობიანი, რომელიც ყურადღებას არ გვაკლებს და ყოველმხრივ გვეხმარება. აქტიურ სპორტს რომ დავუბრუნდი, ეს ქალბატონი მაკას დამსახურებაც არის.

**— ანგელინა, იცით, რომ საქართველო-რუსეთს შორის, განსაკუთრებით 2008 წლის ომის შემდეგ, მაინცდამაინც შეხმატკბილებული ურთიერთობა არ არის. ოთართან დუეტის შექმნა რომ გადაწყვიტე, მშობლები წინააღმდეგი ხომ არ ყოფილან?**

— რას ამბობთ. დედას და მამას ქართველი მეგობრებიც ჰყავთ, რომლებთანაც დღემდე ინარჩუნებენ თბილ ურთიერთობას. ჩვენი დუეტის შექმნა გაუხარდათ კიდეც. ახლა რომ გაიგეს, საქართველოში მოვემგზავრებოდი, სატელეფონო საუბარში ვიგრძენი, რომ ჩემი შემშურდათ — თავის დროზე ჩვენ ვერ მოვახერხეთო საქართველოში ჩასვლა. აქ მართლაც საოცარი გარემოა. ასეთი მოსიყვარულე ხალხი იშვიათად მინახავს. თბილისი ძალიან ლამაზია. ერთი სული მაქვს, როდის ჩავალ მოსკოვში და ჩემებს ვუამბობ აქაურ შთაბეჭდილებებს. უამრავი ფოტოც მიმაქვს თან.

**— ახალი სეზონისთვის ვარჯიშს როდის დაიწყებთ?**

**ოთარი:** ერთ კვირაში ამერიკაში დავბრუნდებით. მწვრთნელებთან და ქორეოგრაფთან ერთად ახალ პროგრამებსა და მუსიკებს შევარჩევთ. მარტის ბოლოდან კი აქტიურ მზადებას დავიწყებთ. წლეულს მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ობერსდორფის ტურნირამდე საერთაშორისო ასპარეზობები არ იქნება, ამიტომ ამერიკაშივე ადგილობრივ შეჯიბრებებში მოვსინჯავთ ძალებს

**ანგელინა:** ოთარს ოლიმპიურ თამაშებში, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატებში გამოსვლის დიდი გამოცდილება აქვს, რაც საქმეს გაგვიადვილებს. თავს არ დავზოგავთ, რომ ქომაგები და ის ადამიანები არ გავაწბილოთ, რომლებიც ჩვენზე ამდენს ზრუნავენ. უბრალოდ, უფლება არ გვაქვს სოჭის საგზური რომ არ მოვიპოვოთ.

**— გმადლობთ გულახდილი საუბრისთვის და წარმატებებს გისურვებთ.**

**ოთარი:** მადლობა „ლელოს", რომ მოგვიწვია და ამდენი დრო დაგვითმო.



ჭადრაკი




# დუელი რუსებთან

ერთდღიანი დასვენების შემდეგ ყაზახეთის დედაქალაქ ასტანაში დღეს განახლდება მოჭადრაკე ქალთა გუნდური მსოფლიოს ჩემპიონატი 10 ქვეყნის წარმომადგენელთა მონაწილეობით. ხუთი ტურის შემდეგ ასეთი სატურნირო მდგომარეობაა: რუსეთი (16), უკრაინა (13) - 9-9, ჩინეთი (13), საქართველო (13) - 7-7, ინდოეთი (10,5) - 6, რუმინეთი (8,5), აშშ (7,5) - 4-4, ყაზახეთი (7,5) - 2, თურქეთი (6), საფრანგეთი (5) - 1-1 ქულა.

დღეს მე-6 ტურში საქართველოს ნაკრები რუსებს დაუპირისპირდება და, როგორც სატურნირო მდგომარეობიდანაც ჩანს, ამ შეხვედრაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული ორივე გუნდისთვის. დანარჩენ მატჩებში ერთმანეთს გაუწევენ მეტოქეობას რუმინეთი-ჩინეთი, უკრაინა-საფრანგეთი, ინდოეთი-აშშ, ყაზახეთი-თურქეთი.



შოთა აზალაძე

# აზალაძე რეშტაში პირველია

ირანულ მეშხედში მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირზე თბილისელმა საერთაშორისო ოსტატმა **შოთა აზალაძემ** მეორე ადგილი დაიკავა. მოხდა ისე, რომ რეშტაში ხაზარის საჭადრაკო ფესტივალზე ჩასვლა დააგვიანა, რის გამოც სტარტზევე დაკარგა ნახევარი ქულა. სამაგიეროდ, ჩვენებურმა მომდევნო ტურებში იყოჩაღა და ბოლო ტურამდე 8 ქულას მოუყარა თავი. გუშინ მე-11 ტურში ასევე 8-ქულიან მასპინძელს — ჰამედ მოოსავიანს დაუპირისპირდა. პაექრობა ყაიმით დასრულდა. ორივემ 8,5-8,5 ქულა მოაგროვა. რადგანაც აზალაძეს უკეთესი დამატებითი მაჩვენებლები აღმოაჩნდა, მთავარი პრიზიც მას ერგო და რეიტინგი 7,5 პუნქტით გაიმდიდრა. მეორე ადგილზე მუსავიანი გავიდა. ირანელმა დიდოსტატმა პურიადარინიმ გუშინ შავი ფიგურებით რუსი სერგეი ვოლკოვი დაამარცხა და 8,5 ქულით, მაგრამ უარესი კოეფიციენტით, მესამე ადგილი დაიკავა.

მეწინავეთა დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: ჰომეინ ტუფიგი (ირანი) — **ლევან ფანცულაია** 0:1, არაშ როგხანი (ირანი) — **ბაჩანა მორჩიაშვილი** 0:1, ამირეზა პურამეზანალი (ირანი) — მისრათდინ ისკანდაროვი (აზერბაიჯანი) 0:1, აჰმად აშგარიზადეხი (ირანი) — **დავით ბენიძე** 0:1.

თერთმეტი ტურის შემდეგ სამმა მოჭადრაკემ (ისკანდაროვმა, ფანცულაიამ და მორჩიაშვილმა) 8-8 ქულა მოაგროვა და, შესაბამისად, მეოთხე-მეექვსე ადგილები გაიყო. დავით ბენიძემ 7 ქულით მე-16 ადგილი დაიკვა.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა დანელიამ**

● ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. ნაკრები

# მოლოდინის დღეები

## მომავალ კვირაში ბერძენ-რომაელთა საევროპო გუნდი გაირკვევა

**ბერძენ-რომაელთა ნაკრები გუშინწინ დაბრუნდა მინსკიდან, სადაც ორი შეკრება გაიარა, შუალედში კი უნგრულ სომბათჰეიში „ოქროს დიდ პრიზზე" იასპარეზა. ევროპული ტურნე უმნიშვნელოვანესი იყო ევროპის ჩემპიონატისთვის მზადების გზაზე - გარდა იმისა, რომ მინსკში ერთობლივი შეკრება გაიარეს და ჩაატარეს სპარინგები, უნგრეთის ტურნირი ბოლო შესარჩევ-სასტარტო შეჯიბრება იყო ევროპის ჩემპიონატისთვის მოსამზადებლად. „ლელო" უკვე წერდა სომბათჰეიში მათი წარმატებული გამოსვლის შესახებ, სადაც 1 ოქრო, 3 ვერცხლი და 4 ბრინჯაო მოვიპოვეთ.**


ბეგი დარჩია

გუნდის მთავარი მწვრთნელი **ბეგი დარჩია** კმაყოფილია როგორც ჩატარებული შეკრებებით, ასევე შეჯიბრებითაც. მისი თქმით, უნგრეთში გუნდის მთავარი ამოცანა იყო, ლიდერებს მიეღოთ სატურნირო პრაქტიკა ანუ ჩაეტარებინათ რაც შეიძლება მეტი შეხვედრა. სამწუხაროდ, მიზეზთა გამო ჩვენს მოჭიდავეებს წლევანდელი სეზონისთვის მზადება ცოტა დაუგვიანდათ, რის გამოც მხოლოდ ორ შეჯიბრებაში მოასწრეს გამოსვლა და იქაც გუნდმა ნაწილ-ნაწილ იჭიდავა, ორივეგან მხოლოდ ერთეულები გამოვიდნენ. მწვრთნელის თქმით, ამ მხრივ უნგრულმა შეჯიბრებამ ამოცანა შეასრულა - ერთი მონაწილის გარდა, ყველამ თითქმის ბოლომდე გაიარა შეჯიბრება და სატურნირო პრაქტიკა მიიღეს.

უნგრეთში ჩვენთვის ყველაზე საინტერესო მოვლენები 84-სა და 96-ში დაფიქსირდა, სადაც ახალგაზრდებმა ძველ ლიდერებს პირადი შეხვედრა მოუგეს - ახალგაზრდებში მსოფლიოს ჩემპიონმა **რევაზ ნადარეიშვილმა** (84) ლონდონის ოლიმპიადის მეხუთეადგილოსან **ვლადიმერ გეგეშიძეს** აჯობა, **მამუკა ქაჯაიამ** (96) კი ევროპის პრიზიორი **სოსო ჯაბიძე** დაამარცხა. თუმცა, დარჩიას თქმით, ეს არ ნიშნავს, რომ გამარჯვებულებმა გაინაღდეს ევროპის პირველობაზე ჭიდაობა და - პირიქით. მწვრთნელის განმარტებით, ამ შედეგებზე საუბრისას აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ საწვრთნელი პროცესის თავისებურება. საქმე ისაა, რომ მინსკში წასვლამდე ბორჯომში გავლილ პირველ შეკრებაზე, რაკი სატურნირო ციტნოტში იყვნენ, გუნდს ორი გეგმით ავარჯიშებდა - ლიდერებს ანუ საქართველოს ჩემპიონებს თებერვლის ბოლოს გასამართი უნგრეთის ტურნირისთვის ამზადებდა და ფიზიკურად უფრო მეტად ტვირთავდა, მეორე ნაწილს კი ბევრად ადრე - მთელი ორი კვირის წინსწრებით უნდა ეჭიდავა თურქეთში ვები ემრეს მემორიალზე და ისინი ნაკლებად იტვირთებოდნენ. ამ ჯგუფში შედიოდნენ ნადარეიშვილი და ქაჯაიაც, რომელთაგანაც პირველმა თურქეთში ვერცხლი, მეორემ კი ბრინჯაო მოიპოვა. ამდენად, მათ სატურნირო პრაქტიკა ჰქონდათ, კონკურენტებს - არა. ამას ისიც დაემატა, რომ მათ მინსკშიც უფრო ძალისმიერი ვარჯიშები ჰქონდათ, დატვირთვების მერე პირდაპირ, შეუსვენებლად ჭიდაობა კი ძნელია. დარჩიას თქმით, ლიდერები ახლა ამიტომ არ იყვნენ ფორმაში და იმედოვნებს, რომ მზადების პიკს საევროპოდ მიაღწევენ. ეს ნაკრები ხვალ გაემგზავრება ბორჯომში დასკვნით შეკრებაზე, სადაც დარჩიას განკარგულებაში სრული, 35-კაციანი შემადგენლობა იქნება. მწვრთნელი იქ დაასახელებს ევროპირველობაზე გასაყვან გუნდს, თუმცა უნგრულ შედეგს თუ გადამწყვეტ მნიშვნელობას არ ანიჭებს, მაშინ საევროპო ნაკრების გამოცნობას დიდი მისნობა არც სჭირდება. მით უფრო, თუ გავიხსენებთ, ვინ იჭიდავა თურქეთსა და უნგრეთში. ეტყობა, დარჩია საქართველოს ორ ჩემპიონს - **ედნარ შავაძეს** (55) და **რობერტ ქობლიაშვილს** (84) საბოლოოდ დაუთმობს ახალგაზრდულ ნაკრებს, რადგან ასაკით კვლავაც მისი წევრები არიან. მით უფრო, ქვეყნის პირველობაზე დამაჯერებელი გამარჯვების შემდეგ მათ უნგრეთში იჭიდავეს, მაგრამ უმედლოდ დარჩნენ - ქობლიაშვილი ადრევე გავარდა, შავაძე კი მეხუთეზე გავიდა.

დაველოდოთ კიდევ რამდენიმე დღე და დაზუსტებულ შემადგენლობას გავიგებთ. შეგახსენებთ, რომ ევროპის ჩემპიონატი თბილისში 19-24 მარტს გაიმართება. საბედნიეროდ, დღეისათვის ჯანმრთელობის მხრივ სერიოზული პრობლემები არავის აწუხებს და ამ მხრივ ყველაფერი რიგზეა.

**ირაკლი თავაძე**



● ფარიკაობა

# გუნდურში მე-5 ადგილი


ეროვნული ბიბლიოთეკა

უნგრეთის დედაქალაქში დამთავრდა კადეტ და ახალგაზდა მოფარიკავეთა ევროპის პირველობა, რომელშიც საქართველოს წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ. როგორც გაუწყეთ, ახალგაზრდა მოხმალავეებში შესანიშნავად იასპარეზა სანდრო ბაზაძემ, რომელმაც ჩემპიონობა მოიპოვა.

შეჯიბრების ბოლო დღეს **სანდრო ბაზაძემ, მიხეილ მარდალეიშვილმა, საბა სულამანიძემ** გუნდურშიც მოსინჯეს ძალები. ჩვენებმა პირველივე შეხვედრა იტალიელებთან დაძაბულ ბრძოლაში 42:45 დათმეს. აპენინელებმა ნახევარფინალში რუსები (45:31) და გადამწყვეტ პაექრობაში გერმანელებიც (45:44) დაამარცხეს და ჩემპიონობა მოიპოვეს. ბრინჯაოს მედალი რუსების მძლეველ (45:39) უნგრელებს ერგოთ.

ჩვენმა ბიჭებმა დამამშვიდებელში იყოჩაღეს: ჯერ ფრანგებს აჯობეს — 45:43, მერე ბელარუსები დაჯაბნეს 45:26 და მეხუთე ადგილი დაიკავეს.

დღეს და ხვალ ბუდაპეშტში მოფარიკავეთა საერთაშორისო ფედერაციის გრან პრი გაიმართება. სამივე ქართველი მოხმალავე ამ ტურნირშიც მიიღებს მონაწილეობას.

**ვაჟა დანელია**

● ხელბურთი

# ფინალისტები გამოვლინდნენ

საქართველოს ხელბურთის ფედერაციის ინიციატივით მეოთხე წელიწადია, 1998-1999 წლებში დაბადებული ხელბურთელი გოგო-ბიჭების საქართველოს პირველობა ეწყობა. ისინი 2015 წელს თბილისში გასამართავი ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური ფესტივალისთვის ემზადებიან. ამჯერად შეჯიბრებაში ბიჭების 19 გუნდი ჩაება. მოასპარეზენი თავიდან დასავლეთის, აღმოსავლეთისა და თბილისის ზონებში იბრძოდნენ მეორე ეტაპის 12 საგზურისთვის (ზონიდან 4-4 საუკეთესო). ნახევარფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს ქუთაისის, ფოთის, ზუგდიდის, სამტრედიის, თელავის, ყვარლის, ლაგოდეხის გუნდებმა, გორის „კულამ", თბილისის „მართვემ", „მერანმა", „კორიდამ" და „პეგასმა", რომელთა პაექრობებს სპორტკომპლექსმა „არენამ" უმასპინძლა. გუშინ იქ ბოლო ტურის შეხვედრები გაიმართა: „მართვე"-„კულა" 29:26, „მერანი"-თელავი 30:20, „კორიდა"-ლაგოდეხი 19:12, „პეგასი"-ყვარელი 22:15. ამ ორთაბრძოლების შემდეგ სატურნირო მდგომარეობა ასეთია:



| № | გუნდი | მ | ფ | წ | ბურთები | ქულა |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | პეგასი | 8 | 0 | 0 | 190-103 | 16 |
| 2 | მერანი | 8 | 0 | 0 | 179-126 | 16 |
| 3 | კორიდა | 8 | 0 | 0 | 179-126 | 16 |
| 4 | მართვე | 6 | 0 | 2 | 179-153 | 12 |
| 5 | თელავი | 5 | 0 | 3 | 163-152 | 10 |
| 6 | ყვარელი | 3 | 0 | 5 | 151-149 | 2 |
| 7 | კულა | 3 | 0 | 5 | 153-159 | 6 |
| 8 | ზუგდიდი | 2 | 1 | 5 | 159-174 | 5 |
| 9 | ქუთაისი | 2 | 0 | 6 | 134-169 | 4 |
| 10 | სამტრედია | 1 | 0 | 7 | 82-160 | 2 |
| 11 | ლაგოდეხი | 0 | 0 | 8 | 68-127 | 0 |
| 12 | ფოთი | 0 | 0 | 8 | 82-160 | 0 |

ამდენად, პირველ-მერვე ადგილებზე გასული გუნდები 15-22 აპრილს საქართველოს პირველობის საპრიზო ადგილებისთვის იბრძოლებენ. **A ჯგუფში** ითამაშებენ: „პეგასი", „მართვე", თელავი, გორი, **B ჯგუფში** ერთმანეთს დაუპირისპირდებიან: „მერანი", „კორიდა", ყვარელი, ზუგდიდი.

**ვაჟა დანელია**

● ჭადრაკი

# ვეტერანები პლოვდივში

ორშაბათს ბულგარულ პლოვდივში დაიწყება ვეტერან მოჭადრაკეთა ევროპის ჩემპიონატი, რომელშიც შვეიცარიული სისტემით 9 ტური გათამაშდება. წინასწარი განაცხადით, ქალებში 50 წელს ზემოთ სხვადასხვა ქვეყნის 20 წარმომადგენელი მოიყრის თავს. მათ შორის - 3 საქართველოდან: ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონი **ნონა გაფრინდაშვილი** (ტურნირის რეიტინგფავორიტი), ვეტერანებში მსოფლიოს და ევროპის მრავალგზის ჩემპიონი და პრიზიორი **თამარ ხმიადაშვილი** და საერთაშორისო არბიტრი **მარგალიტა თანდაშვილი.**

მამაკაცებში (60 წელს ზემოთ) მედლებისთვის 104 მოჭადრაკე იბრძოლებს.

კლასიკური პარტიებით ევროპის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ 20-21 მარტს ევროპის პირველობა (9 ტურად) რაპიდშიც (სწრაფი ჭადრაკი) გაიმართება.

**ვაჟა დანელია**

● სამთო თხილამურობა

# იტალიასა და ამერიკაში

ქართველი სამთო მოთხილამურეები უცხოეთში განაგრძობენ მნიშვნელოვანი შეჯიბრებებისთვის მზადებას, ამასთანავე, საერთაშორისო ფედერაციის ეგიდით გამართულ ტურნირებშიც მონაწილეობენ. ბოლო სამი დღის განმავლობაში **ნინო წიკლაურმა** იტალიურ სანტა კატერინაში მოსინჯა ძალები. პირველ დღეს სუპერკომბინაციაში იასპარეზა და 2.19,85-ით 63-ე ადგილი დაიკავა (ყველას მასპინძელმა ფრანჩესკა მარსაგლიამ აჯობა - 2.05,54). მეორე დღეს სუპერგიგანტშიც ვერ იყოჩაღა - 87-ე (1.31,43) იყო. გუშინაც ამავე დისციპლინაში გამოდიოდა. ამჯერად ოდნავ უკეთესი დრო (1.29,49) აჩვენა, რაც მხოლოდ 62-ე ადგილისთვის აღმოჩნდა საკმარისი. პირველობა, როგორც წინა დღეს, იტალიელ ვერენა შტუფერს (1.20,55) ერგო.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ვარჯიშობს ფიგურულ ციგურაობაში ევროპის ორგზის ბრინჯაოს პრიზიორის - **ელენე გედევანიშვილის** უმცროსი ძმა **დიმიტრი გედევანიშვილი.** გუშინწინ მან ამერიკულ სტიუვში სუპერგიგანტის პირველი დისტანცია ვერ ჩაამთავრა, გუშინ კი 59,35 წამით მე-9 ადგილი დაიკავა. შეჯიბრებაში 10 ქვეყნის 94 წარმომადგენელი მონაწილეობდა. კვარცხლბეკის სამივე საფეხურზე ამერიკელები - თეიბ ენგელკენი (58,24), პრესკოტ კლაულინი (58,64) და ჯეკ ვან დეურსენი (58,65) ავიდნენ.

**ვაჟა დანელია**

## კალათბურთი

ქართველი უკრაინაში

# ცინცაძემ აზოვმაში თავისუფლად გადაცურა



ცინცაძე აზოვისპირელებთან მატჩისას

უკრაინის ჩემპიონატში ფავორიტების დუელი შედგა: პირველადგილოსანმა „ბუდიველნიკმა“ მეორე პოზიციაზე მყოფ „აზოვმაშს“ უმასპინძლა. მატჩმა მოლოდინი კიეველებს გაუმართლა - მასპინძლებმა პირველ მეოთხედში იმდენად იოლად დაჯაბნეს აზოვისპირელები, რომ მას მერე გამარჯვება კითხვის ნიშნის ქვეშ აღარ დაუყენებიათ. საწყის 10 წუთში „ბუდიველნიკმა“ 39:17 მოიგო, საბოლოოდ კი 97:78 იმარჯვა.

როგორც წესი, მასპინძელთა ხუთეულში იყო **გიორგი ცინცაძე**, რომელმაც ქულებისა და პასების აბსოლუტური უმრავლესობა საწყის ნახევარში მოაგროვა: 7 ქულა, 4 პასი, 2 მოხსნა. მატჩის ბომბარდირი, 24 ქულით კიეველი **ლეო ლაიონსი** გახდა.

„ბუდიველნიკს“ 26 მოგება აქვს და 4 გამარჯვებით უსწრებს მდევარ „აზოვმაშს“. ცინცაძის გუნდს სეზონის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მატჩი 13 მარტს ელის. ევროთასზე რუსულ „სპარტაკს“ მიიღებს. პირველი შეხვედრა პეტერბურგელებმა 11 ქულის სხვაობით მოიგეს.

ვაჟა სიმონიშვილი

სუპერლიგა 2012-13. XVII ტური

# ბოლო წამების დრამა

8 მარტი. ქუთაისი

**ქუთაისი-ოლიმპი 76:78**

18:21, 13:20, 17:12, 28:25

**ქუთაისი:** ფაშაევი (7ქ, 4პ), ბაბუნაშვილი (8ქ, 4პ), დიდია (5ქ, 4პ), გრძელიძე, კვიმსაძე (11ქ), დ. ბარბაქაძე (3ქ), ლომინაშვილი, გ. ბარბაქაძე (23ქ, 6მ), მათიაშვილი (19ქ, 15მ).

**ოლიმპი:** ტომარაძე (9ქ, 5პ), სოკი (15ქ, 7პ), ბერიშვილი (2ქ, 6მ, 3პ), თავართქილაძე (3ქ), მიქელაძე, თენიეშვილი (2ქ, 4პ), ფაცაცია (17ქ, 9მ, 3ჩ), დვალიშვილი (20ქ, 9მ), ანდრიუკაიტისი (10ქ, 5მ).

**მსაჯები:** მ. კუპატაძე, დ. ბერიშვილი, ი. ბერიშვილი.

ძალიან საინტერესო შეხვედრა გაიმართა ქუთაისის სპორტის სასახლეში, სადაც ადგილობრივი „ქუთაისი“ სუპერლიგის ლიდერ „ოლიმპს“ დაუპირისპირდა. წარმოიდგინეთ, მატჩის დასრულებამდე 54 წამით ადრე სტუმრები 7 ქულით იგებდნენ, მაგრამ ქუთათურებმა 2 ქულამდე შეამცირეს სხვაობა და მატჩის დასრულებამდე 3 წამით ადრე 3 საჯარიმო სროლის უფლება მოიპოვეს... ქუთაისელთა ყველაზე შედეგიან მოთამაშეს **გიგი ბარბაქაძეს**, რომელმაც მანამდე საკუთარ გუნდს 23 ქულა შესძინა, სამივე საჯარიმო რომ გამოეყენებინა შეხვედრას „ქუთაისი“ მოიგებდა, მაგრამ რიონისპირელთა ლიდერს ნერვებმა უმტყუნა, პირველი ორი ტყორცნა გაუცუდდა, მესამის ჩაგდება მასპინძლებს აღარ კმაროდათ, ამიტომაც, ბურთი ფარიდან ასხლეტით განზრახ გადმოაგდო, მაგრამ **დავით უსტიაშვილის** შეგირდებს სროლისთვის სამი წამი არ ეყოთ და საბოლოოდ დამარცხდნენ კიდეც...

ასეთი ემოციებით დატვირთული გამოდგა მატჩის ეპილოგი, მანამდე კი მაყურებლებით გადაჭედილ დარბაზში საინტერესო და დინამიკური თამაში მიმდინარეობდა. თავიდან ქუთაისელები უკეთ გამოიყურებოდნენ, კარგად წარმართავდა თამაშს მასპინძელთა გამთამაშებელი **ბუბა კვიმსაძე,** რომელმაც მოგვიანებით ტრავმა მიიღო და მეორე ტაიმში სათამაშოდ ველარ გამოვიდა. **გია კაზანჯიანის** გუნდმა საწყისი პასიურობის შემდეგ თამაშში გარდატეხა შეიტანა და დაწინაურდა. პირველი პერიოდი „ოლიმპმა“ 3 ქულით მოიგო (18:21). თბილისელებმა მეორე მეოთხედშიც შეინარჩუნეს ტემპი, კარგად ჩაერთო თამაშში **მარტინას ანდრიუკაიტისი,** რომელმაც თანაგუნდელებიც აიყოლია და „ოლიმპი“ დიდ შესვენებაზე 10-ქულიანი უპირატესობით გავიდა - 41:31.

მეორე ტაიმი ქუთაისელებმა ძალზედ აქტიურად დაიწყეს. ჯერ გიგი ბარბაქაძემ ჩააგდო სამქულიანი, რასაც **რევაზ დიდიამ** და **რიჩარდ მათიაშვილმა** ზუსტი ოქულიანები მიაყოლეს, შემდეგ ისევ უმცროსმა ბარბაქაძემ გამოიჩინა თავი და მასპინძლებმა 3 ქულამდე დაიყვანეს სხვაობა - 42:45. ქუთაისელებს წინ გასვლის შანსიც ჰქონდათ, მაგრამ ზედიზედ ორი შეტევა გაუცუდდათ, რაც გამოცდილმა მეტოქემ არ აპატიათ. შესანიშნავად თამაშობდნენ ოლიმპელები **აკაკი დვალიშვილი** (20ქ) და **ლევან ფაცაცია** (17ქ), ძალზედ აქტიური იყო **სტენ სოკიც** (15ქ). მათი მონდომების შედეგად „ოლიმპმა“ მეტოქე მეტად არ მიიახლოვა და მესამე პერიოდის შემდეგ 5 ქულით იგებდა - 48:53.

გადამწყვეტ მეოთხედში თამაში ქულა-ქულაში მიმდინარეობდა. **ფაშაევის** ზუსტი სამქულიანისა და მათიაშვილის საჯარიმოების შემდეგ ანგარიში გათანაბრდა - 55:55. „ოლიმპი“ მალევე გამოერკვა მდგომარეობიდან, დვალიშვილის, ტომარაძისა და ფაცაციას შესანიშნავი თამაშის წყალობით ისინი კვლავ დაწინაურდნენ. ამას ქუთაისელთა შეცდომებმა და უზუსტო საჯარიმო სროლებმაც შეუწყო ხელი, განსაკუთრებით რიჩარდ მათიაშვილს არ წაუვიდა ტყორცნები... მატჩის დასრულებამდე 2 წუთით ადრე სტუმრებმა კვლავ 10 ქულამდე გაზარდეს სხვაობა (59:69) და თითქოს მატჩის ბედიც აქ უნდა გადაწყვეტილიყო, მაგრამ დავით უსტიაშვილის შეგირდებმა ბოლომდე იბრძოლეს. გიგი ბარბაქაძის ზედიზედ ორ სამქულიანს, **ბაბუნაშვილის** ზუსტი სამიანიც დაერთო და ქუთათურებს შანსი დაუბრუნდათ. მატჩის დასრულებამდე 54 წამით ადრე „ოლიმპი“ 77:70 იგებდა, თუმცა მათიაშვილმა და ბაბუნაშვილმა სამ ქულამდე დაიყვანეს სხვაობა - 78:75.

11 წამით ადრე ანდრიუკაიტისი დაჯარიმდა და მათიაშვილმა ორიდან ერთი საჯარიმო გამოიყენა. ბოლო წამებზე ქუთაისელებმა კიდევ სამი საჯარიმოს სროლის უფლება მოიპოვეს, თუმცა ამის შემდეგ რაც მოხდა, დასაწყისშივე დავწერეთ... დრამატულ ბრძოლაში „ოლიმპმა“ გაიმარჯვა. შეხვედრის ერთადერთი ორმაგი დუბლი (19 ქულა და 15 მოხსნა) „ქუთაისის“ ცენტრფორვარდის რიჩარდ მათიაშვილის ანგარიშზეა.

დავით კოხრეიძე
ქუთაისიდან

საქართველო. U20

# დინამო თუ რუსთავი?

საქართველოს ახალგაზრდულ ჩემპიონატში რეგულარული ეტაპი დასასრულს მიუახლოვდა. „რუსთავსა“ და „ჰიუნდაის“ სამ-სამი მატჩი დარჩათ ჩასატარებელი, ხოლო დანარჩენებს - 2-2.

გარკვეულია ნახევარფინალში გამსვლელი სამი გუნდის ვინაობა: „ოლიმპი“, „სოხუმი“ და „შსს აკადემია“. მეოთხე ადგილისთვის კი ორი იბრძვის - „დინამო“ და „რუსთავი“. ამ უკანასკნელთა შეხვედრა 6 მარტს შედგა. თუ დინამოელები გაიმარჯვებდნენ, პლეი ოფისკენ დიდ ნაბიჯს გადადგამდნენ, ხოლო ქვემოქართლელები მოგების შემთხვევაში „დინამოს“ ერთი მოგებითღა ჩამორჩებოდნენ და რეზერვში მატჩი რჩებოდათ.

შეხვედრა დაძაბული გამოდგა და „რუსთავის“ გამარჯვებით დასრულდა, რაც იმას ნიშნავს, რომ მეოთხე ნახევარფინალისტის ვინაობა დარჩენილ ტურებში უნდა გამოვლინდეს. დაველოდოთ მოვლენების განვითარებას, აქ კი შეგახსენებთ, რომ რეგულარული ეტაპის ბოლო მატჩი („რუსთავი“-“შსს აკადემია“) 22 მარტს გაიმართება.

**სოხუმი-ჰიუნდაი 92:72**

23:25, 24:17, 18:11, 27:19

**სოხუმი:** გაგნიძე (14ქ, 9მ), გაფრინდაშვილი (18ქ, 9მ), ტყაბლაძე (2ქ), ჯინჭარაძე (14ქ, 8მ), პატარაია, გოლეთიანი (3ქ), მეგრელიძე (2ქ), გულმაგარაშვილი, მუიჟნიექსი (11ქ, 6პ), ბულიავა (17ქ, 9მ), არაბული (11ქ, 13მ).

**ჰიუნდაი:** ქილიფთარი (3ქ, 5მ), ტომარაძე, ლომიძე (5ქ), ზაქრაძე (16ქ, 5პ), გიორგაძე (2ქ), ბოლქვაძე (9ქ), კოსტავა (4ქ), ბუთხუზი (9ქ), ძიძიგური (24ქ, 7მ).

**დინამო-რუსთავი 60:68**

14:8, 14:22, 19:19, 13:19

**დინამო:** ლილუაშვილი (12ქ, 7პ), ჩოჩია (6ქ), ორმოცაძე (6ქ), დოლიძე (6ქ), ამონაშვილი, გელაზონია (14ქ, 26მ), ლუდუშაური (16ქ, 5პ).

**რუსთავი:** ლორთქიფანიძე (33ქ), ქიტოშვილი (13ქ, 8პ, 4ჩ), ოქროჭელიძე, დვალი (6, 6პ, 8მ), ურიდია (3ქ), ნარჩომაშვილი (13ქ, 10მ), ხატიაშვილი.

**ოლიმპი-შსს აკადემია 75:62**

15:17, 29:5, 19:25, 12:15

**ოლიმპი:** ნადირაძე (4ქ), ბრაგვაძე, იაშვილი (9ქ), გოგოძე (12ქ, 4პ), იაკობიძე, ცირეკიძე (12ქ, 13მ), ბაქრაძე, ფხაკაძე (1ქ), ლობჟანიძე (13ქ), მიქელაძე (24ქ, 4პ).

**შსს აკადემია:** გორდულაძე (29ქ, 4პ), ჟორჟოლიანი (6ქ), ლოლიშვილი (15ქ, 7მ), რ. როგავა. მირზიაშვილი, კენჭიაშვილი, პულუზაშვილი (4ქ, 13მ, 5დ), დ. როგავა, კვანტალიანი (6ქ), მაჭავარიანი, გუგეშაშვილი.

| გუნდი | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპი | 18 | 13 | 5 | 1306/1163 | 31 |
| 2. სოხუმი | 18 | 11 | 7 | 1305/1254 | 29 |
| 3. შსს აკადემია | 18 | 10 | 8 | 1164/1137 | 28 |
| 4. დინამო | 18 | 8 | 10 | 1223/1261 | 26 |
| 5. რუსთავი | 17 | 7 | 10 | 1248/1275 | 24 |
| 6. ჰიუნდაი | 17 | 4 | 13 | 1175/1331 | 21 |

ვაჟა სიმონიშვილი

საქართველოს ნაკრების მეტოქე

# გორტატი ნაკრებში ჩასვლაზე ჭოჭმანობს

ევროპის 2013 წლის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრებს სადებიუტო მატჩი ელის პოლონეთთან, რომლის ლიდერი „ფინიქსის“ ცენტრი **მარცინ გორტატია**. ბოლო ინფორმაციით შესაძლოა, პოლონელები სლოვენიაში ევრობასკეტზე გორტატის გარეშე გაემგზავრონ. კითხვებზე, რატომ? უკვე გადაწყვეტილია? პასუხს ქვემოთ მიიღებთ. აი, რას წერს „სპორტს.რუ“:

*„ფინიქსელთა მეფარე მარცინ გორტატმა მარჯვენა ფეხი დაიზიანა და მკურნალობისთვის 3 კვირა დასჭირდება. ამას მივუმატოთ სარეაბილიტაციო ერთი კვირა და დიდია ალბათობა, გორტატმა ამ სეზონში NBA-ში ველარც ითამაშოს.*

*- განვიხილავ ვარიანტს, რომლის მიხედვითაც შესაძლოა ნაკრებში სათამაშოდ არ ჩავიდე. ასეთ შემთხვევაში სეზონთშუა შესვენებისას თავიდან ავიცილებ დაახლოებით 20 შეხვედრას, - განაცხადა გორტატმა“.*

ვაჟა სიმონიშვილი

ქართველი ევროლიგაზე

# ვიქტორის ჩატენვები და ექვსიანები

ევროლიგის ეგიდით რუსეთში „ხიმკისთან“ ითამაშა **ვიქტორ სანიკიძის** „მონტეპასკიმ“. მესამე პერიოდში პოდმოსკოვიელებმა მეტად აგრესიული და ზუსტი თამაშით 19-ქულიანი უპირატესობა მოიპოვეს და მეოთხე რაუნდში, მართალია მისი შენარჩუნება ვერ მოახერხეს, მაგრამ გამარჯვება ხელიდან აღარ გაუშვიათ - 78:71.

**ვიქტორ სანიკიძეს** ცენტრის ფუნქციების შესრულებაც უწევდა და პერიმეტრზეც ხშირად ადიოდა. საბოლოოდ 17 წუთში 6-6 ქულა-მოხსნა მოაგროვა. ოთხი ქულა მან ჩატენვების შედეგად მიითვალა.

ნაგების მიუხედავად, „მონტეპასკი“ მეოთხედფინალში გასვლის კარგ შანსს ინარჩუნებს. მას 7 გამარჯვება აქვს, მეხუთეადგილოსან „მაქაბის“ - 5. ამ ჯგუფიდან პლეი ოფში ოთხი გადის. ჯგუფური ტურნირის დასრულებამდე 4 ტურია დარჩენილი.

ვაჟა სიმონიშვილი

კალათბურთის ფესტივალი

# თურქთა სტუმრობა ქუთაისში

გასულ წელს ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების მე-100 ფილიალის გოგონათა საკალათბურთო გუნდი თურქეთის ქალაქ უნიეში იმყოფებოდა, სადაც ადგილობრივ გუნდთან ორი ამხანაგური შეხვედრა გამართა.

ქართულ და თურქულ მხარეებს შორის მეგობრული ურთიერთობა ჩამოყალიბდა და ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების მოწვევით ამჯერად უნიელები ესტუმრნენ ქუთაისს. შეხვედრები კალათბურთის ფესტივალის ფარგლებში გაიმართა, რომელიც თბილისის 2015 წლის ევროპის ოლიმპიურ ფესტივალს მიეძღვნა. პირველი მატჩი მიხეილ ქორქიასა და ზურაბ საკანდელიძის სახელობის სპორტის სასახლეში გაიმართა. შეხვედრა საინტერესოდ წარიმართა. მართალია, მასპინძლები თავიდანვე დაეუფლნენ უპირატესობას, მაგრამ თურქები თავდაუზოგავად თამაშობდნენ და მატჩის მიწურულს 20-ქულიანი ჩამორჩენა 3 ქულამდე ჩამოიყვანეს და მასპინძლებმა 63:60 გაიმარჯვეს. „უნიე“ საკმაოდ მოძრავი გუნდის შთაბეჭდილებას ტოვებდა, მაგრამ სიმაღლეში უპირატესობა ქუთაისელებს ჰქონდათ. განსაკუთრებით მასპინძელთა ცენტრფორვარდი **ნელი ჟორჟოლიანი** გამოირჩეოდა, რომელიც ფარქვეშ შეუდარებელი იყო, საბოლოოდ კი 28 ქულითა და 21 მოხსნით ორმაგი დუბლიც მიითვალა. მასთან ერთად უნდა გამოვარჩიოთ **ნინო გაბიძაშვილიც**, რომელმაც საკუთარ გუნდს 17 ქულა შესძინა.

განმეორებითი შეხვედრა სპორტსკოლის საკალათბურთო დარბაზში ჩატარდა. დრამატულ და დაძაბულ შეხვედრაში თურქმა გოგონებმა რევანშის აღება მოახერხეს - 71:70.

- გოგონათა საკალათბურთო გუნდი მოკლებული იყო საერთაშორისო ტურნირებსა და უცხოურ გუნდებთან პაექრობას. თურქულ მხარესთან კარგი ურთიერთობები დავამყარეთ, ეს სპარინგები ორივე გუნდისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. უახლოეს მომავალში ჩვენი გუნდი გაემგზავრება უნიეში და თურქულ გუნდს სტუმრად დაუპირისპირდება. ვეცდებით, სხვა უცხოურ კლუბებთანაც დავამყაროთ საქმიანი ურთიერთობები, ეს აუცილებლად შეუწყობს ხელს ჩვენი კალათბურთელების განვითარებას. ქუთაისის კალათბურთის ფესტივალი იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ „ქუთაისში“ იმ ასაკის გოგონები თამაშობენ, რომლებსაც 2015 წელს თბილისში გასამართავ ევროპის ოლიმპიურ ფესტევალზე უწევთ ასპარეზობა. „ქუთაისის“ ორი კალათბურთელი საქართველოს ნაკრების წევრებად მოიაზრებიან და გვაქვს იმის შესაძლებლობა, ნაკრებს კიდევ მივაწოდოთ საინტერესო კალათბურთელები, - აღნიშნა ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების ხელმძღვანელმა და ტურნირის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა **დავით აბულაძემ.**

**არზაიაკი** („უნიესა“ და ხოფა-ართვინის კალათბურთის რეგიონალური ფედერაციის პრეზიდენტი):

- თურქეთის მოქალაქეობასთან ერთად, ქართული პასპორტიც მაქვს, ხშირად მიწევს საქართველოში ყოფნა. მეგობრული ურთიერთობა დავამყარეთ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანებასთან. „ქუთაისთან“ უკვე ოთხი ამხანაგურ, მატჩი ჩავატარეთ და ანალოგიურ სპარინგებს სამომავლოდაც ვგეგმავთ. „ქუთაისში“ არაერთი საინტერესო კალათბურთელი თამაშობს და გამორიცხული არ არის, რომ სამომავლოდ რომელიმე მათგანი „უნიეში“ მივიწვიოთ.

დავით კოხრეიძე
ქუთაისიდან

ქართველი იტალიაში



მეტრეველი 19 ქულამდე ავიდა

# ფერდაკარგული ცხრამეტი

## ომენამ ფავორიტთან დათმო

იტალიის ლიგა „ნაციონალე 1-ში“ საქართველოს ნაკრების ფორვარდმა **ნიკა მეტრეველმა** მორიგი მატჩი ჩაატარა ეფექტურად, თუმცა მისი შრომა „ომენას“ გამარჯვებას ვერ გასწვდა. ომენელთა მეტოქე ლიგის პირველადგილოსანი „ტორინო“ იყო და მიუხედავად იმისა, რომ მატჩი ომენაში გაიმართა, მეოთხე პერიოდში დამაჯერებელი თამაშის წყალობით (22:13) მოგება ტურინელებს დარჩათ - 67:59.

ნიკა მეტრეველი (1989) სასტარტო ხუთეულში იყო და 28 წუთი ითამაშა. მის ანგარიშზე 19 ქულა, 7 მოხსნა, 2 ჩაჭრა და 1 დაფარებაა. ვერც იმას ვიტყვით, რომ სროლის სიზუსტეში მოიკოჭლებდა: 2-დან 2 სამქულიანი, 3-დან 3 საჯარიმო, 11-დან 5 ორქულიანი.

ამ წაგებით „ომენა“ მერვე ადგილამდე დაეშვა და ერთი მოგებითღა (13 გამარჯვება აქვს) უსწრებს მეცხრეადგილოსან „რეჯო კალაბრიას“. ჩემპიონატის პლეი ოფში რვა გუნდი გადის.

ვაჟა სიმონიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ერთა თასი

# მილტონ ჰეიგი: ამბიცია მახრჩობს, ისე მინდა რევანშის აღება


ირაკლი ყიასაშვილი, ბექა ბინაძე და მამუკა გორგოძე

**საქართველოს ნაკრები დღეს ერთა თასის გათამაშების მეოთხე ტურის მატჩში ესპანეთის ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდება. „ლომები“ თამაშს დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ, რის გამოც თბილისში ოთხი დღით ადრე ჩამოვიდნენ და ყველა, მათ შორის კაპიტნის ვარჯიშიც დახურული ჰქონდათ.**

ამ შეხვედრას ორივე გუნდისთვის მართლაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ესპანელებმა, რომლებსაც ტურნირის დაწყების წინ დიდი ამბიციები ჰქონდათ, სამი თამაშიდან ორი წააგეს და ერთში ფრეს დასჯერდნენ. ისინი სამი ქულით ბოლო ადგილზე არიან და დღეს წაგება, მათ მდგომარეობას კატასტროფულს მიუახლოვებს.

თავის მხრივ, „ლომებთან“ გამარჯვებას დიდი ფასი ადევს საქართველოს ნაკრებისთვის. ჯერ ერთი, შარშანდელი მარცხის გამო რევანშია ასაღები, მერე მოგების შემთხვევაში კიდევ უფრო გავიმყარებთ სატურნირო მდგომარეობას და ბოლოს, რაგბიდან ვაცილებთ ღვაწლმოსილ კაპიტანს **ირაკლი აბუსერიძეს.** ყოველივე აქედან გამომდინარე „ბორჯღალოსნები“ მაქსიმალურად მობილიზებლნი არიან და, წესით, დღეს ქართული რაგბის ქომაგებს ზეიმი უნდა მოუწყონ.

მატჩის წინა, ბოლო კაპიტნის ვარჯიში ესპანელებმა გუშინ დილის ათ საათზე გამართეს. თუმცა პრესკონფერენციაზე ნაშუადღევს, საქართველოს ნაკრების ვარჯიშის შემდეგ გამოცხადდნენ. იქამდე კი ჟურნალისტების შეკითხვებს „ბორჯღალოსნების“ თავკაცმა უპასუხა.

**მილტონ ჰეიგი,** საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი:

*„რუსეთთან მატჩის შემდეგ სამი მორაგბე დავიმატეთ, ირაკლი აბუსერიძე, ლევან დათუნაშვილი და რეზო ბელქანია. ძირითადად, შემადგენლობა ისევ ძველებურია. განსხვავება ისაა, რომ ამჯერად ძირითად შემადგენლობაში თამაშს პირველ ხაზში სხვა მორაგბეები იწყებენ. ვფიქრობ, ვასილ კაკოვინმა და დავით ქუბრიაშვილმა ეს დაიმსახურეს. იგივე შეიძლება ითქვას შერკინების კვაჭ რეზო ბელქანიაზეც, რომელიც მატჩისთვის მზადებისას მონდომებით გაისარჯა, დერეფანშიც ბურთს სტაბილურად აგდებდა. გადავწყვიტეთ, მისთვის შანსი მიგვეცა.*

*მეორეხაზელი ლევან დათუნაშვილი გამოცდილი მოთამაშეა და შეუძლია თავისი ფიზიკური მონაცემებით მორკინალთა თამაში გააძლიეროს. გიორგი ჩხაიძეს საკმაოდ გადატვირთული გრაფიკი ჰქონდა. ნაკრებში თამაშს კლუბში ასპარეზობას უნაცვლებდა და ამიტომ ცოტა ამოსუნთქვის საშუალება მივეცით, თანაც ჩვენ მზადების ორკვირიანი ციკლი გვაქვს. მომავალ უქმეებზე ბუქარესტში უმძიმესი თამაში გველის და ნაკრებში დათუნაშვილის გამოძახებისას ესეც გავითვალისწინეთ.*

*ესპანეთთან შარშანდელი მარცხი მწარედ მახსოვს. ის ჩემი სადებიუტო მატჩი იყო და ამბიცია მახრჩობს, ისე მინდა რევანში ავილოთ. მთავარია, გუნდმა ჩემს მიერ მიცემული დავალება შეასრულოს და შედეგი თავისთავად მოვა. მნიშვნელოვანია მაღალი ხარისხის რაგბი ვაჩვენოთ. მოედანზე ცოტა ფეხი სხლტის და, იმედია, ეს თამაშში ხელს არ შეგვიშლის.“*

**ბრაის ბევინი,** ესპანეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი:

*„ესპანეთის რაგბის ფედერაციაში ახალი ხელმძღვანელები მოვიდნენ, მეც ახალი მწვრთნელი ვარ, მოთამაშეთა გარკვეული კონტინგენტიც შეიცვალა და, ალბათ, სწორედ ამან განაპირობა ჩვენი ბოლოდროინდელი არასტაბილური გამოსვლა. მიუხედავად ამისა, ჩვენ შევძელით რუსეთსა და ბელგიაში გამარჯვების მიღწევა. ცოტა უფრო გონივრულად რომ გვეთამაშა, რუმინეთის დამარცხებაც შესაძლებელი იყო.*

*შარშანდელთან შედარებით ჩვენი ნაკრების შემადგენლობა საგრძნობლად გადახალისდა. ამას სამი მიზეზი აქვს. ჩემი წინამორბედის დროს ნაკრებში ბევრი წარმოშობით ფრანგი თამაშობდა, რომელთა უმრავლესობამაც ამჯერად ესპანეთის ეროვნულ გუნდში თამაშზე უარი განაცხადა. მეორე მიზეზი ის არის, რომ მე თვითონ სხვა მორაგბეებზე გავაკეთე აქცენტი. მესამე კი ტრავმებია, რის გამოც რამდენიმე უკანახაზელი დაგვაკლდა.*

*საქართველოს ნაკრების თამაში, ცხადია, შესწავლილი გვაქვს. ისევე როგორც თქვენს მწვრთნელებს ჩვენი გუნდის თამაში. ვეცდებით შევუტიოთ ყველა შესაძლო მომენტში. ჩვენ გვაქვს საკმაოდ ფართო არსენალი და მატჩის მსვლელობისას გამოჩნდება რომელს გამოვიყენებთ.“*

**ხუან მაგუნასელაია,** ესპანეთის ნაკრების კაპიტანი:

*„შარშანდელ მოგებულ თამაშსა და ამ მატჩს შორის პარალელის გავლება არ შეიძლება. მაშინ საქართველოს ნაკრები მსოფლიოს თასის გათამაშებიდან ახალი დაბრუნებული იყო. გუნდი მოდუნებული გახლდათ, მით უფრო, რომ მატჩს პრინციპული მნიშვნელობა არ ჰქონდა.*

*ამჟამად სრულიად განსხვავებული მდგომარეობაა. თამაშს სულ სხვა დატვირთვა აქვს, ამიტომ ქართველი მორაგბეები მაქსიმალურად მობილიზებულნი იქნებიან და აბსოლუტურად სხვა, უფრო მაღალი დონის რაგბის შემოგვთავაზებენ“.*

შეგახსენებთ, რომ საქართველოსა და ესპანეთის ნაკრებების მატჩი მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე 15 საათზე დაიწყება. თამაშს ირლანდიელ მსაჯთა ბრიგადა მოემსახურება. მთავარი არბიტრი **სტიუარტ გაფკინი** იქნება.

### საქართველო-ესპანეთი

**საქართველო:** 15. ლაშა ხმალაძე, 14. თამაზ მჭედლიძე, 13. დავით კაჭარავა, 12. მერაბ შარიქაძე, 11. ირაკლი მაჩხანელი, 10. მერაბ კვირიკაშვილი, 9. ირაკლი აბუსერიძე. 1. ვასილ კაკოვინი, 2. რეზო ბელქანია, 3. დავით ქუბრიაშვილი, 4. ლევან დათუნაშვილი, 5. კონსტანტინე მიქაუტაძე, 6. ვიქტორ კოლელიშვილი, 7. მამუკა გორგოძე, 8. დიმიტრი ბასილაია.

16. ირაკლი ნატრიაშვილი, 17. ზურაბ ჟვანია, 18. დავით ზირაქაშვილი, 19. გიორგი ჩხაიძე, 20. შალვა სუთიაშვილი, 21. ვაჟა ხუციშვილი, 22. თედო ზიბზიბაძე, 23. ბექა წიკლაური

**ესპანეთი:** 15. სესარ სემპერე, 14. ჟულიენ გოია, 13. კარლოს ბლანკო, 12. ხაიმე ნავა, 11. მატიას ტუდელა, 10. კორი სიმპსონი, 9. ხაუნ კერეტო. 1. დავიდ გურგენიძე, 2. ლასა უნაი, 3. ხესუს მორენო, 4. მეთიუ კუკი, 5. ხესუს რეკუერდა, 6. ხუან მაგუნასელაია, 7. გლენ როლსი, 8. ლიონელ პარდო.

16. ავგუსტინ ორტისი, 17. ჯო ჰატჩინსონი, 18. ხუან ნავა, 19. ჯეკი კარტერი, 20. ნიკ მარშალი, 21. ხუან ტუდელა, 22. პაბლო ფეიხოო, 23. ტომ პარკერი.

**მსაჯი:** სტიუარტ გაფკინი (ირლანდია)

### სატურნირო მდგომარეობა

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საქართველო | 3 | 3 | 0 | 0 | +31 | 12 |
| 2. რუმინეთი | 3 | 3 | 0 | 0 | +31 | 12 |
| 3. პორტუგალია | 3 | 1 | 0 | 2 | -13 | 5 |
| 4. ბელგია | 3 | 0 | 1 | 2 | -10 | 4 |
| 5. რუსეთი | 3 | 1 | 0 | 2 | -25 | 4 |
| 6. ესპანეთი | 3 | 0 | 1 | 2 | -14 | 3 |

### III ტური

**9 მარტი**

საქართველო-ესპანეთი
პორტუგალია-რუსეთი
ბელგია-რუმინეთი



კონსტანტინე მიქაუტაძე და მილტონ ჰეიგი (თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტოები)

● ექვსი ერი


ფილიპ სენტ-ანდრე საგონებელშია

# ევროპის ელიტა გზაგასაყარზე

**ექვსი ერის გათამაშებაში ბოლოსწინა ტურის შეხვედრების ჯერი დადგა. წლევანდელი გათამაშება ყველა უწინდელზე განსხვავებული და სიურპრიზებით აღსავსე გამოდგა. თავად განსაჯეთ, მუდმივი ფავორიტი საფრანგეთის ნაკრები ნული ქულით ბოლო ადგილზეა და „ხის კოვზის“ მოპოვების უმთავრესი კანდიდატია.**

„ლე ბლო“ წლევანდელი ტურნირის დაწყებამდე სამართლიანად მიიჩნეოდა ერთ-ერთ უმთავრეს პრეტენდენტად. განსაკუთრებით კი მას შემდეგ, რაც ნოემბრის ტესტებზე შესანიშნავად იასპარეზა. **ფილიპ სენტ-ანდრეს** სამწყსო თითქოს ერთიანად გამოცვალესო, ექვსი ერის გათამაშებაში გამარჯვების მოპოვებას ვერ ახერხებს. ჯერ მუდმივ აუტსაიდერთან, იტალიის ეროვნულ გუნდთან წააგო შიმ, მერე ვერც ინგლისისა და უელსის ნაკრებებთან გახდა რამეს.

ფრანგები ახლა კიდევ ერთ მატჩს გამართავენ სტუმრად. ამჯერად ირლანდიის ნაკრებთან, რომელსაც სამ მატჩში მხოლოდ ერთი გამარჯვება აქვს. თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ „სამყურები“ შინ თამაშობენ და, ცხადია, ეს დამატებითი პლუსია მათ აქტივში.

მიუხედავად ამისა, ბუქმეკერებს მიაჩნიათ, რომ წყვილში ფავორიტი „ლე ბლოა“. ფრანგებს, ფაქტობრივად უკანდასახევი გზა მოჭრილი აქვთ. დუბლინში მარცხის შემთხვევაში, არავინ იცის ბოლო ტურში შინ შოტლანდიის ნაკრებთან მატჩში მოვლენები როგორ განვითარდება.

სენტ-ანდრემ თითქმის ოპტიმალურ შემადგენლობას მოუყარა თავი. ის თვალდახუჭული ენდობა **მორგან პარასა** (№9) და **ფრედერიკ მიშალაკის** (№10) დუეტს. თუმცა, ალბათ, დროა ეროვნული გუნდის მგეზავობა მონპელიელ **ფრანსუა ტრინ-დუკს** დაავალოს. შესაძლოა, ეს მოსაზრება საკამათოა, მაგრამ ფაქტია პარამ და მიშალაკმა „ლე ბლო“ ეფექტურად ვერ აათამაშეს.

ფრანგთა თავკაცმა, როგორც იქნა მოისაზრა და შერკინების კვაჭად **ბენჟამინ კაიზერი** დააყენა, **დიმიტრი სჟარჟევსკი** კი განაცხადში არ არის. ეროვნული ნაკრების კვართს პირველად მოირგებს წარმოშობით ახალკალედონიელი მეორეხაზელი **სებასტიან ვაჰაამაჰინა.**

„სამყურების“ თავკაცი **დეკლან კიდნი** თამაშის წინ დილემის წინაშე იდგა. გადასაწყვეტი იყო, ვინ დაეყენებინა მგეზავის პოზიციაზე. **ჯონათან სექსტონი** ტრავმირებულია, **რონან ოგარა** „დაბერდა“. ამდენად ეროვნულ გუნდში გზა **პედი ჯექსონს** გაეხსნა.

საინტერესო და უშელავათო ბრძოლის ხილვა გველის ედინბურგში, სადაც ერთმანეთს შოტლანდიისა და უელსის ნაკრებები დაუპირისპირდებიან. „წითელი ურჩხულები“ მიუხედავად იმისა, რომ ტრავმების გამო საკადრო პრობლემები აქვთ, შესანიშნავად ასპარეზობენ. „მერიფილდზე“ გამარჯვების შემთხვევაში მათ ძალიან კარგი შანსი მიეცემათ ინგლისის ნაკრებს პირველობა ჩამოართვან. რადგან ბოლო ტურში „პომებს“ მშობლიურ „მილენიუმზე“ მიიღებენ.

იქამდე კი, უელსელებს მასპინძელი შოტლანდიის წინააღმდეგობის დაძლევა მართებს. „სკოტებმა“ სეზონის დასაწყისში მწვრთნელი გამოიცვალეს და როგორც იქნა ელიტარულ გუნდს დაემსგავსნენ. ფაქტია, ყოფილი თავკაცი, ინგლისელი **ენდი რობინსონი,** „ნარშავების“ განვითარებას აფერხებდა. მწვრთნელთა ახალი შტაბის პირობებში კი შოტლანდიის ნაკრებმა სამ ტურში ორი თამაში მოიგო და მესამე ადგილზეა. ასეთი კარგი სტარტი შოტლანდიელებს ბოლოს როდის ჰქონდათ, აღარავის ახსოვს.

გათამაშების ლიდერი ინგლისის ნაკრები შინ, „თვიქნემზე“ იტალიის ეროვნულ გუნდს მიიღებს. ცხადია, გამარჯვებულის ვინაობის გამოცნობა ძნელი არ არის. „პომების“ თავკაცმა **სტიუარტ ლანკასტერმა** მგეზავის ფუნქცია ვეტერან **ტობი ფლუდს** ანდო. ინგლისური და მსოფლიოს რაგბის ამომავალი ვარსკვლავი **ოუენ ფარელი** კი განაცხადშიც არ არის.

სათადარიგოთა შორისაა ცხრა ნომერი **ბენ იანგზი,** მისი ადგილი ძირითად გუნდში **დენ კერიმ** დაიკავა. შუამარბად ლანკასტერმა ისევ მანუ ტუილაგი არჩია, ახალგაზრდა ვუნდერკინდი **ბილი თველვეტრისი** თადარიგშია.

საბრძოლო შემადგენლობას მოუყარა თავი იტალიის ნაკრების მწვრთნელმა **ჟაკ ბრუნელმა.** „სკუადრა აძურას“ შემადგენლობაში ითამაშებს ლიდერი **სერჯო პარისე,** რომელსაც საფრანგეთის ჩემპიონატში მიღებული დისკვალიფიკაცია აპატიეს.

### ექვსი ერი

### IV ტური

შოტლანდია-უელსი
ირლანდია-საფრანგეთი
ინგლისი-იტალია

### სატურნირო მდგომარეობა

**1. ინგლისი - 6 ქულა, 2. უელსი - 4, 3. შოტლანდია - 4, 4. ირლანდია - 2, 5. იტალია - 2, 6. საფრანგეთი - 0.**

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

ფორმულა 1



# ესეც ოფიციალური სია

2013 წლის სეზონის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე, ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციამ გამოაქვეყნა ჩემპიონატის მონაწილეთა სიის საბოლოო ვერსია.

პირველი ვერსიისგან განსხვავებით, რომელიც პირველ დეკემბერს გამოქვეყნდა, ახალ ოქმს დაემატა იმ პილოტების გვარები, რომლებთანაც მაშინ კონტრაქტები არ იყო გაფორმებული.

**ახალი ჩემპიონატის მონაწილეთა სია ასე გამოიყურება**

| | | |
|---|---|---|
| 1. სებასტიან ფეტელი (გერმანია) | რედ ბული | რენო |
| 2. მარკ უებერი (ავსტრალია) | რედ ბული | რენო |
| 3. ფერნანდო ალონსო (ესპანეთი) | ფერარი | ფერარი |
| 4. ფელიპე მასა (ბრაზილია) | ფერარი | ფერარი |
| 5. ჯენსონ ბატონი (ბრიტანეთი) | მაკლარენი | მერსედესი |
| 6. სერხიო პერეს მენდოსა (მექსიკა) | მაკლარენი | მერსედესი |
| 7. კიმი რაიკონენი (ფინეთი) | ლოტუსი | რენო |
| 8. რომენ გროსჟანი (საფრანგეთი) | ლოტუსი | რენო |
| 9. ნიკო როსბერგი (გერმანია) | მერსედესი | მერსედესი |
| 10. ლუის ჰემილტონი (ბრიტანეთი) | მერსედესი | მერსედესი |
| 11. ნიკო ჰიულკენბერგი (გერმანია) | ზაუბერი | ფერარი |
| 12. ესტებან გუტიერესი (მექსიკა) | ზაუბერი | ფერარი |
| 14. პოლ დი რესტა (ბრიტანეთი) | ფორს ინდია | მერსედესი |
| 15. ადრიან სუტილი (გერმანია) | ფორს ინდია | მერსედესი |
| 16. პასტორ მალდონადო (ვენესუელა) | უილიამსი | რენო |
| 17. ვალტერი ბოტასი (ფინეთი) | უილიამსი | რენო |
| 18. ჟან-ერიკ ვერნი (საფრანგეთი) | ტორო როსო | ფერარი |
| 19. დანიელ რიკარდო (ავსტრალია) | ტორო როსო | ფერარი |
| 20. შარლ პიკი (საფრანგეთი) | კატერჰემი | რენო |
| 21. გიდო ვან დერ გარდე (ჰოლანდია) | კატერჰემი | რენო |
| 22. ჟიულ ბიანკი (საფრანგეთი) | მარუსია | კოსუორტი |
| 23. მაქს ჩილტონი (ბრიტანეთი) | მარუსია | კოსუორტი |

# ულიცენზიო პრეზიდენტი

**კარლოს გრასია** ესპანეთის ავტოსპორტის ფედერაციის პრეზიდენტი და ფორმულა 1-ში მეტად გავლენიანი პიროვნებაა. ის მართვის მოწმობის გარეშე დარჩა მას შემდეგ, რაც გასული წლის 20 ოქტომბერს, ქალაქ სარაგოსაში ადრე დილით პოლიციელმა პრეზიდენტის ორგანიზმში ალკოჰოლის ზედმეტი დოზა დააფიქსირა. ამ ამბის შესახებ მხოლოდ ახლა გახდა ცნობილი.

სასამართლო არ მოერიდა ჩინოვნიკის მაღალ პოსტს და გრასიას 2012 წელს ლიცენზია ჩამოართვეს. მას 2013 წლის ივნისამდე არ შეუძლია მანქანის მართვა და ახლა, მძღოლის ან საზოგადოებრივი ტრანსპორტის დახმარებით სარგებლობს.

გრასიამ 1984 წელს ჩაიბარა ესპანეთის ავტოსპორტის ფედერაციის პოსტი და მას შემდეგ, მუდმივად იმარჯვებს არჩევნებში.



კარლოს გრასია

# ნიუ ჯერსი: არც 2014-ში?

ფორმულა 1-ის გენერალურმა პრომოუტერმა **ბერნი ექლსტოუნმა** ჯერაც ვერ მიიღო გარანტიები ნიუ ჯერსის გრანპრის ორგანიზატორებისგან. როგორც იცით, ეს რბოლა წელს უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ ეტაპის დებიუტი მინიმუმ მომავალ წლამდე გადაიდო.

ტრასაზე კვლავაც მიმდინარეობს სამშენებლო სამუშაოები და დასრულების თარიღის შესახებ ჯერ არაფერია ცნობილი. ამიტომაც გამოითქვა ეჭვი, რომ ნიუ ჯერსიში რბოლა, შესაძლოა, 2014 წელსაც არ გაიმართოს.

კალათბურთი

# შურისძიება ლიტვურად

## კაუნასში რუდი ფერნანდესი გალახეს



ინციდენტის შემდეგ

სერიოზულ სკანდალს ჰქონდა ადგილი ევროლიგის TOP16-ის მეათე ტურის შეხვედრაში, რომელშიც „ჟალგირისი“ „რეალს“ მასპინძლობდა. კაუნასში გამართული მატჩის (104:105) შემდეგ, ლიტვური კლუბის გულშემატკივარი თავს დაესხა „რეალის“ მცველს **რუდი ფერნანდესს**.

ინციდენტი იმ დროს მოხდა, როცა „რეალის“ კალათბურთელები ავტობუსში ადიოდნენ. ორმა ფანმა ფერნანდესთან მიირბინა და ერთ-ერთმა კალათბურთელს სახეში გაარტყა. ცოტა ხანში, პოლიციამ ერთ-ერთი თავდამსხმელი დააკავა, მეორემ კი მიმალვა მოახერხა, მიუხედავად იმისა, რომ მას „რეალის“ რამდენიმე მოთამაშე გამოეკიდა.

*„ასეთი რამ არ უნდა ხდებოდეს,* - განაცხადა „რეალის“ წარმომადგენელმა **ხუან კარლოს სანჩესმა**. - *ევროლიგის ხელმძღვანელობამ მკაცრი ზომები უნდა მიიღოს იმისთვის, რომ მსგავსი რამ არ განმეორდეს“.*

ლიტველ ფანებს თავიანთ მსხვერპლად ფერნანდესი შემთხვევით არ აურჩევიათ. მადრიდში, ამ გუნდების პირველი შეხვედრის დროს, რუდი ამაზრზენად იქცეოდა. ერთ-ერთ ეპიზოდში ბურთი ესროლა **კშიშტოფ ლავრინოვიჩს**, შეხვედრის დასრულების შემდეგ კი **პაულიუს იანკუნასს** შეაფურთხა, თან კინაღამ ყური მოაგლიჯა მას. ამ ორი პროვოკაციის გამო, გუნდებს შორის კინაღამ ხელჩართული ჩხუბი გაიმართა. როგორც ჩანს, ლიტველმა ფანებმა მადრიდული ცოდვებისთვის შურისძიება გადაწყვიტეს და ეს გამოუვიდათ კიდეც.

NBA რეგულარული ჩემპიონატი

# დენვერი აღარ ხუმრობს



დენვერი-კლიპერსი

„ნიუ იორკ ნიქსმა“ ვერ შეძლო ბოლო ხუთი დღის განმავლობაში ჩატარებულ მეოთხე მატჩში „ოკლაჰომას“ დამარცხება, მით უმეტეს, რომ მასპინძლები **კარმელო ენტონის** გარეშე თამაშობდნენ. „თანდერი“, რომელმაც ბოლო შვიდი გასვლითი მატჩიდან ხუთი წააგო, 2010 წლის დეკემბრის შემდეგ პირველად ჩავიდა ნიუ იორკში სათამაშოდ.

მელოს არყოფნა იგრძნობოდა, მაგრამ პირველ სამ მეოთხედში მას წარმატებით ცვლიდა **ჯეი არ სმიტი**, რომელმაც, საბოლოოდ, 36 ქულა დააგროვა. მისი სახით, „ნიუ იორკის“ უკანა ხაზი კარგად გამოიყურებოდა, მაგრამ წინა ხაზზე „ნიქსს“ გაუჭირდა, რადგან ფარქვეშ ბატონობდა **სერჟ იბაკა**. სწორედ ამ უკანასკნელის დამსახურებაა, რომ **ამარე სტაუდმაიერმა** თითქმის მთლიანად ჩააგდო მატჩი - თამაშიდან 16-დან მხოლოდ ხუთი ტყორცნა გამოიყენა.

რაც შეეხება „ოკლაჰომას“ დამრტყმელ დუეტს, **უესტბრუკმა** კარგად დაიწყო მატჩი, მაგრამ შემდეგ სამ მეოთხედში ძალიან ცუდად ისროდა, სამაგიეროდ, სნაიპერული თვისებები გამოავლინა **კევინ დურანტმა**, რომელმაც მარტო მეოთხე მეოთხედში 12 ქულა დააგროვა. თუმცა არ უნდა დავივიწყოთ ის 12 შეცდომა, რომელიც „თანდერის“ ლიდერებმა დაუშვეს.

რაც შეეხება შეხვედრის მსვლელობას, ბოლო წამებამდე ბრძოლა იყო. მატჩის ბოლო 10 წუთი არც ერთ გუნდს არ ჰქონია ორ ქულაზე დიდი უპირატესობა და საბოლოოდ, ჯეი არ სმიტს შეეძლო გამარჯვება მოეტანა თავისი გუნდისთვის, მაგრამ მეტად რთული საშუალო ტყორცნა ააცილა. ამ მომენტში „ნიქსს“ ყველაზე მეტად დააკლდა კარმელო, რომელიც ასეთი სიტუაციების სპეციალისტი გახლავთ.

■ ■ ■

ბრწყინვალე ტემპი აქვს აკრეფილი „დენვერს“, რომელიც არ იმჩნევს მასთან სტუმრად ჩასული გუნდების წინააღმდეგობას. „ნაგეტსმა“ ზედიზედ მეშვიდე მატჩი მოიგო, შინ გამარჯვებათა სერია კი უკვე 12 მატჩს აღწევს.

ჯორჯ კარლის გუნდის მორიგი მსხვერპლი გახდა „კლიპერსი“, რომელსაც ამ მატჩში აკლდა **ჯამალ კროუფორდი**. გამორიცხული არ არის, რომ სწორედ მას მოეხერხებინა მესამე მეოთხედში „დენვერის“ ფანტასტიკური სპურტის (20:4) შეჩერება, რომლის შემდეგაც, შეხვედრას ფაქტობრივად აზრი დაეკარგა.

„კლიპერსმა“ მაინც სცადა მატჩის ბედის შემოტრიალება, მაგრამ **ტაი ლოუსონი** ბრწყინვალე ფორმაში იმყოფება და სუსტი პირველი ტაიმის შემდეგ, მეორე ნახევარში ფანტასტიკური თამაში აჩვენა. რა თქმა უნდა, ამ გამარჯვებაში თავისი წვლილი შეიტანეს „ნაგეტსის“ რეზერვისტებმა. ასევე მნიშვნელოვანი როლი ითამაშა **იგუოდალამ**. მან აქტიური მეურვეობით გაანამა „კლიპერსის“ ლიდერი **კრის პოლი**, რომელიც ჩვეულად ველარ უძლვებოდა თავისიანების თამაშს.

კოლორადოელებმა 33 შედეგიანი გადაცემა შეასრულეს და 10 დაფარებაც მიითვალეს, ამასთან, 47-პროცენტიანი სიზუსტით ისროლეს სამქულიანები. 2013 წელს, „დენვერმა“ მხოლოდ ორი შეხვედრა წააგო შინ („ვაშინგტონთან“ და „მინესოტასთან“), „კლიპერსის“ ხუთმატჩიანი მოგებათა სერია კი დასასრულს მიუახლოვდა.

**ნიუ იორკი-ოკლაჰომა 94:95**

**26:35, 30:24, 25:16, 13:20**

**ნ-ი:** სმიტი (36+3 ჩაჭრა), სტაუდმაიერი (16+8 მოხსნა), ფელტონი (16), ჩენდლერი (9+10 მოხსნა), კიდი (0+10 მოხსნა).

**ო:** დურანტი (34+8 მოხსნა+6 პასი), უესტბრუკი (21+6 მოხსნა+5 პასი), მარტინი (16), იბაკა (12+9 მოხსნა+5 დაფარება).

**დენვერი-კლიპერსი 107:92**

**27:25, 22:24, 36:26, 22:17**

**დ:** ლოუსონი (21+6 მოხსნა+11 პასი), გალინარი (20+6 მოხსნა+6 პასი), იგუოდალა (14+7 პასი), ჩენდლერი (12+5 პასი), მილერი (12), ფარიდი (11+10 მოხსნა+4 დაფარება), ბრიუერი (11).

**კ:** ბარნსი (19), გრიფინი (17), პოლი (16+10 პასი), ოდომი (8+10 მოხსნა).

ამბები

# მაიამი და ოდენი დამეგობრდებიან?

„პორტლენდის“ ყოფილი ცენტრის **გრეგ ოდენის** აგენტმა **მაიკლ კონლიმ** ბოლო ორი კვირის განმავლობაში ინტენსიური მოლაპარაკებები გამართა „მაიამის“ პრეზიდენტთან **პეტ რაილისთან** მის კლიენტსა და ფლორიდ კლუბს შორის სავარაუდო კონტრაქტის თაობაზე. საბოლოოდ, მხარეებმა ამ საკითხის გადაწყვეტა ზაფხულისთვის გადადეს.

*„ფლორიდელები დაინტერესებული არიან ოდენით და ჩემი კლიენტიც სერიოზულად განიხილავს „ჰიტის“ ვარიანტს. მაგრამ ჩვენ მაინც გადავწყვიტეთ სეზონის დასრულებას დაველოდებოდით“*, - ამბობს კონლი.

# თურქეთში პეშიჩი უნდათ

ცნობილი სერბი სპეციალისტი **სვეტისლავ პეშიჩი** ერთ-ერთი მთავარი კანდიდატია თურქეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე, - იტყობინება თურქული პრესა. შეგახსენებთ, რომ დღეისთვის პეშიჩი გერმანიის „ბაიერნს“ ავარჯიშებს.

როგორც ადრე ვწერდით, თურქეთის კალათბურთის ფედერაციაში ცსკა-ს იტალიელი მწვრთნელის **ეტორე მესინას** მიწვევას აპირებდნენ და თითქოს ეს საკითხი გადაწყვეტილი იყო, მაგრამ საბოლოოდ, შეთანხმება არ შედგა.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოკეი

# სამუდამოდ პარალიზებული

კინაღამ ტრაგედიით დასრულდა შვეიცარიის ჩემპიონატის პლეი ოფის მატჩი „ოლტენსა“ და „ლანგენტალს“ შორის.

„ოლტენის“ მცველმა **რონი კელერმა** მატჩის მსვლელობისას ხერხემლის მძიმე ტრავმა მიიღო. როგორც შვეიცარიის ჰოკეის ლიგის ოფიციალური ვებგვერდი წერს, ჰოკეისტი დაზარალდა იმ ძალისმიერი ილეთის გამო, რომელიც „ლანგენტალის“ მცველმა **სტეფან შნიდერმა** შეასრულა. შეჯახების შემდეგ, კელერი ტრიბუნების დამცავ ბარიერს თავით შეასკდა.

კელერი განძრევას ვერ ახერხებდა. ის სასწრაფოდ დააწვინეს საკაცეზე და მოედნიდან გაიყვანეს. მაყურებლები და მოთამაშეები კარგა ხანი შოკში იყვნენ მომხდარის გამო. მოთამაშე სასწრაფოდ რეანიმაციაში გადაიყვანეს, სადაც მას დიაგნოზი დაუსვეს - ხერხემლის მეოთხე მალის დაზიანება.

კლინიკის მთავარი ექიმის **მაიკლ ბლუმბერგერის** თქმით, ტვინი არ დაზიანებულა, მაგრამ ჰოკეისტი, შესაძლოა, სამუდამოდ პარალიზებული დარჩეს.



კელერის ტრავმა

NHL რეგულარული ჩემპიონატი

# პროფკავშირი თანახმაა

მოთამაშეთა პროფკავშირმა მოიწონა ჰოკეის ეროვნული ლიგის გეგმა გუნდების ოთხ დივიზიონში გადანაწილებისა და კონფერენციათა შემადგენლობის შეცვლის შესახებ.

*„პროფკავშირების აღმასრულებელ საბჭოსთან განხილვის შემდეგ, ჩვენ თანხმობა განვაცხადეთ რეორგანიზაციის შესახებ, რომელიც 2013-14 წლების სეზონის წინ განხორციელდება“*, - ამბობს პროფკავშირების თავმჯდომარე **დონალდ ფერი**.

ახლა, იგივე პროცედურა უნდა გაიაროს NHL-ის დირექტორთა საბჭომ, რაც მომავალ კვირას არის დაგეგმილი.

შეგახსენებთ, რომ ლიგის ხელმძღვანელთა წინადადების თანახმად, 2013-14 წლების სეზონში დასავლეთ კონფერენციაში იქნება ორი დივიზიონი, თითოში 7 გუნდით, აღმოსავლეთშიც ორი დივიზიონი, ოღონდ 8-8 გუნდისგან შემდგარი. „დეტროიტი“ და „კოლამბუსი“ აღმოსავლეთ კონფერენციაში გადავლენ, „ვინიპეგი“ - დასავლეთში.

■ ■ ■

„ფილადელფია ფლაიერზის“ 38 წლის მცველი **კრის პრონგერი** მზად არ არის კარიერის დასასრულებლად. სპორტსმენის თქმით, მას არასოდეს ჰქონია ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ასეთი სერიოზული პრობლემები. ჰოკეისტს უქვეითდება მხედველობა და პერიოდულად თავის ტკივილი აწუხებს. თუმცა ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო მცველი მოედანზე დაბრუნებას იმედოვნებს.

*„გამოჯანმრთელებისკენ კონკრეტული ნაბიჯები გადავდგი, მაგრამ ჯერ გრძელი გზაა გასავლელი. საშინელებაა, როცა ვარჯიში არ შეგიძლია, - ამბობს ჰოკეისტი. - უბრალოდ ზიხარ სახლში, მიირთმევ ათასგვარ საზიზღრობას და წონაში იმატებ. ახლა, ჩემი მიზანია - ალვიდგინო ჯანმრთელობა, გავიუმჯობესო მხედველობა და განვაახლო კარიერა“.*

**ბოსტონი-ტორონტო 4:2**

1:0, 2:1, 1:1

**გოლები:** 1:0 პ. ბერჟერონი-6 (სეგუინი-11, მარჩანდი-7), 1:1 კარდი-11 (მაკარტური-7, გუნარსონი-7), 2:1 სეგუინი-6 (მარჩანდი-8, პ. ბერჟერონი-14), 3:1 კრეიჩი-6 (ფერენსი-5, ლუჩიჩი-9), 3:2 მაკლემანი-5 (გრაბოვსკი-5, გუნარსონი-8), 4:2 სეგუინი-7 (პ. ბერჟერონი-15).

**ნიუ ჯერსი-ბაფალო 3:2 (ბ)**

0:0, 0:1, 2:1, 0:0

**გოლები:** 0:1 ვანეკი-13 (ენისი-11, ოტი-9), 0:2 ფლინი-1 (სეკერა-4, ფოლინო-8), 1:2 ენრიკე-7 (კოვალჩუკი-13), 2:2 ელიაში-7 (კლარკსონი-8, ე. გრინი-7).

**ბულიტები გაიტანეს:** კლარკსონი (ნიუ ჯერსი), ელიაში (ნიუ ჯერსი).

**აილენდერსი-რეინჯერსი 1:2 (ო)**

1:0, 0:0, 0:1, 0:1

**გოლები:** 1:0 გრაბნერი-10 (კ. მაკდონალდი-5, ე. მაკდონალდი-4), 1:1 ნეში-8 (სტეპანი-9, ჰაგელინი-5), 1:2 გაბორიკი-8 (ნეში-12, სტეპანი-10).

**ფილადელფია-პიტსბურგი 4:5**

4:1, 0:3, 0:1

**გოლები:** 1:0 ვორაჩეკი-11 (კ. ჟირუ-17, ტიმონენი-13), 1:1 კუნიტცი-13 (ლეტანგი-19, კროსბი-26), 2:1 რინალდო-3 (გროსმანი-3, ტელბოტი-5), 3:1 ტიმონენი-3 (რინალდო-1, ფედოტენკო-6), 4:1 ვორაჩეკი-12 (ტიმონენი-14), 4:2 დუპუი-8 (კროსბი-27, კუნიტცი-17), 4:3 ჯ. ნილი-15 (ბენეტი-3), 4:4 ტაილერ კენედი-3 (კუკი-7, ბ. სატერი-5), 4:5 კუნიტცი-14 (კროსბი-28, დუპუი-6).

**ვაშინგტონი-ფლორიდა 7:1**

4:0, 1:0, 2:1

**გოლები:** 1:0 ერსკინი-3 (ოვეჩკინი-10, ჯ. კარლსონი-6), 2:0 ვოლსკი-4 (ოლეკსი-2, მ. პერო-6), 3:0 ჯ. კარლსონი-4 (ბექსტრიომი-18, ბროუერი-5), 4:0 რიბეირო-9 (ოვეჩკინი-11, ჰენდრიქსი-2), 5:0 ოვეჩკინი-9 (ბროუერი-6, რიბეირო-18), 6:0 ფერი-6 (ვოლსკი-3, რიბეირო-19), 6:1 სკილი-3 (მატიასი-2), 7:1 მ. პერო-3 (ვოლსკი-4, ოლეკსი-3).

**კაროლინა-მონრეალი 2:4**

0:2, 2:0, 0:2

**გოლები:** 0:1 პრუსტი-4 (ემელინი-7, ელერი-10), 0:2 გორგესი-2 (პრუსტი-4, სუბანი-9), 1:2 ჯ. სტაალი-6 (ფოლკი-7), 2:2 ბოუმენი-2 (უელში-1), 2:3 ელერი-3 (გორგესი-4, პრუსტი-5), 2:4 სუბანი-6 (მარკოვი-10, ელერი-11).

**კოლამბუსი-ვანკუვერი 2:1 (ო)**

1:0, 0:0, 0:1, 1:0

**გოლები:** 1:0 უმბერგერი-4 (ფოლინო-9, იოჰანსენი-4), 1:1 ჰ. სედინი-5 (ჰამჰუისი-12, დ. სედინი-15), 2:1 კალვერტი-4 (ტიუტინი-12, ჯ. ჯონსონი-8).

**ტამპა ბეი-ვინიპეგი 1:2**

0:1, 0:0, 1:1

**გოლები:** 0:1 ტანგარდი-1, 1:1 სტემკოსი-18 (სან ლუი-25, მელოუნი-2), 1:2 ლიტლი-4 (ლედი-10).

**დეტროიტი-ედმონტონი 3:0**

0:0, 2:0, 1:0

**გოლები:** 1:0 კინდლი-2 (ივსი-5, ლეშოფი-3), 2:0 ემერტონი-2 (დ. მილერი-3, დაციუკი-16), 3:0 აბდელკადერი-1 (ზეტერბერგი-20, ბრუნერი-8).

**ფინიქსი-სენტ ლუისი 3:6**

1:1, 1:3, 1:2

**გოლები:** 0:1 კ. სტიუარტი-9 (პიეტრნაჯელო-11, პერონი-9), 1:1 მოსი-3 (გორდონი-6), 2:1 დოუნი-7 (ჰანზალი-4), 2:2 ბერგლუნდი-10 (ჯეკმენი-5, კ. სტიუარტი-9), 2:3 ბერგლუნდი-11 (პერონი-10, კ. სტიუარტი-10), 2:4 ნიკოლი-1 (შვარცი-4), 2:5 სობოტკა-4 (კ. სტიუარტი-11, პერონი-11), 2:6 პიეტრნაჯელო-5 (ოში-11, ბეკსი-13), 3:6 იენდლი-5 (სალივანი-6, მორისი-7).

**ლოს ანჯელესი-დალასი 2:5**

1:1, 1:1, 0:3

**გოლები:** 0:1 იაგრი-8 (ჯეიმი ბენი-9, გოლიგოსკი-11), 1:1 ლუისი-3 (კინგი-5, მარტინესი-2), 2:1 ჯ. კარტერი-16 (პენერი-6, მ. რიჩარდსი-11), 2:2 იკინი-4 (გოლიგოსკი-12, ლეჰტონენი-1), 2:3 მოროუ-6 (იკინი-11, რ. სმიტი-2), 2:4 იაგრი-9 (ჯეიმი ბენი-10, დელეი-3), 2:5 რუსელი-5 (როი-12).

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

TV პროგრამა

**ფეხბურთი**

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| კონგსვინგერი-რანჰაიმი | 0:4 |
| სტრიომსგოდსეტი-სიოგნდალი | 1:0 |
| ბრანი-ბრინი | 4:2 |
| ჰიონეფოსი-ლილესტრიომი | 1:0 |

**ინგლისი**

**კონფერენსი**

| | |
|---|---|
| დარტფორდი-რექსჰემი | გადაიდო |

**იტალია**

| | |
|---|---|
| ჯენოა-მილანი | 0:2 |

**ესპანეთი**

| | |
|---|---|
| ბეტისი-ოსასუნა | 2:1 |

**გერმანია**

| | |
|---|---|
| აუგსბურგი-ნიურნბერგი | 1:2 |

**II ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| ფრანქფურტი-აალენი | 6:1 |
| ზანდჰაუზენი-მიუნხენი | 0:1 |
| სტ. პაული-რეგენსბურგი | 3:2 |

**III ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| ოსნაბრიუკი-ხემნიცი | 2:2 |

**რეგიონალლიგა (ჩრ)**

| | |
|---|---|
| ობერნოილანდი-ოლდენბურგი | 2:1 |

**რეგიონალლიგა (ჩ-ა)**

| | |
|---|---|
| პლაუენი-მაგდებურგი | 3:3 |

**რეგიონალლიგა (დას)**

| | |
|---|---|
| ვიქტორია (კ)-გლადბახი II | 3:2 |

**რეგიონალლიგა (ბაიერნი)**

| | |
|---|---|
| ბამბერგი-ნიურნბერგი II | 1:1 |

**საფრანგეთი**

| | |
|---|---|
| რენი-სტ. ეტიენი | 2:2 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ანჟერსი-დიჟონი | 3:3 |
| ოსერი-ჰავრი | 4:1 |
| შატორუ-მონაკო | 1:1 |
| კლერმონი-არლი | 2:4 |
| ლავალი-გინგამი | 2:1 |
| ნიმი-ტური | 1:1 |
| ნიორი-ლანსი | 0:0 |
| სედანი-ლე მანი | 2:1 |

**ნასიონალი**

| | |
|---|---|
| ბულონი-კარკეფუ | 2:1 |
| ორლეანი-კოლმარი | 2:1 |
| პარიზი-რუანი | 1:0 |
| ვანი-ამიენი | 1:1 |
| მეცი-ფრეჟუსი | 3:0 |

**ჰოლანდია**

| | |
|---|---|
| გრონინგენი-ბრედა | 1:1 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| გრააფსხაპი-ვოლენდამი | 0:2 |
| ემენი-იგლზი | 2:0 |
| ექსელსიორი-ალმერი | 5:0 |
| დენ ბოში-ვეენდამი | 4:1 |
| ეინდჰოვენი-ფორტუნა | 0:3 |
| მაასტრიხტი-ჰელმონდი | 2:3 |

| | |
|---|---|
| ტელსტარი-კამბური | 1:1 |
| ტოპ ოსი-სპარტა | 1:1 |

**ბელგია**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ბრიუსელი-ოსტენდე | 1:2 |

**პორტუგალია**

| | |
|---|---|
| პორტუ-ეშტორილი | 2:0 |

**დანია**

| | |
|---|---|
| რანდერსი-სონდერიისკი | 2:0 |

**ავსტრია**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ალტახი-სტ. პოლტენი | 2:1 |
| ლუშტენაუ-ჰარტბერგი | 1:0 |
| კაპფენბერგი-ბრაუ ვაისი | 1:0 |
| ვენა-გრიოდიგი | 1:2 |
| ჰორნი-ავსტრია (ლ) | 5:0 |

**თურქეთი**

| | |
|---|---|
| გალათასარაი-გენჩლერი | 0:1 |

**ირლანდია**

| | |
|---|---|
| ბოჰემიანსი-უნივერსიტი | 2:1 |
| ბრეი-შელბურნი | 1:0 |
| დერი-სლიგო | 0:1 |
| დანდალკი-შემროკი | 0:0 |
| სტ. პატსი-დროგედა | 1:0 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| გალვეი-ლონგფორდი | 0:5 |
| უოტერფორდი-ფინ ჰარპსი | 1:1 |

**უელსი**

| | |
|---|---|
| ბანგორი-ეირბასი | 2:0 |
| პორტ ტელბოტი-კარმარტენი | 1:0 |
| ტნს-პრესტატინი | 3:0 |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| დუკლა-პრშიბრამი | 1:0 |
| ბრნო-სლავია | 0:1 |

**სლოვაკეთი**

| | |
|---|---|
| ბისტრიცა-ტრნავა | 2:0 |
| მორავცე-შენიცა | 0:2 |

**რუსეთი**

| | |
|---|---|
| ვოლგა-ყუბანი | 0:2 |
| კრასნოდარი-ამკარი | 2:1 |

**უკრაინა**

| | |
|---|---|
| მეტალურგი (დ)-ილიჩივეცი | 0:0 |

**პოლონეთი**

| | |
|---|---|
| ზაგლებე-იაგელონია | 2:1 |
| პოდბესკიძე-ლეგია | 1:2 |

**ხორვატია**

| | |
|---|---|
| ლოკომოტივა-ზადარი | 4:1 |

**უნგრეთი**

| | |
|---|---|
| პაკსი-ჰონვედი | 0:3 |
| კაპოშვარი-კეჩკემეტი | 2:3 |

**რუმინეთი**

| | |
|---|---|
| გაზ მეთანი-ვიიტორული | 4:1 |

**ავსტრალია**

| | |
|---|---|
| ნიუკასლი-პერტი | 1:2 |

**კალათბურთი**

**ევროლიგა**

| | |
|---|---|
| ხიმკი-მონტეპასკი | 78:71 |
| ბეშიქთაში-კახა ლაბორალი | 73:83 |
| უნიკახა-პანათინაიკოსი | 66:60 |

**საფრანგეთი**

| | |
|---|---|
| ლიმოჟი-ნანსი | 82:75 |
| დიჟონი-ბულაზაკი | 78:59 |
| პარიზი-შოლე | 84:70 |

**ჰოკეი**

**კჰლ**

| | |
|---|---|
| ავანგარდი-ტრაქტორი | 0:5 |
| აკ ბარსი-ს. იულიაევი | 2:3 |
| სკა-სევერსტალი | 4:1 |
| ცსკა-დინამო (მ) | 2:1 |

**ავსტრია**

| | |
|---|---|
| ვილახი-ლინცი | 6:1 |
| ზალცბურგი-ზაგრები | 3:2 (ო) |

**გერმანია**

| | |
|---|---|
| ჰანოვერი-შტრაუბინგი | 2:3 |
| დიუსელდორფი-კიოლნი | 6:2 |
| ინგოლშტადტი-აუგსბურგი | 3:1 |
| იზერლონი-ვოლფსბურგი | 1:5 |
| მიუნხენი-აისბარენი | 3:1 |
| ნიურნბერგი-მანჰაიმი | 2:0 |

**დანია**

| | |
|---|---|
| ოდენსე-ოლბორგი | 3:2 |
| როდოვრე-ჰერნინგი | 2:1 (ო) |
| ჰერლევი-ფრედრიკშავნი | 0:1 (ო) |
| ესბერგი-სონდერიისკი | 1:4 |

**ნორვეგია**

| | |
|---|---|
| ფრისკ ასკერი-სტავანგერი | 2:1 |
| ლილეჰამერი-ლორენსკოგი | 1:8 |
| სტორჰამარი-სპარტა | 2:3 |
| სტიორნენი-ვოლერენგა | 2:4 |

**სლოვაკეთი**

| | |
|---|---|
| ნიტრა-ტრენჩინი | 2:1 |
| პიესტანი-სკალიცა | 5:1 |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| ბრნო-კარლოვი ვარი | 2:1 (ო) |
| პლზენი-ლიტვინოვი | 0:1 |
| ხომუტოვი-ლიბერეცი | 1:2 |
| ტრშინეცი-სპარტა | 4:0 |

**ჩოგბურთი**

**ATP. ინდიან უელსი**

| | |
|---|---|
| ტურსუნოვი-პეტცშნერი | 4:6, 4:6 |
| ებდენი-კუზნეცოვი | 6:3, 4:6, 6:4 |
| მატოშევიჩი-რობრედო | 7:5, 6:2 |
| ჯონსონი-ანდუხარი | 6:2, 1:6, 4:6 |
| სებალიოსი-რამოსი | 3:6, 3:6 |
| დონსკოი-იტო | 6:2, 6:1 |

**WTA. ინდიან უელსი**

| | |
|---|---|
| ვინჩი-პერვაკი | 6:3, 6:4 |
| კვიტოვა-გოვორცოვა | 6:4, 3:6, 6:3 |
| ლარსონი-პავლიუჩენკოვა | 7:5, 6:1 |
| ცურენკო-შვედოვა | 6:1, 3:6, 6:1 |

ცხელი ხაზი

**9 მარტი. შაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** გერმანიის ჩემპიონატი. XXV ტური. აუგსბურგი-ნიურნბერგი.
**12:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**12:30** ინგლისის ჩემპიონატი. XIX ტურის წინ.
**13:00** პროგრამა - იმედის ფსონი.
**14:00** საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
**15:30** ბრაზილიის ჩემპიონატი. პაულისტას ლიგა. X ტურის მიმოხილვა.
**16:00** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა.
**17:30** არგენტინის ჩემპიონატი. IV ტურის მიმოხილვა.
**18:30** გერმანიის ჩემპიონატი. XXV ტური. შალკე-დორტმუნდი (LIVE).
**20:30** ჰოლანდიის ჩემპიონატი. XXV ტურის მიმოხილვა.
**21:30** გერმანიის ჩემპიონატი. XXV ტური. ბორუსია (მ)-ვერდერი (LIVE).
**23:30** ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
**00:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. XXVI ტური. ჰერენვეენი-ეინდჰოვენი.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
**12:15** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ბოსტონი-ატლანტა.
**14:30** პროგრამა - იმედის ფსონი.
**15:30** კალათბურთი. ევროლიგა. TOP 16. X ტური. ოლიმპიაკოსი-ბარსელონა.
**17:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
**18:30** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. XXV ტური. ბაიერნი-დიუსელდორფი (LIVE).
**20:30** NBA ACTION.
**21:45** ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. ჰერენვეენი-ეინდჰოვენი (LIVE).
**23:45** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ბოსტონი-ატლანტა.

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. დუბაი. საემიროები.
**14:30** კალათბურთი. ევროლიგა. TOP 16. პანათინაიკოსი-რეალი.
**16:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. აკაპულკო. მექსიკა.
**19:15** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ბოსტონი-მაიამი.
**21:15** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. აკაპულკო. მექსიკა.

**I არხი**

**14:55** რაგბი. ერთა თასი. საქართველო-ესპანეთი (LIVE).

**10 მარტი. კვირა**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** გერმანიის ჩემპიონატი. XXV ტური. ბაიერნი-ფორტუნა.
**12:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBRAZIL.
**12:30** ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
**13:00** პროგრამა - იმედის ფსონი.
**14:00** ევროპის ლიგა. 1/8 ფინალი. პირველი მატჩი.
**16:00** მსოფლიო ფეხბურთის ლიდერები.
**17:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**17:30** ჰოლანდიის ჩემპიონატი. XXVI ტური. აიაქსი-ცვოლე (LIVE).
**19:30** ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
**20:00** ინგლისის ჩემპიონატი. XIX ტური. ლივერპული-ტოტენჰემი (LIVE).
**22:00** იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
**22:30** ბრაზილიის ჩემპიონატი. პაულისტას ლიგა. X ტურის მიმოხილვა.
**23:00** ბრაზილიის ჩემპიონატი. პაულისტას ლიგა. XI ტური. სან პაულუ-პალმეირასი (LIVE).
**01:00** არგენტინის ჩემპიონატი. V ტური. რივერ პლეიტი-კოლონი.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. XXV ტური. შალკე-დორტმუნდი.
**12:00** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. დენვერი-მინესოტა.
**14:30** პროგრამა - იმედის ფსონი.
**15:30** კალათბურთი. ევროლიგა. მიმოხილვა.
**16:30** კალათბურთი. ევროლიგა. TOP 16. X ტური. უნიკახა-პანათინაიკოსი.
**18:30** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. XXV ტური. ჰანოვერი-აინტრახტი (LIVE).
**20:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**21:00** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ოკლაჰომა-ბოსტონი (LIVE).
**23:45** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. დენვერი-მინესოტა.

**ამინდის პროგნოზი**

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | -2 | 14 | (მოღრუბლულობა) |
| ქუთაისი | 7 | 16 | (მზე) |
| ბათუმი | 5 | 15 | (მზე) |
| ფოთი | 6 | 15 | (მოღრუბლულობა) |
| ზუგდიდი | 5 | 14 | (მოღრუბლულობა) |
| გორი | -5 | 12 | (მზე) |
| თელავი | -3 | 13 | (მოღრუბლულობა) |
| სიღნაღი | -2 | 12 | (მოღრუბლულობა) |
| გუდაური | -14 | -1 | (მოღრუბლულობა) |
| ბაკურიანი | -13 | 3 | (მოღრუბლულობა) |
| ბორჯომი | -5 | 9 | (მზე) |
| მესტია | -11 | 6 | (მოღრუბლულობა) |

**ვალუტის კურსი**

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.1615 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6595 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.4879 |
| 100 რუსული რუბლი | 5.3945 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი


მაიკლი და ივეტი

# ჯორდანი ქორწინდება...

„შარლოტ ბობკეტსის" მფლობელი, ყველა დროის საუკეთესო კალათბურთელად აღიარებული **მაიკლ ჯორდანი**, რომელსაც სულ ცოტა ხნის წინ 50 წელი შეუსრულდა, მეორედ დაქორწინებისთვის ემზადება.

როგორც ამერიკელი ჟურნალისტებისთვის გახდა ცნობილი, ჯორდანმა 7 მარტს, პალმ-ბიჩის მთავარ საოლქო სასამართლოში შეიტანა ქორწინების განაცხადი. ჯორდანის მეორე ცოლი გახდება კუბური წარმოშობის მოდელი **ივეტ პრიეტო**, რომელიც კალათბურთის ლეგენდაზე 2011 წლის დეკემბერში დაინიშნა.

ჯორდანის პირველი ქორწინება **ხუანიტა ვანასთან** 1989 წლიდან 2006 წლამდე გაგრძელდა. ამ ქორწინებიდან მაიკლს ორი ვაჟი - **ჯეფრი მაიკლი** და **მარკუს ჯეიმსი** და ერთი ქალიშვილი - **ჟასმინი** ჰყავს.

# ...ლებრონიც

2013 წელს დაქორწინებას აპირებს „მაიამი ჰიტის" ლიდერი **ლებრონ ჯეიმსი**. კალათბურთელმა თავის „ტვიტერზე" უკვე მისწერა მეგობრებს, რომ მათ არაფერი დაგეგმონ 13 სექტემბერს. სწორედ ამ დღეს გაიმართება საქორწინო ცერემონია.

როგორც ESPN წერს, ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ერთ-ერთმა მთავარმა ვარსკვლავმა ქალაქ სან დიეგოში წარადგინა ქორწინების რეგისტრაციისთვის საჭირო დოკუმენტები.

ჯეიმსის რჩეული გახლავთ **სავანა ბრინსონი**, რომელთანაც კალათბურთელს ორი ვაჟი ჰყავს.


ლებრონი და სავანა

კრივი

# რინგმა საუკეთესო ვეტერანები დაალაგა

ყველაზე ავტორიტეტულმა საკრივო გამოცემამ - The Ring-მა შეადგინა იმ მოკრივეთა რეიტინგი, რომლებმაც 40 წლის შემდეგ მიაღწიეს გარკვეულ წარმატებას პროფესიულ რინგზე.

ტოპ-ათეულში მხოლოდ ორი მოქმედი მოკრივეა: ამერიკელი **ბერნარდ ჰოპკინსი** და უკრაინელი **ვიტალი კლიჩკო**, რომლებიც, შესაბამისად, მეორე და მეშვიდე ადგილებზე აღმოჩნდნენ.

რეიტინგის შედგენისას ითვალისწინებდნენ მოკრივეების მიერ 40 წლის შემდეგ მიღწეულ შედეგებს და სიაშიც შესაბამისი სტატისტიკაა მოცემული.

1. არჩი მური (26-2-2, 16KO)
2. ბერნარდ ჰოპკინსი (7-4-1, 0KO)
3. ჯორჯ ფორმენი (17-3, 12 O)
4. ლარი ჰოლმსი (21-3, 10KO)
5. კიდ აცტეკა (25-1-2, 22KO)
6. რობერტო დურანი (18-7, 9KO)
7. ვიტალი კლიჩკო (3-0, 2KO)
8. ტულანი მალინგა (4-4, 2KO)
9. ჯეიკ ბრიტონი (30-11-3, 0KO)
10. შუგარ რეი რობინსონი (30-10-3, 15KO)


ვიტალი კლიჩკო სამუელ პეტერის წინააღმდეგ

ჩოგბურთი


სერენა უილიამსი

# სერენამ წესი დაარღვია

ქალთა კლასიფიკაციის პირველმა ნომერმა, ამერიკელმა **სერენა უილიამსმა** უსაფრთხოების წესები დაარღვია გოლფის ტურნირზე, რომელიც გასულ კვირას ფლორიდაში გაიმართა. შუა თამაშის დროს ჩოგბურთელი მინდორზე გავიდა და ფოტო გადაუღო ლეგენდარულ ამერიკელ გოლფისტს **ტაიგერ ვუდსს**.

ამის შემდეგ, სერენასთან მივიდნენ უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლები და აუხსნეს ჩოგბურთელს, რომ თამაშის დროს გოლფისტების ფოტოგრაფირება აკრძალულია.

*„როგორც გაირკვა, მატჩის დროს მათი გადაღება არ შეიძლება. ჩემი აზრით, შესანიშნავი წესია. სხვათა შორის, ვინმემ იცოდით ამის შესახებ? მე დიდად არ ვარ გარკვეული ასეთ ტურნირებზე მოქცევის წესებში. საკუთარი თავის თავდასაცავად იმას ვიტყვი, რომ თამაშის დროს ჩოგბურთელთა გადაღება დაშვებულია"*, - დაწერა თავის „ტვიტერზე" სერენამ.

# კარო და რორი ერთად არიან

დანიელმა ჩოგბურთელმა **კაროლინ ვოზნიაცკიმ** უარყო ბოლო დროს გავრცელებული ჭორები იმის თაობაზე, თითქოს მან გაწყვიტა კავშირი თავის ბოიფრენდთან, ცნობილ ბრიტანელ გოლფისტთან **რორი მაკილროისთან**.

*„ჩვენ ყურადღებას არ ვაქცევთ სხვადასხვა ჭორს*, - განაცხადა დანიელმა სააგენტო AP-სთან კომენტარში. - *ამის შესახებ ბოლო დღეებია მუდმივად მესმის, მაგრამ სულაც არ მივიჩნევ საჭიროდ რორისთან დაკავშირებას და მასთან ამ სიტუაციის განხილვას".*

*„ბოლო ტურნირზე არც ისე კარგი შედეგი ვაჩვენე, კარომ კი წააგო ტურნირი მალაიზიაში. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ ერთმანეთს დავშორდით. ეს მხოლოდ სპორტია"*, - დაამატა მაკილროიმ.


კაროლინ ვოზნიაცკი

ველოსპორტი

# რუსების ლიდერიც გასვრილია?

სკანდალურად ცნობილმა დანიელმა ველომრბოლმა **მიკაელ რასმუსენმა** განაცხადა, რომ „რაბობანკში" მისი ყოფილი პარტნიორი, რუსული ველოსპორტის ლიდერი **დენის მენშოვი** აკრძალულ პრეპარატებს იყენებდა.

38 წლის ყოფილმა სპორტსმენმა ეს განცხადება ორი დღის წინ, ჰოლანდიის სასამართლოს წინაშე გამოსვლისას გააკეთა.

*„მე, აგრეთვე მიკაელ ბოგერდი და დენის მენშოვი „სისხლის დოპინგს" ვიყენებდით*, - განაცხადა რასმუსენმა. - *2007 წლის ტურ დე ფრანსის მეცხრე ეტაპის დასრულების შემდეგ, ყველამ ერთხმად გადავწყვიტეთ სისხლის გადასხმა. გუნდის მენეჯერები ასეთ საკითხებთან მიმართებაში დისტანციურ დამოკიდებულებას ამჯობინებდნენ. მათთვის ყველაფერი ცნობილი იყო, მაგრამ საქმეში არ ერეოდნენ".*

თავის მხრივ, მენშოვმა, რომელიც, ამჟამად, რუსული საჯინიბოს „კატიუშას" კაპიტანია, თავისი ყოფილი თანაგუნდელის განცხადებას სიცრუე უწოდა


რასმუსენი და მენშოვი

და დოპინგის თემასთან დაკავშირებით კომენტარისგან თავი შეიკავა. რაც შეეხება ჰოლანდიელ ბოგერდს, მან ჰოლანდიის ტელევიზიის ეთერში აღიარა დოპინგის გამოყენება.

რასმუსენი ლიდერობდა 2007 წლის ტურ დე ფრანსს, მაგრამ მე-16 ეტაპის წინ, ის „რაბობანკის" ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით მოიხსნა რბოლიდან. მოგვიანებით, დანიელი დოპინგის მიღებაში გამოიჭირეს და ორწლიანი დისკვალიფიკაცია მისცეს.

დღეისთვის, რასმუსენი ცდილობს 2009 წლის ველომარათონიდან მისი გარიცხვის უსაფუძვლობა დაამტკიცოს და „რაბობანკისგან" 5.6 მილიონი ევროს ოდენობის კომპენსაცია მიიღოს.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო

ISSN 2233-3827

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი**; მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი**; მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **თამუნა ყულუმბეგაშვილი.** *ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი:* **გოტფრიდ ლენცი**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

*პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com; lelo@palitra.ge* ხელმოწერილია დასაბეჭდად: 03:15

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

საბანკო რეკვიზიტები: **შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608**